# საერთო გაზეთი

№48 (232) ● 21-27.XI.2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.com; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## irakli Camovida,
## axla miSas gaqcevis droa!



საქართველოს უკვე ორი ცოტნე ჰყავს — ერთი — ცოტნე ახალაია, მეორე — ცოტნე ოქრუაშვილი

## rogor waarTva 70.000 dolari prokurorma daviT sayvareliZem





braldebul besarion xvinTelians

## `garik-jan... unda waxvide erevanSi~,

anu visia, visia es `Cveni iura~?



ISSN 2233-3983

ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ აუცილებლად უნდა შედგეს!

**aWara _ saxelmwifo biujetidan moparuli milionebis saidumlo salaro**

„ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ფაშისტური ორგანიზაცია, უნდა აიკრძალოს!

**`nacional-bespredelSCikebis~ bolo Semodgoma**

პატივცემულო რასმუსენ, ამ სააკაშვილს რას უსმენ?

**`nacmoZraoba~ natos rezidenturaa**

გენერალი კალანდაძის დაკავება რომ უკვირთ, ის რატომ არ უკვირთ, ციხეები სააკაშვილის მიერ დაპატიმრებული „ნარკომანი“ გენერლებით რომ არის გამოჭედილი?

**ramdeni politpatimaria saqarTveloSi _ 185 Tu 185+13?**

წინა ხელისუფლების მიერ მიმდინარე წელს მილიარდზე მეტი თანხა წყალშია გადაყრილი

## ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო

საქართველოს თავდაცვის ექსმინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის სასამართლოს პროცესი 3 დეკემბრისთვის გადაიდო. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე განხილვაზე შესაბამისი შუამდგომლობა დაცვის მხარემ დააყენა და ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ დაცვის მხარე საქმის მასალებს არსებითად არ იცნობს. ეს მოთხოვნა მოსამართლე ხათუნა ხარჩილავამ დააკმაყოფილა და საქმის განხილვა 3 დეკემბერს 10.00 საათზე ჩანიშნა.



როგორც ცნობილია, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი ნაწილით ედება, რაც უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნას ან ხელმძღვანელობას გულისხმობს. დღევანდელ პროცესზე მოსამართლემ ასევე განიხილა ოქრუაშვილთან ერთად ბრალდებული სხვა პირების საქმეებიც. ესენი არიან: მისი ნათესავი იოსებ გიგუაშვილი, რომლის უფლებებსაც ადვოკატი ლალი აფციაური იცავს, ასევე მოსამართლემ განიხილა ხვიჩა საბაშვილის და ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრ გიორგი გაბროშვილის წინააღმდეგ ანალოგიური მუხლებით წარდგენილი საქმეები. გიორგი გაბროშვილი ორი დღის წინ თბილისში დააკავეს.

როგორც ცნობილია, საქმე ეხება 2011 წლის მაისის მოვლენებს და თბილისის ქუჩებში გამართულ საპროტესტო აქციებს. ბრალდების მხარის მტკიცებით, ოქრუაშვილი თანამოაზრეებთან ერთად უკანონო ფორმირების შექმნას აპირებდა.

დღევანდელ სასამართლო პროცესს ათეულობით ადამიანი დაესწრო. ხალხის სიმრავლის გამო სასამართლო იძულებული გახდა სხდომა შედარებით დიდ დარბაზში ჩაეტარებინა. პროცესს ესწრებოდნენ ოქრუაშვილის თანასოფლელები ტყვიავიდან, ასევე მისი თანაპარტიელები: თეო ტლაშაძე და რამაზ იოსელიანი. ასევე ახალგაზრდა აქტივისტები, მათ შორის ჯაბა ჯიშკარიანი და მიშა მესხი.

ბრალდებულები ბრალს არ აღიარებენ.

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ისრაელის ელჩს შეხვდა



პრემიერ-მინისტრი მთავრობის კანცელარიაში ისრაელის ელჩს საქართველოში იუვალ ფოქსს შეხვდა.

მხარეებმა მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებსა და ტერორიზმის საფრთხეზე ისაუბრეს. საუბარი შეეხო ისრაელსა და პალესტინას შორის არსებულ რთულ ვითარებას. ბიძინა ივანიშვილმა მწუხარება გამოხატა ორ ქვეყანას შორის მიმდინარე მოვლენების გამო და მოლაპარაკების გზით მშვიდობის მიღწევის იმედი გამოთქვა.

„ქართველი ერი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ისრაელისა და პალესტინის ქვეყნების მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვის გამო. რაც შეიძლება სწრაფად უნდა განიმუხტოს სიტუაცია, რათა აღარ გაგრძელდეს ძალადობის ესკალაცია და აღდგეს მშვიდობიანი პროცესები. ისრაელს, ისევე როგორც ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს, უფლება აქვს დაიცვას საკუთარი მოქალაქეები სარაკეტო დარტყმებისგან. იმისთვის, რომ ორმა სახელმწიფომ შეძლოს მშვიდობიანი თანაცხოვრება, სასწრაფოდ უნდა შეწყდეს ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები“,–განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და დასძინა, რომ სამშვიდობო პროცესის დასაწყებად საჭიროა შეწყდეს ისრაელის ტერიტორიის დაბომბვა, რადგან არც ერთ მონაწილე მხარეს არ აწყობს დღევანდელი სიტუაციის შენარჩუნება.

## გიორგი ბარამიძე არჩილ კბილაშვილს ტელედებატებში იწვევს

პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიორგი ბარამიძე მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს ტელედებატებში იწვევს.



გიორგი ბარამიძე ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე კბილაშვილის მიერ გაზეთ "კვირის ქრონიკისთვის" მიცემულ ინტერვიუს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კბილაშვილმა მისი და "ნაციონალური მოძრაობის" სხვა წევრების პასუხისმგებლობის შესახებ ისაუბრა.

„არ გავამახვილებდი ყურადღებას, რომ არა სრულიად გამოგონილი და ცილიმსწამებლური ბრალდებების გააქტიურებული კამპანია. პოლიტიკურად მოტივირებულ დაჭერებზე რომ არაფერი ვქვათ, პოლიტიკრუი ოპონენტების მიმართ, პროკურორის ასეთი განცხადება, რომელიც ფაქტობრივად უდანაშაულობის პრეზუმპციას არღვევს, აღიქმება, როგორც დაუფარავი მუქარა და პოლიტიკური შანტაჟი“, – განაცხადა ბარამიძემ და მწუხარება გამოთქვა, რომ ნაცვლად კონსტურქციული ურთიერთობისა, ახალმა მთავრობამ ოპოზიციასთან ურთიერთობის ენად სწორედ ეს აირჩია.

მისივე თქმით, ნათელია, რომ ამ ტყუილების და მუქარის მიზანია ოპოზიციაზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, დისკრედიტაცია და დაშინება.

ბარამიძის შეფასებით, ეს არის ოპონენტის პოლიტიკური დევნა, რომელიც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას აზიანებს. „ასეთი უკანონო მცდელობა ვერავის შეაშინებს. ჩვენ არ ვაპირებთ მორჩილი ოპოზიცია გავხდეთ და მთავრობის ოპონირება და მწვავე კრიტიკა შევწყვიტოთ. ამის საპასუხოდ მინდა განვაცხადო, რომ ამგვარი უკანონო ქმედება ვერავის შეაშინებს და თავის მიზანს ვერ მიაღწევს. ჩვენ არ ვაპირებთ გავხდეთ მორჩილი ოპოზიცია და მწვავე კრიტიკა და ოპონირება შევწყვიტოთ“, – განაცხადა მან და საქართველოს მთავარ პროკურორს მოუწოდა, ნაცვლად ასეთი ცილისმწამებლური კამპანიისა და მასში მონაწილეობისა, თავისი კანონიერი საქმიანობით დაკავდეს, დროულად და ობიექტურად გამოიძიოს ყველა საქმე, განსაკუთრებით კი ის საქმეები, რომელთა მიმართაც საზოგადოებას დიდი ინტერესი გააჩნია.

ბარამიძემ გამოძიებასთან თანამშრომლობის მზადყოფნა გამოთქვა და აღნიშნა, რომ თუ პროკურორს ექნება სურვილი მასთან მედიის საშუალებით ღია პოლემიკა აწარმოოს, ის მზად არის არჩილ კბილაშვილი ტელედებატებში გამოიწვიოს.

## გია ხუხაშვილი: ირაკლი ოქრუაშვილის არასერიოზულმა ქმედებებმა ბევრჯერ დააზიანა პოლიტიკური პროცესი



ექსპერტ გია ხუხაშვილის განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის არასერიოზულმა ქმედებებმა ქართული საზოგადოება რამდენჯერმე დააზარალა და პოლიტიკური პროცესების განვითარება შეაფერხა.

როგორც დღეს პრაიმტაიმის პრესკლუბში მედიასთან შეხვედრაზე ექსპერტმა აღნიშნა, რომ არა ოქრუაშვილის თუნდაც 2007 წლის არასერიოზული და არამყარი მოქმედებები, შესაძლოა, სააკაშვილის რეჟიმისგან უფრო ადრე განთავისუფლებულიყო ქვეყანა.

„ოქრუაშვილი ჯერ ბრალდებებს უყენებდა ხელისუფლებას და კონკრეტულ ჩვენებებს იძლეოდა, მერე ჩვენებას ცვლიდა და სხვა რამეს ამბობდა, ხან იძახდა მოვდივარო, ხან იძახდა, არ მოვდივარო. ამ ყველაფერმა ცუდად იმოქმედა საზოგადოების განწყობებზე და პოლიტიკური პროცესი დააზიანა“, – აღნიშნა ექსპერტმა.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მართლაც ოქროს მოწმეა, ის მნიშვნელოვან ფიგურას არ წარმოადგენს და მას მნიშვნელოვნად მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი მიიჩნევს, რომელსაც მასთან დაკავშირებით პათოლოგიური შიშები აქვს.

„სააკაშვილს კონკრეტულ ადამიანებთან მიმართებაში პათოლოგიური შიშები აწუხებს. მას ოქრუაშვილის განსაკუთრებულად ეშინია. ზუსტად ვერ ვიტყვი, რით არის გამოწვეული მისი ეს ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მაგრამ ფაქტია, რომ ოქრუაშვილის ყოველთვის პანიკურად ეშინოდა“, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

შეგახსენებთ, გუშინ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტმა ირაკლი ოქრუაშვილს დევნილის სტატუსი მიანიჭა, დღეს დილით კი ის საქართველოში დაბრუნდა და პოლიციას ჩაბარდა.

## თედო ჯაფარიძე და თინათინ ხიდაშელი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრნენ



საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე და პარლამენტის წევრი თინათინ ხიდაშელი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრნენ.

პირველი ოფიციალლური ვიზიტის ფარგლებში ქართველი პარლამენტარები შეხვედრებს გამართავენ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან თორბიორნ იაგლანდისთან, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივან ვოიცეხ სავიცკის, ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისარსა და ვენეციის კომისიის ხელმძღვანელობასთან.

საპარლამენტო დელეგაცია საქართველოში 23 ნოემბერს დაბრუნდება.

`medianiusi~

## gamoxmaureba

მთლიანად ვიზიარებ ჩვენი სასიქადულო პოეტის, ძირძველი თბილისელისა და საპატიო მოქალაქის ბატონი რეზო ამაშუკელის პათოსს და მხარს ვუჭერ მის წინადადებას – დროულად დაინგრეს ეს გველის ბუდე, რასაც თბილისის მერია ჰქვია. პირადად მე, საიმედო წყაროდან ვიცი, რომ არჩევნების შემდეგ გიგი უგულავას შეუკრებია თავისი სამსახურის უფროსები, რომლებიც მასთან ერთად გარეულნი არიან კორუფციაში და მიუცია ინსტრუქცია, რომ ყოველმხრივ გაამწარონ მოსახლეობა და შური იძიონ მათზე არჩევნებში „ქართული ოცნებისათვის“ მხარდაჭერის გამო (თუმცა ქვედა რგოლებში ამას მხარს არ უჭერენ).

თუ ჯერ „შუშის“ ხიდს ვერ გადავიტანთ შესაფერის ადგილზე, იქნებ მანამდე კოსტავას ქუჩაზე სასტუმრო „აჭარის“ მიმდებარე ტერიტორიასთან ავტომანქანების მოძრაობის ძველი სქემა მაინც აღვადგინოთ, თორემ პიკის საათებში კოსტავას ქუჩა სააკაძის მეგლამდე და პეკინის ქუჩა „ნიკალას“ კაფემდე გაუვალია და ჩახერგილია ავტომანქანებით. მძღოლები დიდი ხანი ელოდებიან გზის გახსნას. ამის გადაწყვეტსაც საკანონმდებლო ცვლილება ხომ არ სჭირდება?

**პატივისცემით,**
**ოთარ კევლიშვილი**
**საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

Die Presse

# saqarTvelos premieri: `me didi demokrati var~



***პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი ხაზს უსვამს იმას, რომ მას არ აქვს გავლენა იუსტიციაზე და განმარტავს, თუ როგორ სურს მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესება.***

**— თქვენი პირველი უცხოური ვიზიტი ბრიუსელში შედგა. როგორ მიგიღეს ბრიუსელში საქართველოს პრემიერმინისტრის რანგში?**

— ეს გულითადი და სასიამოვნო შეხვედრები იყო. ევროპულ ოჯახში გაერთიანების სურვილი გაიზარდა, რადგან მე ევროპა ისეთი დამხვდა, როგორადაც მყავდა წარმოდგენილი.

**— ეჭვებიც იქნა გამოთქმული. ევროკომისიის პრეზიდენტმა საქართველოში შერჩევითი სამართლის გამო შეშფოთება გამოთქვა. რამდენიმე დღის წინ დააკავეს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია და ორი სამხედრო მაღალჩინოსანი.**

— ბაროზომ გამოთქვა ეჭვები, მაგრამ არცთუ ისეთი დიდი. არც ჩემთვისაა ახალაიას დაპატიმრება სასიამოვნო. მე ბატონ ბაროზოს ავუხსენი, რომ არანაირი შერჩევითი სამართალი არ გვაქვს.

**— ყოფილ მინისტრ ახალაიას წლებია ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ. მაგრამ გენერალური შტაბის უფროსის, გიორგი კალანდაძის დაკავება თავდაცვის მინისტრსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის ძალაუფლების გამო ბრძოლას ჰგავს. სააკაშვილი ნიშნავს გენშტაბის უფროსს, მაგრამ მედიის ინფორმაციით, თავდაცვის ახალ მინისტრს ამ პოსტზე თავისი ნდობით აღჭურვილი პირის დანიშვნა უნდა.**

— პრეზიდენტსა და თავდაცვის მინისტრს შორის არ არსებობს ძალაუფლებისათვის ბრძოლა. მაგრამ გენერალურ პროკურორზე, რომელმაც წამოაყენა ბრალდება, ჩვენ არანაირი გავლენა არ გვაქვს. ჩვენ ვიცით, რომ ის პატიოსანი და აკურატული ადამიანია. ჩვენ ასევე ძალიან კარგი იუსტიციის მინისტრი გვყავს. ორივე სამართლიანობის და პატიოსნების ნიმუშები არიან. მეც, ან თავად ღმერთსაც რომ მოეთხოვა კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედება, ისინი ამას არ ჩაიდენდნენ.

**— არ არის პრობლემა ის, რომ გენპროკურორი ადრე თქვენი პირადი ადვოკატი იყო?**

— ის იმდენად სწორხაზოვანი და პატიოსანი იყო, რომ მასზე არანაირი გავლენა არ არსებობდა. სწორედ იმიტომ დავნიშნე ის გენერალურ პროკურორად, რომ ასეთია. დარწმუნებული ვარ, რომ ის დამოუკიდებლად იმოქმედებს.

**— საარჩევნო კამპანიის დროს თქვენ სააკაშვილს მძიმე ბრალდებები წაუყენეთ და გადადგომისკენ მოუწოდეთ. პრეზიდენტ სააკაშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცესის დაწყება შესაძლებელია?**

— პირადად მე ამის სურვილი არ მაქვს. უპირველეს ყოვლისა, ამას ვერ გაიგებდნენ ევროპაში. ეს პოლიტიკური შურისძიების და არა სამართლებრივი პროცესის სახეს მიიღებდა. ჩვენ ვუძლებთ ამ ცდუნებას და ასეც გავაგრძელებთ, რათა ქვეყანამ სახე შეინარჩუნოს. მაგრამ მე არ შემიძლია დავაბრკოლო იუსტიციის მუშაობა.

**— დღეს პრეზიდენტი მართლაც სუსტად გამოიყურება და ინსტიტუტები, როგორიცაა მაგალითად სასამართლო სისტემა, არ არის ძლიერი და დამოუკიდებელი. იზიარებთ იმ წუხილს, რომ თქვენ, ისევე როგორც მანამდე პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ძალაუფლება შეიძლება მხოლოდ საკუთარ ხელში მოაქციოთ?**





— ჩემი პოლიტიკა თვალთმაქცობა არ არის. სააკაშვილის ხალხი მოვიდა, აკეთა საქმეები და გაძარცვა ქვეყანა. სამაგიეროდ, მე 2 მილიარდი დავახარჯე ქვეყანას და ამას მომავალშიც გავაგრძელებ. მე დიდი დემოკრატი ვარ, პრინციპების ერთგული, პირდაპირი და სუფთა. ამიტომ ასეთი საფრთხე არ არსებობს.

**— თქვენ სააკაშვილს ბრალს სდებთ, რომ მან და მისმა მოკავშირეებმა ეკონომიკური სექტორი საკუთარი კონტროლის ქვეშ მოაქციეს. თქვენ როგორ აპირებთ მოქმედებას?**

— დიახ, საქართველოს ეკონომიკა მონოპოლიზებულია. მე ლიბერალური მიდგომის და მეწარმეებს შორის კონკურენციის მომხრე ვარ. ჩემი უმნიშვნელოვანესი გეგმა სამუშაო ადგილებისა და საწარმოების შექმნაა. ეს ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაშიც დაგვეხმარება.

**— საარჩევნო კამპანიის დროს თქვენ მტრულად განწყობილ მეზობელ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე საუბრობდით. სააკაშვილი მოსკოვთან კავშირში გდებდათ ბრალს იმის გამო, რომ ქონება რუსეთში დააგროვეთ. არჩევნების შემდეგ თქვენ რუსეთში სპეციალური წარმომადგენელი დანიშნეთ. თუმცა მოსკოვიდან ამას ენთუზიაზმით არავინ შეხვდა.**

— ეს სამწუხაროა. მე იმედგაცრუებული ვარ. რუსებმა კონკრეტული ნაბიჯები მოითხოვეს. ჩვენ კონკრეტული არაფერი გვაქვს შესათავაზებელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსები ამას გადახედავენ. ჩვენ ამისათვის მზად ვართ.

**— სეპარატისტულ აფხაზეთთან და ოსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის თუ გეგმავთ კონკრეტულ ნაბიჯებს?**

— ჩვენ ფსონს ვდებთ „სახალხო დიპლომატიის" (კონფლიქტის ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ხალხის კონტაქტი) კონცეფციაზე. ამის პარალელურად, ვცდილობთ ავაგოთ კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები. ჩვენ გავაგრძელებთ ასევე 2008 წლის შემდეგ მიმდინარე ჟენევის მოლაპარაკებებს, რომელშიც რუსეთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მონაწილეობენ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**— თქვენი შემდეგი ვიზიტი უცხოეთში სად იქნება?**

— სავარაუდოდ, ვაშინგტონში გავემგზავრები.

**— ერთი წლის წინ, როდესაც პოლიტიკაში ჩაებით, საქართველოს მოქალაქეობა ჩამოგართვეს. გქონდათ ფრანგული პასპორტიც. ახლა რომელი პასპორტით მოგზაურობთ?**

— მე მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეობა მაქვს და კანონის მიხედვით ეს საკმარისია იმისათვის, რომ ვიყო პრემიერმინისტრი. მე თუ კვლავ საქართველოს მოქალაქე გავხდებოდი, ეს უკვე კანონსაწინააღმდეგო იქნებოდა და პრემიერობას ჩამომართმევდნენ. ასე გამოიყურება საქართველოს კონსტიტუცია. ეს სასაცილოა. ეს შეიცვლება — ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ.

**სილვია შტობერი**



# ბატონო გიგი, შენ გლდანის ციხის პატიმრობა დაგშვენდებოდა... და ორი მცირე ეპიზოდი ბიძინა ივანიშვილის „როსკრედიტბანკში“ მოღვაწეობის პერიოდიდან

საააკაშვილის დანაშაულებრივი კლანის წევრი, ქალაქ თბილისის მერი გიგი უგულავა წლების განმავლობაში განკარგავდა ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან აქტივებს — დედაქალაქის ქონებას: მიწის ნაკვეთებს, მშენებლობის ნებართვებს, სხვა უამრავ უძრავ-მოძრავ საჭურჭლეს... მერე ესეც არ აკმარეს და თბილისის იურისდიქციას მიუერთეს სოფლები: კოჯორი, ტაბახმელა, ლისი ... მგონი, სამთო კურორტი გუდაურიც!

„როსკრედიტბანკის“ თანამშრომლები ბიძინა ივანიშვილის პარტნიორთან ვიტალი მალკინთან დაკავშირებით ერთ პატარა შემთხვევას იხსენებენ:

ბანკში დაძაბული გრაფიკითა და რიტმით გადაღლილ მალკინს ივანიშვილისათვის შეუჩივლია: ფულის შოვნა უწინდელივით კმაყოფილებას არ მანიჭებს, რადგან ვერც მის დახარჯვას და ნორმალურ დასვენებას ვახერხებ, თქვენთან როგორაა ამ მხრივ საქმეო!



ასე, რომ სწორედ ამ პერსონას ევალებოდა მასავით კორუმპირებულთა გაუმაძღარი მადის დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. ერთი სიტყვით, უგულავამ კარგა ხანს იგულავა და თავისი კლანის წევრებს სახელმწიფო ხარჯზე უამრავი საჩუქარი გაუკეთა, თვითონაც უხვთოდ გამდიდრდა.

ბოლოს მისი თავხედობა იქამდეც კი მივიდა, რომ ახალი მთავრობის სხდომაზე დაუპატიჟებლად მივიდა და ქვეყნის პირველ პირთან პრემიერ-მინისტრთან სცადა „მორგება“. აქ კი ... მისამართი აშკარად შეეშალა. თუმცა იხტიბარი არ გაიტეხა

და „რუსთავი 2-თან“ ერთ-ერთ ტელეინტერვიუში ბატონი ბიძინას „როსკრედიტბანკში“ მოღვაწეობის პერიოდს გადაწვდა და სადგურის პუტანკები რომ არ იკადრებდნენ, ისეთი ჭორების კორიანტელი დააყენა.

სინამდვილეში კი, ბატონი ბ. ივანიშვილის მიერ „როსკკრედიტის“ მართვის სტილს ეს ორი მცირე ეპიზოდიც მშვენივრად ასახავს, რომელსაც „საერთო გაზეთის“ მკითხველს ქვემოთ ვთავაზობთ:

ბიძინას უპასუხნია, მე სიამოვნებას ქველმოქმედება და გაჭირვებულთათვის დახმარება მანიჭებს, იქნებ ასეთი რამე შენც სცადოო!

მალკინს პარტნიორის რჩევა ყურად უღია და იმავე დღესვე ეკონომიკურ პრობლემებში ჩავარდნილი ბიძისთვის (დედის ძმისთვის) დახმარება გაუწევია.

მეორე დღეს ოფისში მისული პარტნიორისათვის ბიძინას უკითხავს: „რა ქენი, დაეხმარე ვინმეს?“ კი, ბიძაჩემს 100 000 ვაჩუქე!“, მერე რა იგრძენი?

მხოლოდ ის, რომ ასი ათასი დოლარი დავკარგე!.. უპასუხია მოწყენილ მალკინს.

ბანკის ხელმძღვანელობა და მომსახურე პერსონალი თავს მშვიდად გრძნობს, როდესაც ბიძინა ივანიშვილი ოფისშია. მისი არყოფნისას კი, ეს თავდაჯერებულობა სადღაც ქრება და თითქოს ერთგვარი ნევროზული ატმოსფერო ისადგურებს.

**P.S. აი, უკვე ვასრულებ ჩემს პატარა წერილს და წერტილის დასმასაც ვაპირებ, მაგრამ სათაურის შერჩევაზე ფიქრისას ცდუნებს თავს ვერ ვაღწევ და ვიყენებ ერთ-ერთ პოპულარულ ქართულ გაზეთში „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული უკვდავი სტრიქონის შესანიშნავ პერეფრაზირებას: „შენ გლდანის ციხის პატიმრობა დაგშვენდებოდა“... და სავსებით სამართლიანად მიმაჩნია ამ ფრაზის გამოყენება, რამეთუ უამრავ ინფორმაციებს ვიღებ თბილისის მერის გიგი უგულავას მიერ საბიუჯეტო სახსრების არადანიშნულებით და უყაირათოდ ხარჯვაზე, ასევე სხვა უკეთურ ქმედებებზე.**

**ოთარ კუსიანი,**
**საჩხერე**

# pativcemulo rasmusen...

პატივცემულო რასმუსენ,
ამ სააკაშვილს რას უსმენ?

ბავშვობიდან და აქამდე
მატყუარა და ფლიდია.
ნატოც და ევროკავშირიც
მიშას ცალ ფეხზე ჰკიდია.

დაგვღალა, გაგვთახსირა,
ტინგიცობით და ცანცარით,
მისთვის რუსეთი დედაა,
ნატო კი დედინაცვალი.

მისი ნამდვილი ხელობა —
ყაჩაღობა და რეკეტი,
ცხრა წელიწადი გვიხმარა,
ცოცხის ტარით და ხელკეტით.

ქვეყანა გაგვინიავა
და ნაწილ-ნაწილ გაყიდა,
მაგრამ დღეს, როცა გვეშველა,
ღმერთმა დაგვხედა მაღლიდან,
გამოღმა რომ არ ვედავოთ,
ის გვედავება გაღმიდან.



თუ გსურთ სიმართლე გაიგოთ,
პატივცემულო რასმუსენ,
ქართველ ხალხს
უნდა უსმინოთ,
ამ მატყუარას რას უსმენთ?

...რადგან ქართული არ იცის,
როგორც თქვა მისტერ
ანდერსმა,
გთხოვთ, რომ ეს ლექსი
თარგმნოთ და
ისე გადასცეთ ადრესატს.

# ღია წერილი
## პარლამენტარ დავით საგანელიძეს



მთელ საქართველოსთან ერთად მეც ყურადღებით ვადევნებ თვალს პარლამენტის სხდომებს.

მაოცებს და მანცვიფრებს ე.წ. საპარლამენტო უმცირესობის უტიფრობა, ცინიზმი, თავხედობა.

წინა ხელისუფლების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული ეს უმცირესობა დღესაც დასცინის ქართველ ხალხს და თვალში ნაცარს აყრის.

ისინი ისე გველაპარაკებიან, თითქოს ამ ცხრა წლის განმავლობაში ამდენი უბედურება, ამდენი შემზარავი დანაშაული არ ჩაედინოთ ქართველი ხალხის წინაშე.

საშინელებაა ამის მოსმენა, ამის ყურება, ამის ატანა...

**ბატონო დავით, გულწრფელი მადლობა მინდა გითხრათ იმ უკომპრომისობისთვის, იმ ვაჟკაცობისთვის, რასაც თქვენ წინა ხელისუფლებისა და მისი საპარლამენტო გუნდის შეფასებისას იჩენთ.**

**საქართველოს დღეს დიდი სიმართლე ჭირდება და თქვენ ამ სიმართლეს პირდაპირ და შეულამაზებლად ამბობთ, რაც, ჩემი აზრით, ადვილი და იოლი საქმე არ არის.**

საქართველო პატარა ქვეყანაა, ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვიცნობთ, ერთმანეთს ვენათესავებით, საერთო მეგობრები და ნაცნობები გვყავს ანუ საერთო ჯაჭვში ვართ ყველანი ჩაბმულნი და, ასეთ დროს, ცხადია, ძნელია, ადამიანებს ძალზე მწარე და მტკივნეული სიმართლე უთხრა და ბრალდებები წაუყენო.

დარწმუნებული ვარ, თქვენთვისაც ძნელია ამის გაკეთება, მაგრამ თქვენ მაინც აკეთებთ ამას, რადგან დღეს პოლიტიკური რევერანსების დრო არ არის...

არც ანგარიშსწორების მომხრე ვარ, არც შურისძიების, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ მხილება, მათი ნამოქმედარ-ნაავკაცარის ობიექტური ანალიზი და ამ ანალიზის შედეგად ზუსტი და მიუკერძოებელი პოლიტიკური შეფასების გაკეთება აუცილებელია.

კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას და წარმატებებს გისურვებთ.

**პატივისცემით —**
**დიმიტრი სანაია**
**თბილისი**

პირდაპირ დავიწყებ: — ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორი და პრაგმატული იყო ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუდსენის მისამართით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, უფრო ზუსტად, შეთავაზება, საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებში უშუალოდ ჩაერთოს ნატოს წარმომადგენლობა, რომ საბოლოოდ გაქარწყლდეს ეჭვი, თითქოს ახალი ხელისუფლება ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს პოლიტიკური ნიშნით დევნის.

როგორც ცნობილია, ბატონმა რასმუდსენმა თავაზიანი უარი განაცხადა ივანიშვილის შეთავაზებაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამის გაკეთებას საჭიროდ არ თვლის, რადგან ის ენდობა საქართველოს.

საკითხი თითქოს ამით ამოიწურა, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვით სინამდვილეში კვლავ გრძელდება არაორაზროვანი რეპლიკები იმის შესახებ, თითქოს საქართველოში ილახება დემოკრატიული პრინციპები, მკვიდრდება შერჩევითი სამართალი და ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით დევნიან და ავიწროებენ.

„ნაციონალები" უფრო შორს წავიდნენ და თითოეული წვრილფეხა თუ მსხვილფეხა დამნაშავის დაკავებაზე მთელი მსოფლიოს გასაგონად განგაშს ტეხენ: — საქართველოში დიქტატურა მყარდებაო.

ნათელია, რომ „ნაციონალები", რომლებიც ცდილობენ, სადაც არ უნდა დაუჯდეთ, ჩადენილ დანაშაულობათა გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გაექცნენ, თანმიმდევრულად, მიზანმიმართულად ამზადებენ ნიადაგს დიდი ხმაურის ასატეხად და საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის შეცდომაში შესაყვანად.

იმდენად მასშტაბური და გრანდიოზულია. ის უმძიმესი დანაშაულობანი, რაც ამ ცხრა წლის განმავლობაში „ნაციონალურმა მოძრაობამ" ჩაიდინა, რომ გამორიცხული არ არის, დემოკრატიულ მსოფლიოს წარმომადგენლებს გაუჭირდეთ ამ შემაძრწუნებელი ბოროტმოქმედებების დაჯერება, თუ ისინი უშუალოდ არ ჩაიხედავენ და საკუთარი თვალით არ ნახავენ იმ საბრალდებო დოკუმენტებს, რომლებიც გამოძიების პროცესში იქნება წარმოდგენილი.

**მართლაც ძნელი წარმოსადგენია, მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ XXI საუკუნეში არა სადღაც შორეულ და მიუვალ ჯუნგლებში, არამედ ევროპასთან ასე ახლოს, აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე, უამრავი კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციის და დემოკრატიულ სახელმწიფოთა ადმინისტრაციების თვალწინ, შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო აშკარად ფაშისტური ელემენტების შემცველი ტოტალიტარულ-დიქტატორული რეჟიმი, რომელმაც ფარისევლობის არნახული ნიჭით შესძლო დემოკრატიული თანამეგობრობა დაერწმუნებინა, რომ ერთ დიდ, ჯოჯოხეთურ ციხეს კი არა დემოკრატიის მშვენიერ შენობას აშენებდა.**

# qarTuli `niurnbergis procesi~ aucileblad unda Sedges!




კარგია, რომ ბატონი რასმუდსენი გვენდობა, მაგრამ მის გარდა, როგორც ჩანს, არიან ძალები, რომლებსაც სხვადასხვა მოტივებით არ სურთ იმ უბედურებათა დანახვა და აღიარება, რაც „დემოკრატიის შუქურად" წოდებულმა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა საქართველოს თავს დაატეხა.

საქართველოს წინ დიდი განსაცდელი ელის, თუ დროულად არ მოხერხდა იმ ანტისახელმწიფოებრივი ძალების გაუვნებელყოფა, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ხელისუფლებაში იყვნენ და ახლა რევანშისთვის და ანგარიშსწორებისთვის ემზადებიან.

**ამიტომაც აუცილებლად მიგვაჩნია მოწვეული იქნას მეგობარ სახელმწიფოთა ადმინისტრაციების, გაეროს, ევროპარლამენტის, სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებაში, რომლებშიც პოლიტიკური სუბიექტების ბრალეულობა იკვეთება.**

ჯერ მხოლოდ ერთი თვეა გასული, რაც ახალი მთავრობა, კერძოდ იუსტიციის სამინისტრო, მთავარი პროკურატურა და შსს მუშაობას შეუდგა, მაგრამ დროის ამ მცირე მონაკვეთშიც კი, როგორც ამბობენ, უამრავი საჩივარია შესული წინა ხელისუფლების მაღალჩინოსანთა წინააღმდეგ.

როგორ მოიქცეს ახალი ხელისუფლება — ეს საქმეები თაროზე შემოდოს, თუ მათში მინისტრები, მინისტრების მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები ფიგურირებენ?

განა სწორედ ეს არ იქნება შერჩევითი სამართალი?

— ჩვენთან მინისტრებს არ იჭერენ! — ბრძანა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

— თქვენთან მინისტრებს არ იჭერენ, რადგან თქვენთან მინისტრები იმას არ აკეთებენ, რასაც ქართველი მინისტრები აკეთებდნენ.

როცა ადამიანი დანაშაულს სჩადის რატომ არის მინისტრობა, გნებავთ პარლამენტარობა, პრეზიდენტობა ან პრემიერ-მინისტრობა ხელშეუხებლობის გარანტი საქართველოში და რატომ არ არის იგივე თანამდებობები ხელშეუხებლობის გარანტი სხვა სამართლებრივად მოწესრიგებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში?

როგორც ჩანს, „ნაციონალურმა მოძრაობამ" და მისმა ლიდერმა წარმოუდგენლად დიდი მასშტაბების სამუშაო გასწიეს იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ხალხი ერთი ბნელი, უწიგნური, ჯიუტი და ურჩი ხალხია, რომლისთვისაც უცხოა დემოკრატიული ღირებულებები.




მათ დაარწმუნეს მსოფლიო, რომ საქართველოში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება მხოლოდ მათრახით, ხელკეტით, სხვადასხვა სახის სადამსჯელო ღონისძიებებით არის შესაძლებელი.

წესრიგისა და სტაბილურობის, პარალელურად, დემოკრატიის დამკვიდრების ლოზუნგით განმტკიცებული სამოქმედო სქემა შესანიშნავი საშუალება აღმოჩნდა „ნაცმოძრაობის" პოლიტიკური და ბიზნესინტერესების განსახორციელებლად.

„ნაცმოძრაობა" თანდათან იქცა კალვერას ბანდად, რომელიც საკუთარ მოსახლეობას და საკუთარ ქვეყანას წლების განმავლობაში უმოწყალოდ ძარცვავდა და ყვლეფდა, ხოლო პოლიტიკურ ოპონენტებს სასტიკად უსწორდებოდა.

აი, ამ ძალასთან თანამშრომლობისკენ მოგვიწოდებენ დღეს ჩვენი უცხოელი მეგობრები და კეთილისმყოფლები?

**როგორ და რანაირად უნდა მოახერხოს ეს ახალმა ხელისუფლებამ და რომც მოახერხოს, როგორ დაარწმუნოს ქართველი ხალხი, რომ დამნაშავეები და კრიმინალები არ უნდა დაისაჯონ, რადგან ეს ჩვენი უცხოელი მეგობრების მხრიდან შეიძლება პოლიტიკურ დევნად შეფასდეს.**

ქართველმა ხალხმა ძალიან ბევრი გადაიტანა ამ ცხრა წლის განმავლობაში, ძალიან ბევრი რამ ითმინა, მაგრამ მისი ღირსების შემლახველი და შეურაცხმყოფელი პოლიტიკური შეფერილობის ბანდის — „ნაცმოძრაობის" დაუსჯელ პარპაშს და ფარისევლობას მეტს ვერ მოითმენს.

სამწუხაროდ, როცა ქართველი ხალხი დემოკრატიული თანამეგობრობისგან შველას და დახმარებას ითხოვდა მოძალადე ხელისუფლებისგან გასათავისუფლებლად, არავინ არ აღმოჩნდა მის გვერდით, არავინ არ გამოუწოდა დახმარების ხელი.

პირიქით, სწორედ კრიმინალურ რეჟიმს გამოუჩნდნენ საერთაშორისო არენაზე ქომაგები და მფარველები, რომლებიც ქართველ ხალხს არწმუნებდნენ, რომ შავი თეთრია, ხოლო სააკაშვილი-დემოკრატი.

ეს უნდა დამთავრდეს და ეს რომ დამთავრდეს, სწორედ ამისთვისაა საჭირო საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევა და მათთან ერთად, მათთან მჭიდრო თანამშრომლობით იმ დანაშაულობათა ობიექტური გამოძიება, რომლებშიც წინა ხელსუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობა აშკარაა.

**ვახტანგ ხარჩილავა**

# საქართველოს მთავარ პროკურატურას
# საქართველოს შსს სამინისტროს

# aWara _ saxelmwifo biujetidan moparuli milionebis saidumlo salaro

„ჩვენ მოვახერხეთ და საქართველოში ძირფესვიანად ამოვძირკვეთ კორუფცია", — გაჰკიოდა ე.წ. პრეზიდენტი სააკაშვილი ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, მაგრამ თავად რამდენად სჯეროდა ამ ტყუილის, სწორედ ამაზე მექნება დღეს საუბარი.

დავიწყებ აჭარიდან, უფრო სწორად კი 2004 წლის 6 მაისის მოვლენებიდან, როცა მდიდარი კუთხის გასაძარცვად, „ნაცმოძრაობის", „თავისუფლების ინსტიტუტის" და „მოქ. კავშირის" ნარჩენებმა, შტურმით გადმოლახეს მდინარე ჩოლოქი, გზადაგზა თავისნაირი ნაგავი აიწებეს და ბათუმს მოადგნენ... შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს ის, რომ 2004 წლის 6 მაისიდან 10 მაისის ჩათვლით, ბათუმი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით — იძა-რ-ცვე-ბოდა!!! დიახ, უმოწყალოდ გაიძარცვა აჭარის



უზენაესი საბჭოს შენობა. აჭარის უშიშროების სამინისტრო. აჭარის ხელოვნების მუზეუმი. ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა, საიდანაც 5 უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კატარღა გაიტანეს. აჭარის ტელევიზია. ბათუმის კორტებზე მდებარე სასტუმრო. ტერმინალები, სადაც კომპიუტერები, ფოტოაპარატები, ნეთბუკები და ციფრული დიქტოფონები ინახებოდა. აგრეთვე, საწყობები, სადაც იტალიაში დამზადებული სპეციალურად ბათუმის ბულვარისთვის შექმნილი ქანდაკებები ელაგა. გაიძარცვა ბევრი შეძლებული ბათუმელის სახლი, საიდანაც თავის დროზე, თბილისიდან გასაყიდად ჩატანილი უდიდესი ფერმწერების — კრამსკოის, აივაზოვსკის, გაბაშვილის, ფეტვიაშვილის, ახვლედიანის, გუდიაშვილის, კაკაბაძის და ა.შ. ფერწერული ტილოები ინახებოდა. აგრეთვე, მდიდარი ბათუმელების სახლებიდან უკვალოდ გაიტაცეს ანტიკვარული ნივთები და რაც მთავარია, უძვირფასესი წიგნები, მათ შორის „ვეფხისტყაოსნის" 6 უძველესი წიგნი, რომელთა შორის იყო მეფე ვახტანგ VI-ის დროინდელი, პირველი სტამბური გამოცემა.

ბევრი ბათუმელი დამეთანხმება იმაში, რომ აღნიშნული „ტრაფეი" — დიდი ტრაილერებით გამოჰქონდათ ნაძირალა რევოლუციონერებს თბილისისაკენ, მაგრამ განსაკუთრებით დამეთანხმებიან ის ადამიანები, ვინც ამ უმსგავსობას მაშინვე აპროტესტებდა და მეტიც, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ აჭარის საკუთრება აჭარაშივე დარჩენილიყო. დიახ, სწორედ ასეთმა ადამიანებმა მოახერხეს ის, რომ ბათუმს გაცილებული 2 ტრაილერი ძალის გამოყენებით მოატრიალეს და აიძულეს სააკაშვილი განმარტება გაეკეთებინა მოროდიორობის შესახებ. რა თქმა უნდა, ბევრმა არ იცის, რომ სწორედ ნაძარცვი ნივთები იქნა ბათუმის სანაპიროზე გამოტანილი ე.წ. „აუქციონზე", სადაც მაშინ უშიშროების თანამშრომელი გიგი უგულავა ბათუმელებს მოუწოდებდა: „ეს ყველაფერი რასაც თქვენ აქ ხედავთ, ასლან აბაშიძემ მოგპარათ და ამიერიდან თქვენ გეკუთვნითო"!

ძვირფასო მკითხველო, როგორც თქვენ არ შეგიძენიათ არაფერი იმ აუქციონიდან, ისე არ შეუძენია აჭარაში არავის საკუთარი ოჯახიდან თუ სახელმწიფო დაწესებულებებიდან გატანილ-ნაქურდალი და, რა ბედიც ეწია აღნიშნულ „ლოტებს", მოგვიანებით, ალბათ, ხვდებით.

აჭარის ბოლომდე გაძარცვა კი გრძელდებოდა... გრძელდებოდა...

„ფულს სუნი არა აქვსო", — არსებობს ასეთი გამოთქმა, მაგრამ რაც დრო გადის ირკვევა, რომ „ნაცების" მიერ მიტაცებული მილიარდები სულ მალე დაიწყებს აქოთებას!

ფინანსთა სამინისტრო, უშიშროების სამინისტრო და კონტროლის პალატა რაც მალე დაიწყებს „ნაციონალური ფულით" დაინტერესებას, მით უფრო მალე დავრწმუნდებით იმაში, რომ 8-წლიანმა „აღმშენებლობითმა" საქმიანობამ, საქართველოში მხოლოდ სააკაშვილის, მერაბიშვილის, უგულავას, ადეიშვილის და მრავალი სხვა, წვრილი თუ მსხვილი „ნაცების" ოჯახები ახეირა და პირადად მათი კეთილდღეობის სამსახურში იყო ჩართული ქვეყნის ბიუჯეტი თუ შეწერილ-ჩამოწერილი ქონება!

რამდენიმე დღის წინ ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, პრესაში განაცხადა, რომ სპექტაკლი „ქეთო და კოტე" სახელმწიფო ბიუჯეტს 2 მილიონ „სჩემტო" დაუჯდაო. ახლა რა ხარისხის და რა მხატვრული ღირებულების მატარებელი იყო აღნიშნული უნიჭობა, დროს არ დავკარგავ განხილვით, მაგრამ „საერთო გაზეთს" რამდენიმე დღის წინ დეტალური უწყისი გამოგვიგზავნეს აჭარიდან, სადაც ნათლად იკითხება არა მხოლოდ „წვრილ-წვრილი" დანახარჯების ციფრები, არამედ „მეგა-ვარსკვლავ" სოფო ნიჟარაძის, ლადო ათანელის და პაატა ბურჭულაძის საჰონორარო თანხებიც! თურმე ნუ იტყვით და ამ გატყავებულ ქვეყანაში ქალბატონ ნიჟარაძეს იმიტომ, რომ ეს „მავანს" ასე სურდა — „კოტეს კუტუში" 15 000 ევრო (დიახ, ევრო და არა ეროვნული ვალუტა ლარი) აუღია! ბატონ ლადო ათანელს 20.823 ევრო. ხოლო პაატა ბურჭულაძეს, ყველაზე მეტი 49 ათასი ევრო. პირადად, მე არავის შემოსავალს არ ვაკონტროლებ, მაგრამ შე დალოცვილო, იმ დროს, როცა ამდენი ავადმყოფი, ხეიბარი, მშიერი და სასოწარკვეთილი ადამიანი გყავს შენს სამშობლოში — ამხელა ჰონორარის აღება და ჯიბეში გაქანება არ გრცხვენია? ანდა ამხელა რანგის მუსიკოსი რომ გქვია (რა თქმა უნდა, ნიჟარაძეს არ ვგულისხმობ) და მსოფლიო შენს კონცერტებზე ფეხზე წამოდგომით რომ გიკრავს ტაშს —მიშას მოწონებულ „ქეთო და კოტეში" როგორ მღერიხარ?



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | სოლისტი პაატა ბურჭულაძე | | | 41,565.88 | 49,017.74 |
| | წარმოდგენაში მონაწილეობის ანაზღაურება 15 000 ევრო (ჯარიმის თანხა) | 1 | 35331 | 35,331.00 | 35,331.00 |
| | საშემოსავლო 15% არარეზიდენტი | 2 | | 6,234.88 | 6,234.88 |
| | დღგ 18% არარეზიდენტი | | | | 7,481.86 |
| 5 | სოლისტი სოფო ნიჟარაძე | | | 15,000.00 | 15,000.00 |
| 6 | სოლისტი ლადო ათანელი | | | 17,647.06 | 20,823.53 |
| | წარმოდგენაში მონაწილეობის ანაზღაურება | 1 | 15000 | 15,000.00 | 15,000.00 |
| | საშემოსავლო 15% არარეზიდენტი | 1 | | 2,647.06 | 2,647.06 |
| | დღგ 18% არარეზიდენტი | | | | 3,176.47 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15 | სასტუმროებით მომსახურება | | | 28,559.27 | 32,517.68 |
| 1 | სასტუმრო სუტნიკი მომსახურება შპს „დელტა ჯორჯია" | | | 15,435.51 | 18,213.90 |
| | მ.შ. სასტუმრო სუტნიკი [illegible] თანამშრომლები შპს „დელტა ჯორჯია" | 1 | 9536.00 | 8,081.36 | 9,536.00 |
| | მ.შ. სასტუმრო სუტნიკი ცხოვრება კვებით რეზიდენტი | 1 | 8677.90 | 7,354.15 | 8,677.90 |
| 2 | სასტუმრო [illegible] შპს „[illegible] 2008" | | | 1,822.03 | 2,150.00 |
| | მ.შ. სუხიშვილების დასის ცხოვრება [illegible] კვებით | 1 | 2150.00 | 1,822.03 | 2,150.00 |
| 3 | სასტუმრო რადისონი შპს „არგო მენეჯმენტი" | | 10200.12 | 11,301.73 | 12,153.78 |
| | მ.შ. სოლისტების ცხოვრება-კვების ღირებულება | 1 | 5254.47 | 5,254.47 | 5,254.47 |
| | მ.შ. საშემოსავლო 20% | | | 1,313.62 | 1,313.62 |
| | მ.შ. არარეზიდენტი ფიზპირები ცხოვრება-კვების ღირებულება | 1 | 1648.60 | 1,648.60 | 1,648.60 |
| | მ.შ. საშემოსავლო 15% არარეზიდენტი ფიზ.პირებიდან | | | 290.93 | 290.93 |
| | მ.შ. დღგ 18% არარეზიდენტი ფიზ.პირებიდან | | | 0.00 | 349.12 |
| | მ.შ. თანამშრომლები ორგანიზაციებიდან ცხოვრება-კვების ღირებულება | 1 | 3297.05 | 2,794.11 | 3,297.05 |
| 16 | ტრანსპორტირებით მომსახურება შპს „ქვისტ თრეველი" | | 37760.00 | 36,075.26 | 40,885.54 |
| | თანამშრომლების | 1 | 22920.00 | 22,920.00 | 22,920.00 |
| | დღგ 18% | | 4,125.60 | | 4,125.60 |
| | ტრანსპორტირება მონაწილეების არარეზიდენტი ფიზ.პირებიდან | 1 | 3233.20 | 3,233.20 | 3,233.20 |
| | საშემოსავლო 15% არარეზიდენტი ფიზ.პირებიდან | | | 570.56 | 570.56 |
| | დღგ 18% არარეზიდენტი ფიზ.პირებიდან | | | 0.00 | 684.68 |
| | ტრანსპორტირება მონაწილეების რეზიდენტი ფიზ.პირებიდან | 1 | 7481.20 | 7,481.20 | 7,481.20 |
| | საშემოსავლო 20% რეზიდენტი ფიზ.პირებიდან | | | 1,870.30 | 1,870.30 |
| 17 | ავიატრანსპორტირება მონაწილეების შპს „ვია თრეველი" | | 9,164.90 | 10,052.48 | 10,511.39 |
| | WILD/DUNCAN MR ATH-IST-TBS/BUS-IST-LON და ათანელი ლადო TBS-BUS-TBS ავიაბილეთების ღირებულება | 1 | 2167.10 | 2,167.10 | 2,167.10 |
| | საშემოსავლო არარეზიდენტის 15% | | | 382.43 | 382.43 |
| | დღგ არარეზიდენტი 18% | | | | 458.92 |
| | მონაწილეები ორგანიზაციებიდან (სუხიშვილები) თბილისი-ბათუმი ავიაბილეთების ღირებულება | 32 | 118.60 | 3,795.20 | 3,795.20 |
| | სოლისტები თბილისი-ბათუმი-თბილისი ავიაბილეთების ღირებულება | 1 | 2966.20 | 2,966.20 | 2,966.20 |
| | საშემოსავლო 20% | | | 741.55 | 741.55 |
| | თანამშრომლები თბილისი-ბათუმი-თბილისი ავიაბილეთების ღირებულება | 1 | 236.40 | 236.40 | 236.40 |
| 18 | სასმელი წყალი და კვება მონაწილეების შპს „საგა ფუდი" | | | 843.28 | 862.91 |
| | მონაწილეთა სასმელი წყლით მომარაგების მომსახურება | 1 | 128.70 | 109.07 | 128.70 |
| | სოლისტების კვება 25 კაცის | 1 | 587.37 | 587.37 | 587.37 |
| | საშემოსავლო 20% სოლისტების კვების | | | 146.84 | 146.84 |
| 19 | საბეჭდი მასალა პოლიგრაფია შპს „ნიუ გრუპი" | | | 883.05 | 1,041.99 |
| | ბანერების, ბუკლეტების, და მოსაწვევების ბეჭდვის ღირებულება | 1 | 824.87 | 699.05 | 824.87 |
| | ბილეთების ბეჭდვის ღირებულება | 460 | 0.472 | 184.00 | 217.12 |
| 20 | ბიზნეს პროტოკოლ პლიუსი ორგანიზება | | | 27,880.98 | 27,500.00 |
| | ორგანიზება ტექპერსონალის ჰონორარები | 1 | 22000 | 22,000.00 | 22,000.00 |
| | საშემოსავლო 20% | | | 5,500.00 | 5,500.00 |
| | ბანკის საკომისიო და სხვა ხარჯები | 1 | 381 | 380.98 | 380.98 |
| | ჯამი | | | 150,231.13 | 147,328.58 |
| | [illegible] | | | 150,231.13 | |
| | მოგება 10% | | | 15,023.11 | |
| | ჯამი | | | 165,254.24 | |
| | დღგ 18% | | | 29,745.76 | |
| | [illegible] | | | 195,000.00 | |

შპს „ბიზნეს პროტოკოლი პლიუსი"-ს დირექტორი /[illegible]/

კარგით, დავამთავროთ დიდ „ხელოვნებაზე" საუბარი და გადავიდეთ უფრო საინტერესო ფაქტებზე, კერძოდ კი — სპეციალურად სააკაშვილის ოჯახის, კონკრეტულად კი მისი ძვირფასი დედის, სპეციალურად გიული ალასანიასთვის შექმნილ „შპს აი-პი-აი საზოგადოებრივი კვლევის ინსტიტუტთან" დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე, სადაც გარკვევით ვკითხულობთ, რომ აღნიშნული „შპს"-ს დირექტორი ვინმე კახაბერ გიგიტელაშვილია, ხოლო მისი პარტნიორები კი „იმედის" ყოფილი შეფი გიორგი არველაძე და დიმიტრი კილაბერიძე გახლავთ! როგორც წარმოდგენილ დოკუმენტში ჩანს, არველაძეს და კილაბერიძეს 50-50 პროცენტი ეკუთვნით აღნიშნული „შპს"-ში, მაგრამ ხომ ძალიან საინტერესოა, ზემოაღნიშნულ კერძო ფირმაში ძალიან დიდი თანხები საიდან შემოედინებოდა? საიდან და, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა — სახელმწიფო ბუჯეტიდან. ე.ი. „ნაც.მოძრაობა", სახელმწიფო ბიუჯეტს საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავდა და მეტიც, პირდაპირ ავალებდა ყველა სამინისტროს აჭარაში, რომ საკმაოდ სოლიდური გადარიცხვა მაინცდამაინც გიორგი არველაძის „შპს"-ში განეხორციელებინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარი პროკურატურის მაღალჩინოსანნო, კარგად დააკვირდით „საერთო გაზეთის" მიერ ექსკლუზიურად გამოქვეყნებულ ამ დოკუმენტებს და ნათლად დაინახავთ აჭარიდან ერთ-ერთი სამინისტროს მიერ არველაძის „კანტორაში" გადმორიცხული ფულის რაოდენობას, რომელიც მხოლოდ ამ დოკუმენტში 15 მილიონია! მაგრამ, როგორც ჩემი წყარო მაუწყებს, აჭარის სხვა სამინისტროებიც ახორციელებდნენ მსგავს გადმორიცხვებს არველაძის ანგარიშებზე და ამ კრიმინალურ კამპანიას სათავეში — ლევან ვარშალომიძის სიტყვიერი განკარგულება ერთვოდა თან! ნუ იფიქრებთ, რომ „ჩემი წყარო" ვილაც შარახვეტია ინტრიგანია— არა, ბატონებო. ეს პიროვნება წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარაში მაღალ თანამდებობაზე და ასევე წლების განმავლობაში აგროვებდა იმ კანონდარღვევების დოკუმენტურ ნუსხას, რომელიც ასე მრავლად არის დღეს წარმოდგენილი მის პირად „არქივში". როგორც „წყარომ" მიამბო, ლევან ვარშალომიძე პირადად აკონტროლებდა გადარიცხვების სიზუსტეს და თუკი „შპს აი-პი-არ"-ში გადასარიცხი თანხა 200 000 ლარზე ნაკლები იყო — დაჭერით ემუქრებოდა იმ მინისტრებს, ვინც თანხის „მობილიზებას" დროულად ვერ ახდენდა!

ახლა ჩვენს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს, რომელიც საჯარო რეესტრიდან არის მოპოვებული და რომლის სიზუსტესაც სწორედაც, რომ საჯარო რეესტრი ადასტურებს, წყალი არ გაუვა, მაგრამ ისიც ხომ საინტერესოა, თვითონ გიორგი არველაძე და მის „შპს-ში" შეგრიალებული ფინანსები, დროთა განმავლობაში საით მიექანებოდა? როგორც ჩემი „წყარო" მამცნობს და ირწმუნება, ბატონი არველაძე ამ ფულს ე.წ. პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედის გიული



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა № 1544015

სერია ბბ - 05

30 ივნისი 2009 წ.

2 გამყიდველი

21 2 0 5 2 4 7 0 7 3

24 0 8 6 2 3 2 11.04.08

002 000330 001

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | | | | | აქციზი | | დღგ | | საქონლის (სამუშაოს მომსახურების) ღირებულება დღგ-ის და აქციზის ჩათვლით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| ხელშეკრულება # 126 (02.06.2009) | | | | 12.711-86 | | | 18% | 2.288-14 | 15 000- |
| სულ | | | | 12.711-86 | | | | 2.288-14 | 15 000- |

14 ზედნადების№

15 თარიღი

ხელმძღვანელი

16 მყიდველის ჩაბარდა ხელზე (ხელმოწერა)

ალასანიას პირად ანგარიშზე დებდა და ნახეთ, როგორ? ბუჯეტიდან „მოხსნილი“ ფული, ერთ-ერთი ჩინოვნიკის „შპს“-ში ირიცხება, ხოლო თავად „შპს“-კი, დედა დედოფალის პირად ანგარიშზე რიცხავს. არ არის ეს ელიტარული კორუფციის თვალსაჩინო ნიმუში? ჰოდა, თუ კი არის და ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს – რაღას უცდის ან შსს, ან კონტროლის პალატა და ან კიდევ ანტიკორუფციული სამსახურის მაღალჩინოსნობა?

როგორც უკვე მოგახსენეთ, წარმოდგენილი დოკუმენტები ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც რეალურად ხდებოდა აჭარაში, მაგრამ სამართალდამცავებს და ახალ ხელისუფლებას ნურც ის დაავიწყდება, რომ „ნაც.მოძრაობის“ საცეცები ამჟამინდელ აჭარაში ბევრად უფრო მეტია და კარგი იქნება, თუ საფუძვლიანად შეისწავლიან კახა ბენდუქიძის, „ცენტრ. პოინტის“, ვანო მერაბშვილის, გიგი უგულავას და სხვა მრავალთა „ბიზნეს ინტერესებსაც“ მშენებლობის, კვების ობიექტების, ინფრასტრუქტურის „მოწესრიგების“ და ა.შ. საკითხებში.

მე როგორც ჟურნალისტი და როგორც 2003 წლის 6 მაისს დაზარალებული მოქალაქე ირინე გოგოსაშვილი აგრეთვე სასწრაფოდ ვითხოვ, ძირფესვიანად შემოწმდეს ქ. ბათუმის მერიის საფინანსო განყოფილება. აჭარის განათლების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს მოღვაწეობა და ფინანსური აუდიტი, განსაკუთრებით კი ყოფილი მინისტრის ალექსი ჩიკვაიძის პერიოდში. ხოლო ვიდრე სამართალდამცველები მოიძიებენ ბენდუქიძე-ჩიკვაიძის იმჟამინდელ კანონდარღვევებს, მოვუწოდებ აჭარელ ბიბლიოთეკარებს ხმა ამოიღონ ქალაქ ბათუმის ცენტრში მდებარე აწ უკვე გაყიდულ უნიკალურ საბიბლიოთეკო შენობების „ინვესტიცირებაზე“ და იმაზეც ხმამაღლა ისაუბრონ, აღნიშნული ბიბლიოთეკებიდან ტომრებით გატანილ უნიკალურ წიგნებზე, რომლებიც 18-19 საუკუნით თარიღდება.

აგრეთვე ხმამაღლა ისაუბრონ განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა №6 სკოლის დანგრევისა და „პრივატიზაციის“ შესახებ და ისიც თქვან, რუსთაველის ქუჩაზე ახლა ამ სკოლის ადგილზე ვის საკუთრებაში არსებული კომერციული დანიშნულების შენობაა აგებული?

კარგი იქნება ისიც, თუ ბათუმის მოსახლეობა ხმამაღლა ისაუბრებს ყოფილი ფოსტის და მის მიმდებარედ შეძენილი უნიკალური არქიტექტურის სახლებზე და იტყვიან, ვის მფლობელობაშია დღეს ისინი?

ვის მფლობელობაშია ძველი ბულვარის მიმდებარე ქუჩაზე ჩამწკრივებული ინგლისური თუ ფრანგული არქიტექტურით ნაგები უნიკალური სახლები და ბარემ ისიც თქვან ხმამაღლა: ძველ ბათუმში, თურქებმა პროსტიტუციის და განუკითხაობის ბუდე რომ ააშენეს, ვინ „კრიშავს“ მათ და ყოველთვიურად რამდენია თურქების ხარკი, აღნიშნული ობიექტიდან?

მოკლედ, აჭარაში ბევრია გამოსაძიებელი, ძალზე ბევრი და კარგი იქნება, თუ ახალი ხელისუფლება „ნაც. მოძრაობის“ უძრავი ქონებით დაინტერესებას, სწორედ საქართველოს ამ კუთხიდან დაიწყებს. სხვათა შორის, ჩემსავით, ალბათ ბევრს აინტერესებს, სოფ. კვარიათში, ანგისაში, ციხისძირში, ბუკნარში, ჩაქვში და ქობულეთში აშენებული „ვარსკვლავური ვილების“ თანხათა წარმომავლობაც, რადგან თუ „ავ ენებს“ დაეჯერებათ, ეს აგარაკები სააკაშვილის ხელისუფლებამ საკუთარი „დამკვრელებისთვის“ ააგო და საინტერესოც სწორედ ეგ არის: „პირადი დანაზოგით ააშენა“ თუ საბიუჯეტო თანხებით?

ამჯერად აქ შევჩერდები. შემდეგ ნომერში კი დაწვრილებით ვისაუბრებ აჭარაში ხელოვნურად გაუქმებულ და გაკოტრებულ ავიაკომპანია „აჭარაზე“, რომლის საკუთრებაში მყოფი 5 მილიონად ნაყიდი თვითმფრინავი მიხეილ სააკაშვილმა 90 000 ლარად „მიჰყიდა“ ავიაკომპანია „აირზენას“, ხოლო გაკოტრებული ფირმის დირექტორი და მოადგილე ციხეში გაისტუმრა!

**ირინე გოგოსაშვილი**

# irakli Camovida. axla miSas gaqcevis droa!

## საქართველოს უკვე ორი ცოტნე ჰყავს — ერთი ცოტნე ახალაია, მეორე — ცოტნე ოქრუაშვილი





საქართველოს უკვე ორი ცოტნე ჰყავს: ერთი ცოტნე (იგივე ბაჩანა) ახალაია, მეორე – ცოტნე (იგივე ირაკლი) ოქრუაშვილი.

მათ ბევრი რამ აერთიანებთ ერთმანეთთან – ერთიც შსს მინისტრი და თავდაცვის მინისტრი იყო, მეორეც – შსს მინისტრი და თავდაცვის მინისტრი გახლდათ. როგორც ამბობენ, ერთსაც და მეორესაც ერთმანეთის მსგავსი საქმეები აქვთ ნაკეთები – ერთნაირად იჭერდნენ, ერთნაირად სცემდნენ და მილიონებსაც თითქმის ერთიდაიგივე ხერხებით შოულობდნენ.



ძველმა პატრონებმა ერთიც საზღვარგარეთ გააპარა და მეორეც, ახალმა ხელისუფლებამ კი ერთიც გლდანის მე-8 საპყრობილეში ჩასვა და მეორეც იქ შეასახლა.

ერთიც მართალი ვარო, იძახის და მეორეც.

ერთიც გამოძიებასთან თანამშრომლობით იქადნება და მეორეც.

ორივე პოლიტიკური დევნილია, ოღონდ ერთს ეს სტატუსი საფრანგეთმა მიანიჭა, მეორეს – ბოცომ, აკომ და თეაკომ.

მოკლედ, მთლად ძმები თუ არ არიან, ბიძაშვილ-მამიდაშვილად ნამდვილად ერგებიან ერთმანეთს.

არსებობს ვარაუდი, რომ ირაკლის ჩამოსვლა სტიმულს მისცემს ბაჩანას, რომ დროზე ამეტყველდეს, თორემ ხომ შეიძლება მისი სათქმელიც ირაკლიმ თქვას და მართალი ბაჩო დიდხანს, დიდხანს დაყოვნდეს ციხეში.

რას იზამ, საბაზრო ეკონომიკაა, ძმაო, ქვეყანაში და თუ დროზეარ გააბაზრებ გასაბაზრებელს, სხვები გააბაზრებენ.

ირაკლი, იგივე ცოტნე ოქრუაშვილი, გახარებული და სახეგაბადრული გაემართა გლდანის ციხეში ჩასაჯდომად.

იცის, დიდხანს არ მოუწევს ჩაჯდომა – ისეთი ძვირფასი მასალები აქვს ჩამოტანილი კბილაშვილის უწყებისთვის, მაგას იქ დიდხანს ვინ გააჩერებს?

ირაკლი ჩამოვიდა!

ახლა მიშას გაქცევის დროა!

**გიორგი გამეზარდაშვილი**



**ვიქტორ დოლიძე, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი:** – ოქრუაშვილთან დაკავშირებით თუ რაიმე სამართლებრივი კითხვა არსებობს, ყველაფერს პასუხი უნდა გაეცეს. ის, რომ ოქრუაშვილი პოლიტიკურად დევნილია, ჩემი აზრით, ეს მართლაც ესეა, მაგრამ თუ რაიმე კითხვებია სამართლებრივი კუთხით, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მისი ბედი.

**ზაქარია ქუცნაშვილი:** ოქრუაშვილი აქტიური კაცია და ბუნებრივია, სამშობლოში ცხოვრება,



 მისთვის მნიშვნელოვანია, ყველაზე დიდი ბედნიერებაა. არა მარტო ირაკლი ოქრუაშვილი, არამედ ბევრი სხვა ადამიანი მზად არის ამხილოს მაღალი თანამდებობის პირები, მაგრამ, არა მგონია, გამოძიებაში ჩართული ადამიანები ოქრუაშვილთან გარიგებაში იყვნენ შესული, რადგან ხელისუფლებას სამხილების არსებობა არ უჭირს. სასურველი იქნებოდა წინა ხელისუფლების წარმომადგენლებზე არანაირი სამხილები არ არსებობდეს.



**ნუგზარ წიკლაური, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:** – ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში დაბრუნება პირველი ოქტობრის არჩევნების შემდეგ მოსალოდნელი იყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პარლამენტმა აქტიური განხილვები დაიწო სხვადასხვა პირებისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭების შესახებ. ვფიქრობ, ირაკლი ოქრუაშვილთან წინასწარი მოლაპარაკებები, სავარაუდოდ, მის საქართველოში დაბრუნებამდე მიმდინარეობდა და კონსულტაციები ხელისუფლებასთან მომავალშიც გაგრძელდება. იმ შემთხვევაში, თუ ირაკლი ოქრუაშვილი ხელისუფლებასთან დაიწყებს თანამშრომლობას და ყოფილი თანამებრძოლების წინააღმდეგ ქმედებების განხორციელებასა და ჩვენებების მიცემას დაიწყებს, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილის საპატიმრო დაწესებულებიდან გამოშვება მალე მოხდება. გიორგი კალანდაძის, „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარანარევ პოლიტიკურ შეთავაზებებს, რომ დაეთმოთ ადამიანებს სხვადასხვა პოზიცია და როდესაც ეს არ ხდებოდა, ხელისუფლებას ჰქონდა უმარტივესი ბერკეტი ამა თუ იმ პირისა თუ უწყების განეიტრალება მოეხდინათ შეთითხნილი, შეკერილი საქმეებით. ირაკლი ოქრუაშვილის შემთხვევაში, რომელსაც ბრალი სამი მუხლით აქვს წაყენებული, მიუთითებენ, როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება ვერ შედგა, უნდა ველოდეთ, რომ ირაკლი ოქრუაშვილს ციხეში ყოფნა მოუწევს. ამ ხელისუფლებას არ ეტყობა არანაირი ნიშანწყალი იმისა, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკური ჯგუფების, დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურების გამრავლებას შეუწყოს ხელი.

**ხათუნა ლაგაზიძე, ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში:** – ოპოზიცია ეცდება ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლა დასავლეთის თვალში ცუდი კუთხით გააპიაროს. ისინი ეცდებიან ოქრუაშვილის ფაქტორი გამოყენონ, როგორც დასტური იმისა, რომ დღევანდელი ხელისუფლება შერჩევით სამართალს ეწევა.



ირაკლი ოქრუაშვილის გათავისუფლება, ან მისთვის სიმბოლური სასჯელის წაყენება თუ მოხდა, ეს ფაქტი ოპოზიციისთვის ყველაზე ძლიერი მტკიცებულება იქნება იმისთვის, რომ ხელისუფლება შერჩევით სამართალს ახორციელებს“, – განაცხადა ლაგაზიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ოქრუაშვილის საქმესთან დაკავშირებით ობიექტურობა უნდა დაიცვას. ერთადერთი გამოსავალი, რომ ოქრუაშვილის თემა ხელისუფლებას თავის ტკივილად არ ექცეს არის ის, რომ ოქრუაშვილის საქმესთან დაკავშირებით უნდა იყოს სამართლიანი მიდგომა და სამართლიანი სასამართლოს მიერ უნდა იყოს ის განაჩენი გამოტანილი, რომელსაც ოქრუაშვილს შეუფარდებენ.

**მირანდა ნაბახტეველი**

# `nacmoZraoba~ natos rezidenturaa

## ნატო არ არის ქართველი ხალხის მოკავშირე, ის სააკაშვილების და ახალაიების მოკავშირეა

**გვესაუბრება პარტია „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა:**

— რაც ახლა ხდება, ამ ყველაფერზე ქართველმა საზოგადოებამ დასკვნა უნდა გამოიტანოს. ყველაზე არაადეკვატურად სწორედ ქართული საზოგადოება იქცევა იმიტომ, რომ რასმუსენის „ფეისბუქის“ გვერდზე უამრავი ლანძღვა გამოქვეყნდა, მაგრამ პარალელურად თუ მათ გამოკითხავთ, დიდ ნაწილს ნატოში საქართველოს ინტეგრაცია სურს. ქართველები ხშირად ვიგიჟიანებთ თავს, ახლა უნდა დავწყნარდეთ და ცივი გონებით გადავწყვიტოთ რა გვინდა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ნატო საქართველოს მეგობართა კლუბია, ასე არაა. ნატო ნიშნავს იმას, რომ საქარველოს



სუვერენიტეტი შეზღუდული იქნება და ჩვენ ვიქნებით აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების სატელიტი. თუ ჩვენ ამ ქვეყნებს ვენდობით და მათი სატელიტობა გვსურს, მაშინ რასმუსენს ნულარ ვლანძღავთ. იმიტომ, რომ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაცია ნიშნავს სუვერენიტეტის შეზღუდვას და მერე მარტო ახალაიას საქმეზე კი არ მიგვითითებენ, არამედ კიდევ ბევრ სხვა რამეზეც.

**— კახა, რას ნიშნავდა რასმუსენის აღშფოთება პოლიტიკური ოპონენტების დევნის შესახებ. აბსურდია, მან არ იცოდეს, რა ხდება აქ რეალურად?**

— არაინფორმირებულობაზე აქ საუბარი აბსურდია. უბრალოდ, ნატოს „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლუსის შენარჩუნება სჭირდება. უფრო სწორედ ეს დასავლეთს სჭირდება. მოვისმინეთ განცხადებები, რომ სააკაშვილი არ უნდა გადადგეს, თითის ქნევა საზოგადოებრივ მაუწყებელში შესვლის გამო, აღშფოთება ახალაიას დაჭერის თაობაზე და ა.შ. მსგავსი განცხადებები მუდმივად იქნება. „ნაციონალური მოძრაობა“ ესაა მათი რეზიდენტურა, ანუ მე-5 კოლონა. რა თქმა უნდა, ისინი არ მისცემენ არავის იმის წახალისებას, რომ მათი რეზიდენტურა, ანუ მე-5 კოლონა განადგურდეს. ამიტომ, ეს გაცნობიერებული უნდა გვქონდეს საზოგადოებასაც და ახალ ხელისუფლებასაც. ამიტომაც ვამბობ, აუცილებელია საგარეო და შიდა პოლიტიკური კურსის არჩევა. იმიტომ, რომ ის ვინც ორ კურდღელს დასდევს და არც მწვადს წვავს, არც შამფურს, ცნობილი ანდაზაა — ორი კურდღლის მადევარი, ვერცერთს ვერ დაიჭერსო. თუ ნატოს დირექტივებით დავდივართ, მაშინ თავი დავანებოთ ახალაიებს, კალანდაძეებს, ამისგან მაინც არაფერი გამოვა. და თუ გვინდა საქართველო შედგეს, როგორც ევროპული, სუვერენული ქვეყანა, მაშინ არსებობს ფორმა — როცა ნატო განცხადებებს აკეთებს, აქ ბოდიშები კი არ უნდა ვიხადოთ, არამედ ყოველგვარი ისტერიკის გარეშე მომზადდეს პრეს-რელიზი და განიმარტოს რის გამოა ახალაია და სხვები დაპატიმრებული. სხვათაშორის, სწორი იყო ივანიშვილის შეფასება, როცა მან სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე განაცხადა. ეს იყო ნატოს მოედანზე ბურთის გადატანა, ამაში ვეთანხმები არსებულ ხელისუფლებას. ვფიქრობ, გარკვეულწილად შეცდომები იქნა დაშვებული. აქ რამოდენიმე ფაქტორმა იმოქმედა: პირველი — ახალაია მსუბუქი ბრალდებით დააკავეს, მაშინ, როცა რეალურად ძალიან მძიმე დანაშაულობები აქვს ჩადენილი და მეორე, დღეის მდგომარეობით დასტურდება, რომ ხელისუფლებას ახალაია კი არ აინტერესებდა, არამედ კალანდაძე. ამან დასავლეთის მაღალჩინოსნების მხრიდან გაღიზიანება გამოიწვია იმიტომ, რომ ეს თეთრი ძაფით ნაკერი იყო. ამ ყველაფრის განხორციელება უფრო აუჩქარებლად და კვალიფიციურად შეიძლებოდა. ფაქტია, რომ კალანდაძის წინააღმდეგ ბრალდების საქმეში მტკიცებულებების დეფიციტია. ახალაიას წინააღმდეგ მტკიცებულებების დეფიციტი არის თუ არა — ეს მეორეხარისხოვანია იმიტომ, რომ რეალურად ვიცით, თუ ეს მტკიცებულებები დღეს არ გვაქვს, ხვალ გვექნება. კალანდაძესთან მიმართებაში ზუსტად ვერავინ აღიქვა რატომ დააპატიმრეს ეს კაცი. იმიტომ, რომ იგი პატიმრებს ძალით ავარჯიშებდა? — ეს არ არის ისეთი ტიპის ბრალდება, რომელსაც დასავლეთი გაიგებს. ამიტომ გაჩნდა ვერსია, რომ მისი თანამდებობიდან ჩამოცილება იყო აუცილებელი. ვფიქრობ, ახალმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ მათ რაღაცების დასაბუთება მოუწევთ. დაიჭირა კალანდაძე პროკურატურამ? — კი, ბატონო, მაგრამ ახლა მიზეზები დაასაბუთეთ.

ჩვენ უნდა მივიღოთ რეალობა, რომელიც შემდეგია — ნატო არ არის დემოკრატიის გამავრცელებელი ორგანიზაცია. ნატო არის სამხედრო ორგანიზაცია, რომელსაც სტაბილური მოკავშირეები სჭირდება. ნატოსთვის პრობლემაა ის, რომ მისი წევრი კანდიდატის — საქართველოს გენერალური შტაბი უკვე ორი კვირაა არ ფუნქციონირებს. დღეს რეალურად საქართველოს გენერალური შტაბი არ აქვს. გვყავს უმაღლესი მთავარსარდალი, რომელსაც თავდაცვის მინისტრი არ ემორჩილება, გვაქვს შტაბი, რომელიც თავდაცვის მინისტრს არ ემორჩილება და არსებობს ბრიგადები, რომლებიც ვის მხარესაა, ჯერ გაურკვეველია. ნატოს ამაზე რეაქცია რომ ექნებოდა, ეს მოსალოდნელი იყო. არ ვამბობ, რომ დამნაშავეები არ უნდა დაიჭირონ, მაგრამ განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირების საქმეებზე უნდა გადავიტანოთ ყურადღება — დაპატიმრებები ისეთი ბრალდებებით უნდა მოხდეს, რომელიც კითხვებს არ წარმოშობს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ახალაია მკვლელობის ბრალდებით რომ დაეკავებინათ, ვერც რასმუსენი და ვერც ვერავინ ხმას ვერ ამოიღებდა, მაგრამ წაუყენეს ბრალდება, რომელიც არ არის მყარი.

**— ამასაც რომ თავი დავანებოთ, რა შემთხვევაში გაბედავდა ან არ გაბედავდა რასმუსენი შეშფოთებას, რა რეალობაში ვართ სინამდვილეში?**

— ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ პროპაგანდისტულად საქართველო დამოკიდებულია ნატოზე. ყველას გვახსოვს, რომ მუბარაქს აშშ ბოლო წუთამდე უჭერდა მხარს, ვიდრე ეგვიპტის ქუჩებში ნახევარი მილიონი ადამიანი არ გამოვიდა და სანამ სისხლიანი დარბევა არ მოხდა. აქ უკვე ეგვიპტის საზოგადოებრივმა აზრებმა დასავლეთზე იმოქმედეს. საქართველოს შემთხვევაშიც ზუსტად იგივეა გასაკეთებელი. თუ ჩვენ გირგვლიანის, თეთრაძის საქმეებს გამოვამჟღავნებთ და ამას დასავლეთში კარგად გავუკეთებთ პროპაგანდას, მგონია, რომ მკვლელს არ გამოესარჩლებიან.

საპირისპირო შეტევა იქნება გირგვლიანის, თეთრაძის და სხვა მკვლელობების გამოძიება. იდეოლოგიურად უნდა შევუტიოთ. რომ ნახეს ეგვიპტე დუღდა, დიქტატორის მხარე ვეღარ დაიჭირეს. ჩვენ უნდა გავაკეთოთ არა ის, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავაპატიმროთ, არამედ მკვლელობების დასტა უნდა დავაწყოთ, რათა ნატოს თუ სხვების განცხადებები შემდეგში უფრო მოზომილი იყოს.



ის, რომ გენერალი ჯარისკაცს სცემდა ან ყინვაში არბენინებდა, ნატოს ქვეყნები ამას ყურადღებას არ მიაქცევენ.

**— კახა, მოდი იმაზეც ვისაუბროთ, საერთოდ უნდა კი ნატოს ჩვენი გაწევრიანება, „ნაციონალები“ აღშფოთებულები კრიახობენ ახალაიას დაპატიმრებით ნატოში შესვლის შანსი დავკარგეთო. გვქონდა კი ოდესმე ეს შანსი?**

— ეს ძალიან თეთრი ძაფით ნაკერი ტყუილია, თითქოს კალანდაძე რომ არ დაეჭირათ ნატოში გვიღებდნენ. კალანდაძეს დაჭერამდე რატომ არ მიგვიღეს მაშინ?! ნატოსთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდება. საქართველო ნატოში არავის სჭირდება იმიტომ, რომ ეს არის ახალი პრობლემები რუსეთთან, თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან. საერთაშორისო ორგანიზაციებს ასეთი წესი აქვთ — საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მიმართ ერთობლივად იმოქმედონ. გარწმუნებ, საქართველოში ნატოს ბაზები თუ განლაგდნენ, სომხეთში — რუსეთის ბაზებია, სომხეთის და აზერბაიჯანის ურთიერთობებიც ვიცით, პროვოკაციულად ძალიან საშიშ განლაგებას ვიღებთ. რაც შეეხება, კონკრეტულად ნატოში მიღებას, ეს არის ერთგვარი ერთგულების ტესტი. რეალურად, საქართველოს ნატოში მიღებას არავინ აპირებს.

**— ნატოში ვერ შესვლის ფაქტორი არის თუ არა ისიც, რომ სანამ რუსეთს არ ენდომება, იქამდე ვერ შევალთ ნატოში?**

— სხვათაშორის რუსმა პოლიტოლოგებმა მკითხეს — როდის გიღებენ ნატოშიო. ვუპასუხე — ჯერ არა-მეთქი. დაფიქრდნენ და მითხრეს — თუ არც ახლა გიღებენ, არც 5-7 წლის შემდეგ, მაშინ რატომ იკლავთ თავს, რატომ აფუჭებთ ყველასთან ურთიერთობასო. აბსოლუტურად სწორია ეს. მე არც პრო-რუსი ვარ, არც პრო-ამერიკელი, პრო-ქართველი ვარ და მინდა, რომ საქართველომ მსოფლიო პოლიტიკაში თავისი ნიშა მონახოს. ნიშა, რომელსაც ჩვენ დღეს ვეპოტინებით, არ არის საქართველოს წონა, ამაში ჩარევას ჩინეთიც კი ერიდება. ამიტომ, ამასთან დაკავშირებით ძალიან კორექტული პოზიცია უნდა არსებობდეს. ახალი ხელისუფლება უნდა გათავისუფლდეს იმ იდეა-ფიქსებისგან, რაც ძველს ნატოსთან მიმართებაში ჰქონდა. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ძალა და წონა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაშია. რუსეთში დემოკრატიის დამყარებას, ავღანეთში მართლწესრიგის აღდგენას, იქნებ რამენაირად უჩვენოდ უშველონ.

**— თუმცა, ჯერჯერობით ახალი ხელისუფლების კურსიც ნატოსკენ სვლაა.**

— იმიტომ, რომ მათთვისაც ეს ერთგულების ტესტია, თორემ დარწმუნებული ვარ, რომ ივანიშვილი საქართველოს ნატოში ინტეგრაციაზე სერიოზულად არ ფიქრობს.

**— თანაც, ხომ უნდა მივხვდეთ, რაშია საქმე — უკვე რა ხანია გვეუბნებიან, კარი ღიაა, მაგრამ არ შემოგიშვებთო, დაგვცინიან თუ რასთან გვაქვს საქმე?**

— ეს იგივეა საპარლამენტო უმრავლესობამ დიმა ლორთქიფანიძეს რომ უთხრა — ჩვენ უკვე ხატისკაცის არჩევა გადავწყვიტეთ, მაგრამ შენ თუ გინდა ჩამოდი და მაინც გველაპარაკეო. ასევეა ნატოსთან მიმართებაში, გვეუბნებიან — ჩვენ კი გადავწყვიტეთ, რომ შენი ადგილი ნატოში არ არის, მაგრამ თუ გინდა ჩამოდი და ილაპარაკეო. საქართველოს ნატოში არავინ არ მიიღებს იმიტომაც, რომ ამით მსოფლიოში არსებულ გარკვეულ სამხედრო ბალანსს დაარღვევენ, ყოველშემთხვევაში ამ რეგიონში. აბსოლუტურად გეთანხმები იმასთან დაკავშირებით, რომ გვიძახიან კარი ღიააო და ამ დროს არც არავინ აპირებს ჩვენს იქ შეშვებას. ამაზე პრესკონფერენციის მოწყობაც მინდოდა. სააკაშვილმა ჩიხში მოაქცია საკუთარი თავი — 2007 წელს საქართველო იქნება ნატოს წევრიო, — თქვა. არ მინდა ახალი ხელისუფლებაც იგივე ჩიხში მოექცეს.

**— რამდენად მნიშვნელოვანია რუსეთისთვის ჩვენი ნატოში შესვლა-არ შესვლის საკითხი. ოღონდ ნატოში არ შევიდეთ და სულერთია ქვეყნის მმართველად ვინ გვეყოლება?**

— საქართველო არ შევიდეს ნატოში, ეს რუსეთისთვის და საერთოდ ნებისმიერი იმპერიისთვის სტრატეგიული სასიცოცხლო მნიშვნელოვანი პუნქტია. მარტო რუსეთზე ნუ გავაკეთებთ აქცენტს. ირანს აწყობს საქართველოში ნატოს ბაზები? — რა თქმა უნდა, არა. საფრთხე ისაა, რომ ნატოში გაწევრიანება სამუდამოდ დაკეტავს ჩვენთვის ენგურის და ცხინვალის მისადგომებს. ზოგისგან მომისმენია — რად გვინდა აფხაზეთი, მაინც არ გვახსოვს და ნატოში შევიდეთო. ეს ხალხის გადასაწყვეტია, მასზე მაღლა ვერავინ დადგება. გვინდა, რომ ახალი ბუდგუზონია, არარსებული სახელმწიფო გავხდეთ? — კი, ბატონო. მაგრამ თუ გვინდა რეალური სახელმწიფო, კულტურა, თვითმყოფადობა გვქონდეს, ეს ბუტაფორიებით არ კეთდება.

**— საუბრობენ, რომ ნატოში შესვლით რუსეთისგან დაცული ვიქნებით, მაგრამ ვინ დაგვიცავს თავად ნატოსგან?**

— ვერავინ დაგვიცავს იმიტომ, რომ გენერალური შტაბის უფროსს კი არა, უკვე სახალხო დამცველს ვერ ნიშნავენ ისე, თუ „იქ“ არ მოეწონათ. გაისად, ალბათ ზესტაფონის გამგებელს რომ დავნიშნავთ, ამასაც ნატოს შევუთანხმებთ. ემოციური გადაწყვეტილებებიდან რაციონალურზე უნდა გადავიდეთ.

**— სააკაშვილის რეჟიმი 9 წელი ნატოს სახელით სპეკულირებდა. ნატო კიდევ მაინც ამათ მფარველობს, ვინც პატიმრებს ცოცხები გაურჭეს. რას ნიშნავს ეს?**

— მფარველობს იმიტომ, რომ ეს მათი კადრია და ისინი თავიანთ მოკავშირეებს იცავენ. მათი მოკავშირე არ არის ქართველი ხალხი, ის სააკაშვილების და ახალაიების მოკავშირეა.

**თამარ შველიძე**

# გენერალი კალანდაძის დაკავება რომ უკვირთ, ის რატომ არ უკვირთ, ციხეები სააკაშვილის მიერ დაპატიმრებული „ნარკომანი“ გენერლებით რომ არის გამოჭედილი

არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ (პოლიტპატიმარი კოკა კვინიკაძე) ინიციატივით რამდენიმე თვის წინ შეიქმნა დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოში ნამდვილად არიან პოლიტპატიმრები და ითხოვდნენ ევროსაბჭოს ეგიდით სპეციალური კომისიის შექმნას. გასაოცარია, მაგრამ მემორანდუმს ისეთმა ორგანიზაციებმა (ხელმძღვანელმა პირებმა) არ მოაწერეს ხელი, რომელთაც ადამიანთა უფლებების დაცვა აბარიათ. ესენი არიან: „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (თამარ ჩუგოშვილი), „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, (ნაზი ჯანეზაშვილი), „სამართლიანი არჩევნები“ (ნინო ლომჯარია), „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (ცირა ჭანტურია), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ (ეკა გიგაური), წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“(მარიამ ჯიშკარიანი) და უკვე ყოფილი სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში.

როგორც ჩანს, 1 ოქტომბრამდე ხსენებული ორგანიზაციები არ თვლიდნენ, რომ საქართველოში პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდნენ და სასჯელს იხდიდნენ ადამიანები, ეს რეალობა მხოლოდ ახლაღა დაინახეს.

საქართველოს სასჯელაღსრულების ადგილებში მყოფმა პოლიტიკურმა პატიმრებმა გაავრცელეს განცხადება, სადაც გამოთქვამენ გაკვირვებას „საია-ს“ მისამართით, რომელმაც ბოლო წლებში 3,5 მილიონამდე გრანტი მიიღო და ამ ხნის განამავლობაში არ აქვს შესწავლილი 200-მდე პოლიტპატიმრის საქმე; რომ წინა ხელისუფლების დროს „საია“ მაქსიმალურად ცდილობდა თავი აერიდებინა პოლიტპატიმრების პრობლემის არსებობის დაფიქსირებისთვის; რომ ახლაც, ნებსით თუ უნებლიედ, საკაშვილის რეჟიმის ბნელი საქმეების გამთეთრებლად გვევლინება. განცხადებას ხელს აწერენ: ლევან ტერაშვილი, ფრიდონ მერებაშვილი, კახაბერ ტურაშვილი, დავით შიუკაშვილი, ნიკოლოზ კვეზერელი, ალექსანდრე ბიბილური, ზაალ ჟვანია, ტრისტან წითელაშვილი, ბადრი ქველაძე, მერაბ გორგაძე, ზაზა სამხარაძე, დავით შუკაკიძე და ა.შ. 32 პატიმარი.

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ჰელსინკის ჯგუფის თავმჯდომარე, ადვოკატი **ლალი აფციაური**.

**— ქალბატონო ლალი, რა ხდება პოლიტმართა საქმეების განხილვასთან დაკავშირებით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს განგებ ჭიანურდება...**



— არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე შეიქმნა ამ კუთხით მომუშავე ჯგუფი, თუმცალა, მანამდეც არსებობდა — 2007 წლიდან შექმნილი იყო „ჰელსინკის ჯგუფი“. ამ ჯგუფმა იმუშავა, გავდიოდით ყველა საქმეს ცალ-ცალკე — 187-კაციანი სია ჩვენს მიერ არის მომზადებული. როდესაც შეიცვალა ხელისუფლება, შეიკრიბნენ კიდევ ერთხელ, უკვე ქალბატონ ეკა ბესელიასთან ქუთაისში ჩავიდნენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ საქმეების განხილვაში და გადაწყვეტილება მიიღეს, რომ შექმნილიყო უკვე იურიდიულ კომიტეტთან არსებული კომისია, რომლებიც ხელახლა გაივლიდნენ იმ საქმეებს, რაც შესწავლილი და გავლილი გვქონდა.

**— როგორც თქვენ თქვით, „თბილისის ჰელსინკის ჯგუფმა“ შეადგინა პოლიტპატიმართა 187-კაციანი სია, თუმცა, შემდეგ გამოჩნდა რაღაც ჯგუფებიც. აღმოჩნდა, რომ ახალი განცხადებებიც შესულა, უკვე ისეთი, თქვენთან რომ არ გაუვლია.**

— ბატონ უჩა ნანუაშვილს („ადამიანის უფლებათა ცენტრი“) ჰქონდა ანალოგიური სია. ჩვენსა და მის სიას შორის, მაქსიმუმ 3-4 ადამიანი იყო განსხვავება და მე ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია 3-4 კაცის წარმოდგენა, თუკი პოლიტიკური ნიშანი იკვეთება. აქედან გამომდინარე, ეს არის უკვე ერთიანი სია, „ჰელსინკის ჯგუფის“ და ბატონი ნანუაშვილის, ფაქტიურად, იქ სხვა ჯგუფს არც უმუშავია.

**— აუცილებლად უნდა გკითხოთ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომელთაც მემორანდუმს არ მოაწერეს ხელი, ლამის პოლიტპატიმარი იყო მთელი საქართველო, ამას არ აღიარებდნენ და კიდევ მათ რომ ეკითხებიან ჭკუას, ლამის აღარ ჩამოდიან ეკრანიდან ...**

— ევროპულ კრიტერიუმებზე არ ვამბობ, ზოგადად რომ ვთქვათ, უხეშად, უმეტესობა მართლა პოლიტიკური ნიშნით არის დაკავებული... სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ ეს ძალიან ცუდი ფაქტია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩუგოშვილი და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ არ არიან წამყვანი ორგანიზაციები საქართველოსთვის, ანუ აპრიორი, რომ უნდა გაიზიაროს ვიღაცამ რომელიმე მათგანის ან ორივეს მოსაზრება. დიდ პატივს ვცემ ორივეს, მაგრამ ის, რომ მა-



თი მოსაზრების გარეშე გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ეს, ვფიქრობ, მარაზმია. მაგალითად, პირადად ჩემი სამთავრობო ორგანიზაცია, შეიძლება, ჩუგოშვილი დაბადებულიც არ იყო, 1989 წლიდან ფუნქციონირებს, ქალბატონი ნანა კაკაბაძის და რომელი ერთი ვთქვა. ამიტომ, თუ დღეს ჩუგოშვილისთვის რამე მიუღებელია, ეს მისი პრობლემაა.

თუკი ბაჩო ახალაიაზე უნდა იმსჯელონ, რომ თურმე პოლიტიკური პატიმარია, ვინც მართლა პოლიტიკური პატიმარია, მათზე რაღა უნდა ვთქვათ. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ, თქვენ თვითონ მკითხეთ და ყველას მოტივაციას გეტყვით. „ენვერი“, კოჭოია, მუხროვანი და რომელი ერთი — მაშინ, რა ჰქვია ამ ხალხს, რა სახელით მოვიხსენიოთ?

**— იგულისხმება, რომ ალბათ, რა მუხლითაც იხდიან სასჯელს...**

— უკაცრავად, მაგრამ არა, ასე ნამდვილად არ არის!

**— 260-ე მუხლის „ა“ პუნქტი, ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება-შენახვა — ამ მუხლით გასამართლებულია არაერთი სამხედრო პირი, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს.**

— კი, კი! კონკრეტულად დავასახელებ პოლიტპატიმარ გენერალს ტრისტან წითელაშვილს. იგი დააკავეს 26 აგვისტოს, საქმის მასალებში კი საპირისპირო რამ გვაქვს, თითქოს იგი დააკავეს 28 აგვისტოს და ჯიბეში აღმოუჩინეს ნარკოტიკული ნივთიერება. 26-ში რომ „კუდ-მა“ დააკავა და „მოდულის“ შენობაში იყო, ამას ადასტურებს ადვოკატის მიერ გამოწერილი ორდერი, რომელიც 27 აგვისტოს არის გამოწერილი — 28-ში თუ დააკავეს, 27-ში წინასწარ ვერ გამოიწერებოდა ადვოკატის დაკითხვის ოქმი; მოწმეთა ჩვენებები, მათ შორის ერთ-ერთი მოწმე, რომელიც გორიდან ჩამოიყვანეს, სამხედრო პირი, რომელიც ამბობს, რომ ის 25-ში დააკავეს და წითელაშვილი მეორე დღეს, 26-ში მიიყვანეს. ახლა წარმოიდგინეთ, რა, მოდულის შენობაში ორი დღე არის დაკავებული პირი და სახლის ჩუსტებით, უკაპიკოდ, უეცრად აღმოჩნდა სადღაც, ნუცუბიძის რომელიღაც მშენებარე კვარტალში ჯიბეში „სუბოტექსით“ — რამდენად ლოგიკურია, ამიხსენით, რა? — ასეთი მაგალითები უამრავია. წინა ხელისუფლებისთვის ეს იყო საკითხის მარტივად გადაწყვეტა, ჩადებაც აღარ ხდებოდა, მაგაზე აღარ იწუხებდნენ თავს, პირდაპირ იწერებოდა ჩხრეკის ოქმში, რომ ვთქვათ, მარჯვენა ფეხის წინდის გადანაკეცში გქონდა ჩაკუჭული — მინდა გითხრათ, რომ ქართულ რეალობაში ეს არის პირველი ნიშანი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებისა. სამხედრო პირების დიდ ნაწილს ამ მუხლით აქვთ მისჯილი პატიმრობა.

**— უკაცრავად და, პრეზიდენტის აზრით, თუ გენშტაბის უფროსის დაკავება-დაჯარიმება სირცხვილია, მთელი გენერალიტეტი რომ ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი გვყოლია და ამიტომ იხდიან სასჯელს, ეს სამარცხვინო არ იყო და არც ნატოს არ აშფოთებდა?**

— რამდენი გენერალი გვყავს დაპატიმრებული, ვინმემ ჩამომითვალოს, რა? მხოლოდ გენერალ კალანდაძის დაკავებაა სირცხვილი და დანარჩენი, თითქმის ყველა, ნამდვილად მებრძოლი და ნამდვილი გენერლისა, არ არის? არ მინდა რომ ვთქვა, უბრძოლია ჩემი ქვეყნისთვის და ვწუხვარ, ამის თქმა რომ მიწევს, მაგრამ ამ კაცს ისეთ მოკლე დროში აქვს მიღებული სამხედრო წოდებები, მგონი, ჩვენს ქვეყანაში ექსტერნად არის დაშვებული გენერლობა — ძალიან მოკლე დროში, ორ თუ სამ წელიწადში გაიარა ყველა ის წოდებები, რასაც სამხედრო პირები წლობით ვერ ღებულობენ. აქედან გამომდინარე, დამითვალოს ვინმემ, რამდენი გენერალი გვყავს 2004 წლიდან ზოგი მიწაში, ზოგი ციხეში და ზოგიც ქვეყნიდან გაქცეული. ცხონებული გია კრიალაშვილი ქუჩაში მოკლეს... — გენერლებზე ნუ იქნება ლაპარაკი, თორემ, მართლა ნამდვილი გენერლებით არის ციხეები გამოჭედილი!

**— „ნარკომანი გენერლებით“. როდისთვის იგეგმება ამნისტია? სხვათაშორის, სუბარის ნათქვამმა ძალიან გამაოცა, როდესაც თქვა, რომ სამართლიანი არ იქნება, ამნისტია ერთნაირად შეეხოს ვინც ერთი წელი იჯდა და იმასაც, ვინც ექვსიო — თუ უდანაშაულოდ იხდის ადამიანი სასჯელს, თუნდაც ერთი დღე რატომ უნდა იყოს ციხეში?**

— მე ვფიქრობ, რომ ფართომასშტაბიანი ამნისტია რა ფორმითაც მომზადდა, საკმაოდ კარგია. (ეკა ბესელიას დამსახურებაა და მადლობა მას ამისთვის). გამომდინარე იქიდან, რომ სულ ვამბობდი, ამ ხალხმა, რომელმაც ეს რვა წელი იმ ჯოჯოხეთურ პირობებში გაატარეს, რეაბილიტაციის სახით სახელმწიფოსგან აუცილებლად უნდა მიიღონ რაღაც შეღავათი, თუნდაც, სასჯელების განახევრება, მით უმეტეს, რომ შეკრებითობის პრინციპით სხედან.

**— რა ინფორმაცია გაქვთ, ამ წელში მოესწრება?**

— მე ვფიქრობ, მოესწრება. მართალია, არ არის მარტივად მოსაგვარებელი საქმე, პარლამენტში უნდა გავიდეს მოსმენებზე (იგივე პოლიტპატიმრების საქმეც) და მოწინააღმდეგე, რამდენიც გვყავს, ხომ გვყავს „ნაცმოძრაობის“ სახით — ამ დროს ბაჩო ახალაიას პოლიტიკურ პატიმრად ცნობას რომ ითხოვენ, როგორია? რას არ უნდა დაეთანხმონ, არ ვიცი — ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**მაია ჭელიძე**

## ია მეტრეველი: შესაძლოა ოქრუაშვილი ფლობდეს ინფორმაციას ბუტას გარდაცვალებასთან დაკავშირებით



ბუტა რობაქიძის დედა, ია მეტრეველი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ირაკლი ოქრუაშვილი რაიმე დამატებით ინფორმაციას ფლობდეს რობაქიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ამიტომაც იგი უნდა დაიკითხოს.

ამის შესახებ მეტრეველმა ტელეკომპანია " რუსთავი 2"-თან საუბარში განაცხადა.

„თავისთავად გამოძიება დაიწყება და გამოძიების პროცესში გამოიკვეთება ვინ უნდა დაიკითხოს და ვინ არა. პირდაპირ ხელის დადება არ შემიძლია, მაგრამ უნდა გაირკვეს რა მოხდა და როგორ. ნამდვილად იყო მინისტრი ოქრუაშვილი იმ პერიოდში და არ ვიცი ზუსტად ეს ამბავი მან გაიგო თუ არა, იარაღების ჩაწყობის შესახებ იცოდა თუ მის გარეშე გააკეთეს. დასადგენია და გასარკვევია სიმართლე", - აღნიშნა მეტრეველმა.

შეგახსენებთ, რომ ბუტა რობაქიძე 2005 წლის 24 ნოემბერს საპატრულო პოლიციის სპეცოპერაციისას დაიღუპა.

„მედიანიუსი“

# `garik-jan... unda waxvide erevanSi~, anu visia, visia es `Cveni iura~?

*„შევარდნაძე იყო გურული, მის სოფელს ერქვა მამათი... გურულების საკვებში რაღაც მინერალი ძალიან ჭარბადაა, ან ეს მინერალი საერთოდ აკლია მათ საკვებს, ფაზაში აცდენილი ხალხია. რაღაც არასრულყოფილების გრძნობა აქვთ. როცა ეკითხებიან — გურული ხარ? — კი, ოღონდ ნამკურნალევიო, — პასუხობენ... ძალიან პოლიტიზირებულნი არიან, სწრაფები. ერთი გენიალური ანეკდოტია ასეთი: ორი ორი ძალიან ღარიბი გურული სიგარეტს აიღებს, ერთი ღერი აქვთ, გაიტეხავენ ნახევარ-ნახევარს, გააბოლებენ და ლაპარაკობენ: როგორაა, ნეტა, ის მათხოვარი რეიგანი?! რეიგანი საცოდავი კაცია მათთვის. ნახევარ-ნახევარ სიგარეტს ეწევიან და რეიგანი ეცოდებათ. ასეთი ტიპები არიან.*

*ორი გურული ზის ციხეში. 20-იანი წლების დასასრულია. პოლიტიკურზე ზიან. ერთმანეთს ეკამათებიან — რა გაგეგება შენ პოლიტიკის. თუ რამე იცი, მითხარი, ლენინი რა გვარია. ლენინი? ტროცკი, — პასუხობს მეორე. — სულელი ხარ, ტროცკი მისი ცოლი იყო. ასეთები არიან გურულები. მათაც აქვთ გასასვლელი ზღვაზე. მაგრამ გურულები ქართულ ენაზე ლაპარაკობენ... კიდევ ცოტა დასავლეთით რომ წავალთ, იქეთ უფრო ჭაობიანი მხარეა, არიან მეგრელები. ისინი ლაპარაკობენ სხვა ენაზე. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს ერთი და იგივე ენათა ჯგუფია, მაგრამ სხვა ენაა. ამ ენის გაგება ძნელია.*

*— მეგრელები არავის უყვარს. — (მოსაუბრე ქალბატონი).*

*— არა, მეგრელები ბიოლოგიურად აქტიური ხალხია. აი, წიწაკა, ამას ჭამდნენ, მალარიისგან რომ დაეცვათ თავი. ქალები ძალიან აქტიურები არიან. მამაჩემს 14 წელიწადი მეგრელი საყვარელი ჰყავდა და ამბობდა, მე მეგრელების სიძე ვარო.*




*ისინი ძალიან ეშმაკები არიან. აქვთ თავიანთი კლანები, თავიანთი საქმე... არის ასეთი ანეკდოტი — კახელს ეკითხებიან: რატომ არ ჩამოდიხარ თბილისში? — რა მინდა თბილისში, ინგლისური მე არ ვიცი და მეგრული... ისინი ძალიან ბევრი არიან, ყველაზე მრავალრიცხოვანი სუბეთნოსია, ქართველები თუ 3 მლნ არიან, მილიონზე ცოტა ნაკლებს მეგრელები წარმოადგენენ, ისინი ძალიან აქტიური ხალხია... სამენოვანი. იციან ქართული, თავიანთი მეგრული და ძალიან კარგად იციან, რუსული. ამ სამენოვნებამ მათი ცნობიერება სხვანაირად მოაწყო. რომ ეკითხებიან დარწმუნებული ხარ? დარწმუნებული კი არა მტკიცედ, სავსებით დარწმუნებული ვარო, იტყვიან. ასეთი ხალხია, საერთოდ. თანაც, რუსეთის იმპერიაში მეგრელებს ქართველებად არ თვლიდნენ. იმიტომ კი არა, რომ სეპარატიზმში იყვნენ შემჩნეული. არა, რუსები მიიჩნევდნენ, რომ ისინი ლაპარაკობდნენ სხვა ენაზე და წერდნენ კიდევაც: მეგრელები სხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხიაო და უბრალოდ, მენგრელებს ეძახდნენ და მორჩა.*

*აჭარლები 300 წელიწადი თურქების ხელში იყვნენ. ქართველებმა ყოველ დღე სადღეგრძელო უნდა დალიონ რუსეთის იმპერიის სადიდებლად. რუსეთის იმპერიამ ორი ომი გადაიხადა, რომ აჭარა გამოეტაცა თურქების ხელიდან და გამოსტაცა კიდევაც... აი, ასეთი საოცარი სიტუაციაა“.*

იუთუბიზე ატვირთული იური მეჩითოვის ინტერვიუს ნაწილი, სადაც იგი ნახევრად შიშველი რუსულენოვან ჟურნალისტს ესაუბრება.

მიუხედავად იმისა, რომ უძველესი ქართული კულტურის პატრონად — კულტურის მინისტრის მოადგილედ, ქართველს ვისურვებდი, იმაზე გული არ დამწყვეტია, „ჩვენი იურა“ რომ ამ პოსტზე წარადგინეს. უფრო იმან გამკენწლა, საქართველოს კუთხეების მიმართ ასეთი შეხედულება რომ ჰქონია ჩვენს საყვარელ ფოტოგრაფს.

მუხლის ჩოქით რომ შემოიაროს რომელიმე ქართველმა მთელი სასომხეთი, სომხეთის კულტურის მინისტრის მოადგილედ არავინ დანიშნავს, მაგრამ მერე რა, თუ იქ არა, ჩვენთან რატომ არ უნდა იყოს? კი, ბატონო, სომხეთში არა, ჩვენთან — დიახ, მაგრამ რა მოგვიტანა და რით გაგვაძლიერა ჩვენმა ტოლერანტულმა ქართულმა „გამორჩეულობამ“?

იურა მეჩითოვს თუ ასე ძალიან უყვარს საქართველო, სამზარეულოში რატომ ახსენდება მაინცდამაინც ის, რომ „გურულებს აქვთ სოფელი მამათი“. მინერალების ნაკლებობა და ა.შ.

სამწუხარო არის, მაგრამ გასაკვირი არაა, იური მეჩითოვი კარგად რომ არ იცნობს გურულებს. მართალია, სომხებისთვის უცხოა ერთი სიგარეტის ორ ნაწილად გაყოფა (ან მთლიანად მისია, ან უკეთეს შემთხვევაში, ორი ღერი აქვს და ქვეყანაც რომ დაიქცეს, არ გაგიყოფს...), მაგრამ ქართველებს აქვთ ასეთი ანდაზა: “ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“, ხოლო სომხებს ეკუთვნით გამონათქვამი: „სადაც ფული და პურია, იქ სომეხიცაა“.

თუნდაც ასე იყოს, ღარიბია გურული, მაგრამ მისთვის რეიგანი უქონელი და უპოვარია და ესაა ანეკდოტის სიბრძნე, სხვათა შორის; რადგან რეიგანი, მაგალითად, „მშიერ“ ნიქსონს არასდროს გაუყოფდა სიგარეტს კი არა პურის ნატეხსაც კი...

ახლა არც მსურს და არც შევუდგები იმ „სახუმარო“ ვიდეოსიუჟეტის დეტალურ განხილვას, რომელიც აშკარად გენეტიკურ ქართველთმოძულეობას ამტკიცებს, მხოლოდ ჟურნალისტის (?) კითხვა-მოსაზრება-კომენტარს გავუსვამ ხაზს — „მეგრელები არავის უყვარს“. სირცხვილია ასეთი საუბარი, მავნებლობას რომ თავი დავანებოთ.

საერთოდ, ეს დიალოგი, როგორც ჩანს, კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი და მას წინ სხვა საუბარი უძღოდა, ხოლო ეს „დახასიათებები“ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან გურულების „ანატომიური“ აღწერისას ისმის: „მათაც აქვთ ზღვაზე გასასვლელი“ — მუდმივი სომხური მღელვარების საგანი.

დიდი ხანი არ არის, რაც იური მეჩითოვმა ფიროსმანის ნახატების ორიგინალური ფოტო-ვერსიები შემოგვთავაზა, სადაც ეროტიკული ფოტოები სჭარბობს ფიროსმანის გრძნობიერ გულუბრყვილობას. ორთაჭალის ტურფა და აქტრისა მარგარიტა ძუძუმოშიშვლებულნი დგანან... ეს, ალბათ, გამოძახილია „საბჭოთა კავშირში პირველი მამათმავალი რეჟისორის“ იდეებისა, რომლის მოწაფედაც თვლის თავს ბატონი იური მეჩითოვი.

სერგეი ფარაჯანოვს, რომელსაც თბილისში მოფერებით სერჟიკას ეძახდნენ, უკრაინაში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის გამო ხელწერილი დაადებინეს, რომ არასდროს ჩავიდოდა იქ.

„გარიკ-ჯან... უნდა წახვიდე ერევანში — იქ სომხებია და შენ თბილისში არაფერი გესაქმება“....

„სომხეთი უდიდესი ქვეყანაა თავისი განსაცვიფრებელი კულტურით, იგი ჩემი სამშობლოა... მინდოდა მეგრძნო სომხურობის ანტიკური ფესვები“...

“ნუთუ არ იყიდება ქართველი მსახიობი ქალების — კეკელკების ღია ბარათები“? — წერდა სომხეთის ნოსტალგია-მოძალებული საქართველოში „ჩამწყვდეული“ „ეროვნებით თბილისელი“ სერჟიკა ფარაჯანოვი სხვადასხვა დროს სხვადასხვა მომენტში. თავის დის შვილს — გარიკას.

ამ ფარაჯანოვის მოწაფე იური მეჩითოვი უფრო შორს მიდის და მამამისზე ამბობს, თავი მეგრელების სიძედ მიაჩნდაო.

„ჩვენი იურა“, —ასე ამბობენ თბილისში იური მეჩითოვზე.

თუ მართლა ჩვენია და ჩვენი „ოჯახის“ წევრი, „მეზობელს“ რას ეღლიცინება ამ ოჯახის შვილების ავ-კარგზე და თუ ჩვენიანი არაა, რა ესაქმება სხვის საქმეში ცხვირს რომ ყოფს?!

მე კი ერთი ანეკდოტი მახსენდება: სომეხი დადის „რიბი ბაზარზე“. უყურებს თევზს. მიდის გამყიდველთან და ეკითხება:

— სლუში, რიბა სვეჟაია?

— ჟივაია. — პასუხობს გამყიდველი.

— ა პაჩემუ გლაზა უ ნიო ზაკრიტი?

— სპიტ, სლუში.

სომეხი დაიხრება და თევზს ყნოსავს.

— ა, პაჩემუ ანა ტაკ ვანიაეტ? — ილმეჭს სახეს.

გამყიდველი ბრაზდება:

— სლუში, კაგდა ტი სპიშ, ტი სებია კანტრალირუეშ?“



როგორც ეტყობა, ბატონი იურა, როცა „ღვიძავს“, თავს აკონტროლებს და ქართველებს არწმუნებს, თქვენიანი ვარო, მაგრამ, როცა „სძინავს“, საკონტროლო მუხრუჭები უმტყუნებს და გულის ხვაშიადს ალალად გადმოაფრქვევს ხოლმე.

რა ვქნათ ახლა, როცა მეჩითოვმა თავისი თავი თვითონვე გაიშიშვლა და ასეთი „თვალ-მარგალიტები“ დაგვაყარა თავზე?

კულტურის მინისტრი თავის მოადგილე მეჩითოვს ვერ მოხსნის, მაშინვე სომეხთმოძულეობას დააბრალებენ...

არადა, უკვე დაიწყო ხელმოწერები მეჩითოვის გადადგომის მოთხოვნით...

ასეთ დროს ისევ „ჩვენმა იურამ“ უნდა იმარჯვოს თავისებურად, ბოდიში მოიხადოს, და გადადგეს...

**ირანდა კალანდაძე**

# `nacionaluri moZraoba~, rogorc faSisturi organizacia, unda aikrZalos





*გვესაუბრება მწერალი ელიზბარ ჯაველიძე:*

**— ბატონო ელიზბარ, ივანიშვილმა რასმუსენს კომისიის გამოგზავნა შესთავაზა. რას ფიქრობთ ამაზე?**

— დღეს ბევრისგან მსმენია, ნატო ეროვნული უშიშროების ერთადერთი საყრდენიაო. ამ დროს კი პირიქით, ნატო საშიშროების საყრდენია. როგორც თავად ამერიკელები ბრძანებენ, ნატო აშშ-ს პოლიცია, ჟანდარმერიაა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში ამერიკის ნებას ამკვიდრებს. ვერ დამისახელებთ ვერცერთ ქვეყანას, სადაც ნატომ დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნება და გაერთიანება მოახდინა. პირიქით, იგი შლის ქვეყანას და მერე საკუთარი პოლიტიკის შესაბამისად აკოწიწებს და აერთიანებს. ესაა მთავარი. ნატოს დიდი მნიშვნელობა მაშინ ჰქონდა, როდესაც საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის სამხედრო ბლოკი არსებობდა. დღეს ეს აღარ არსებობს, მაგრამ ნატომ ახალი ფუნქცია აიღო — ტერორისტებთან ბრძოლა. ეს ხდება იმ ქვეყნებში, სადაც ან ნავთობია, ან რაღაც პოლიტიკური ინტერესი. მთავარი და პრინციპულია შემდეგი — თავად როგორც ამბობენ ნატოს ფუნქცია სხვადასხვა ქვეყნებში დემოკრატიის დაფუძნებაა, მაგრამ არ გახლავთ ასე — აშშ-ში დემოკრატია ძალიან მოიკოჭლებს. იქ ოლიგარქიული დემოკრატიაა. ერთ ღარიბ კაცს ვერ დამისახელებთ, ვინც ამერიკის სენატში ან კონგრესში მოხვდა. აშშ არის ქვეყანა, სადაც შეიძლება ყველა გამდიდრდეს, მათ შორის მუშაც, მაგრამ სანამ არ გამდიდრდება პოლიტიკაზე საუბარი, ზედმეტია. დღეს, სულიერების ნაცვლად, აშშ ხორცის აგიტაციას ნერგავს. ბიუკენენის ნაშრომში კარგადაა ასახული, თუ როგორია შერჩევითი სამართალი და როგორ ხდება, საბავშვო ბაღიდან დაწყებული, ადამიანების გარყვნა. ასე, რომ როცა ჩვენს გაწიწმატებულ საზოგადოებას ვუმზერდი, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ მომეწონა, რაც რასმუსენს ლანძღვა-გინება შეუთვალეს, მაგრამ მეორე მხრივ — თქვა რაღაც ამ კაცმა და თქვას მერე, რატომ ვანიჭებთ მის ნათქვამს ამხელა მნიშვნელობას? ვიმეორებ, ვინ არის რასმუსენი, რა უფლება აქვს მას ჩვენ გვიკარნახოს შევამოწმოთ თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელი? ნატოს დემოკრატიული პრინციპები, რატომ მაშინ არ გამომჟღავნდა, როდესაც სპეც. რაზმი „იმედში“ შევარდა. სად იყო ნატო, რატომ არ ამოიღო ხმა, როცა 26 მაისს დაგვარბიეს, გვამები სახურავზე აიტანეს?! დემოკრატიული არჩევნების მოთხოვნით გამოსული ხალხი ქუჩაში ჩახოცეს და მერე გვითხრეს ძალის გადამეტება მოხდაო (!). პრობლემა ისაა, რომ სააკაშვილი ამერიკის პროექტი გახლავთ და იგი დემოკრატიის შუქურად მანვე გამოაცხადა. ჩვენ ხომ ვნახეთ, როგორ „დემოკრატიულად“ ჩაატარეს არჩევნები, როგორ დასდევდნენ „ქართული ოცნების“ ხალხს, 1200-მდე ადამიანი დაიჭირეს, დღესაც, მარტო „სახალხო კრებიდან“ 42 პოლიტ.პატიმარია. ამაზე ხმას რატომ არ იღებენ, ეს არის მაგათი დემოკრატია? თუ ბრიყვნი და უვიცნი ვგონივართ? უბედურება ისაა, რომ მათ ჰგონიათ, თითქოს ჩვენ განვითარებადი ტომი ვართ და არა ერი. განვითარებადი ქვეყნის სახელი რომ დაგვარქვეს, ესეც ჩვენი ბრალია. ეს შევარდნაძის პერიოდში მოხდა. დღესაც, განათლების სისტემის განვითარება ამ სტატუსით მიმდინარეობს. თურმე ჩვენ ექიმები, ინჟინრები კი არა, არამედ ექთნები და მშენებლები გვჭირდება. სააკაშვილმა განათლების რეფორმის უმაღლეს მწვერვალად ბათუმში მზარეულების პროფ.სასწავლებლის გახსნა ალიარა. ქართული კულტურა მთელს ევროპაში გავიტანეთ. ასე, რომ რასმუსენებს თუ მუსმუსენებს უფლება არ აქვთ შენიშვნები მოგვცენ. ჩვენთვის ეს ერთობ დამამცირებელია.

**— ბატონო ელიზბარ, რას იტყვით მომრავლებულ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ვის ინტერესებს ახორციელებენ ისინი?**

— რომ ამბობენ გლობალიზაციის პერიოდია და არაფერი გვეშველებაო, ეს მტკნარი სიცრუეა. ჩვენ უნდა გვყავდეს ხელისუფლება, რომელიც ამ გლობალიზაციის პერიოდში თვითობას, იდენტურობას შეინარჩუნებს. ამის მაგალითი, შორს რომ არ წავიდეთ, სომხეთი და აზერბაიჯანია, რომლებიც ნატოში შეხტომაზე თავს არ იკლავენ, მაგრამ ეკონომიკურადაც, სულიერადაც ჩვენზე კარგად არიან და თავის კულტურასაც უვლიან. აი, სწორედ აქეთკენ უნდა წავიდეს ჩვენი პოლიტიკა. აქვე, არასამთავრობოების მომრავლებაზეც მინდა მოგახსენოთ. ადრე ჯერ კიდევ ერთი არასამთავრობო იყო — „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელმაც ქართული ცნობიერება დაანგრია. ყველა ნაძირალა ამ „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ მოვიდა და დღეს ხელისუფლებაშია, რომელიც პირდაპირ ებრძვის ქართულ კულტურას, ტრადიციებს და ა.შ. ახლა, ასეთი არასამთავრობოები ერთი კი არაა, არამედ ძალიან ბევრი. ეს იცით საიდან მოდის? — პალმერმა დაწერა შრომა, 2024 წლისთვის როგორ მოვსპოთ დიქტატურა. ნამდვილი დიქტატორი და ტირანი სააკაშვილი იყო, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მის წინააღმდეგ ერთი სიტყვა არ უთქვამთ. როგორც სიონის ბრძენები ამბობენ, ჩვენ სახელმწიფოს სისხლი უნდა გავუთეთროთ, ანუ ძალაუფლება გამოვართვათ და არასამთავრობოებს გადავცეთ. ეს არასამთავრობოები კი, როგორც არასდროს, გაზაფხულის პირას რომ კარგად მოიხვნება და ჯეჯილი აყვავდება, ისე ყვავიან. ამას თუ არ მივხედეთ, საქმე ძალიან ცუდად იქნება.

**— რამდენადაც ვიცი, მათ ხელი არ მოაწერეს „პოლიტ. პატიმართა“ შესახებ მემორანდუმს.**

— დიახ, სწორედ იმიტომაც იყო, რომ მათ დღეს პოლიტ. პატიმრების გამოშვებისგან თავი შეიკავეს. იქედან კარნახობენ — რა გააკეთონ და რა არა. ასეთი ორგანიზაციების წინააღმდეგ თავიდანვე თუ არ აღდგა მთელი ქართველი ერი, სხვაგვარად დავილუპებით.

**— კულტურის სამინისტროს ირგვლივ სკანდალები არ ცხრება. თქვენი აზრით, რა გზით უნდა წავიდეთ, რომ გადავრჩეთ?**

— ვაცხადებ, ვინც კი ზერელედ მაინც იცის ქართველი ერის ისტორია, თუ რა ძალები გვიტევდნენ — ბიზანტიელები, არაბები, სპარსელები, თურქები, უნდა მიხვდეს რამ გადაგვარჩინა — ჩვენ გვქონდა მაღალი კულტურა, რომელსაც ვერ მოერივნენ. თუ კულტურას ვერ მოერევიან, ვერც ცნობიერებას წაგიშლიან. როდესაც, დღეს საქართველოში შეგნებულად ვითარდება მულტიკულტურა, რომელიც ქართულ ტრადიციას, ცნობიერებას ანგრევს, ეს ამაზრზენია. ჰესე წერდა — დღევანდელ კულტურას თუ კლასიკურს შევადარებთ, აღმოვაჩენთ, რომ ნაცვლად წინსვლისა ჭაობში ვვარდებითო. ესაა მთავარი. დღეს, ჩვენს კულტურის სამინისტროს და მის მოადგილეებს რომ ვუყურებ, კითხვა მიჩნდება — ვინ არიან ეს მოადგილეები, რამე დამსახურება აქვთ ქართული ერისა და კულტურის წინაშე? — ერთმა მოადგილემ გამოგვიცხადა 17 წელი გერმანიაში ვიყავიო და საერთოდ არ შეხებია ქართულ კულტურას, მეორე თურმე დოქტორია, ოღონდ ეს საკანდიდატოს დაცვის ტოლფასიც არაა და მესამე — იური მეჩითოვი, რომელიც კაი ქალაქელი ბიჭია, — რა შუაშია იგი ქართულ კულტურასთან? გურამ ოდიშარიას პატივს ვცემ, მაგრამ კეთილი ინებოს და ქართულ კულტურას მიხედოს. და თუ მას ქართული კულტურის გადარჩენა არ შეუძლია, მაშინ გვითხრას. ქართული კულტურა არის — მწერლობა, სიმღერა, ცეკვა — ეს მთელი კომპლექსია. კულტურა მარტო თეატრი არ არის. კულტურა ცნობიერების განმსაზღვრელია, თუ ამას არ მივხედეთ, ქართველი ერის, ხალხის საქმე დამთავრებულია და მაშინ დავღუპულვართ და ეგაა. ესაა ჩემი დამოკიდებულება.

**— დღევანდელ უმცირესობაზე რას იტყვით, როგორ ფიქრობთ მოიქნევენ ისევ კუდს?**

— მინდა იმ სითავხედეზე, ნამუსგარეცხილობაზე, უსინდისობაზე ვისაუბრო, რასაც დღევანდელი უმცირესობა ჰქვია. 9 წლის მანძილზე რასაც ხელი მოჰკიდეს, ყველაფერი დაანგრიეს, მის ნაცვლად კი ბოდიში მომითხოვია და ასოს მაგვარი რაღაცები წამოჭიმეს. „არქიტექტორ“ სააკაშვილის გაკეთებული ბათუმი ბათუმს არ ჰგავს, პლეხანოვი კარდოგიპსონით ააშენეს, რომ გაივლი და ფეხს დაარტყამ ინგრევა, კარდონია. ამაში უამრავი ფული დაიხარჯა. ეს ფასადი გარეგნულად ძველ ხელისუფლებას ჰგავს — ფასადური დემოკრატია და შიგნით ჭაობი, ტირანია. ამათ უკვირთ პოლიტიკური დევნა? 22 წელი დამდევდნენ მეცნიერ ადამიანს, ხან ფანჯრიდან გადავხტი, ხან ვიმალებოდი, ხან მიჭერდნენ, მერე საზღვარგარეთ ვიყავი, ვერაფერი დამაკლეს, იციან ჩემი გაუტეხელობის ამბავი, მაგრამ ხომ მოკლეს ჩემზე გაუტეხელი გურამ შარაძე იმიტომ, რომ სამშობლო უყვარდა. ძირს ეგდო მკვდარი და ხალხს აყურებინებდნენ, აშინებდნენ. ზოგი შარაძის მკვლელებს იცავს. წიკლაური გვეუბნება — ბაჩო ახალაია დიდი ქართველი მოღვაწეაო. სიმონ მასხარაშვილი, მართლა, ეს მასხარა ამბობს — მისი ქცევა ცოტნე დადიანის დარი იყოო. გაიხადონ, შევიდნენ და მიუჯდნენ გვერდით, მაინც იქ მოუწევთ დაჯდომა. წულუკიანი გონიერი, პრინციპული ადამიანია, მაგრამ მინდა მას ვუთხრა — ამათ არ უნდათ ფერება, დემოკრატიის ჩარჩოებში ჩაჯდომა და ისე საუბარი. ხომ ფაქტია, რომ ბარამიძემ ჩვენს თვალწინ მთელი აფრასიძეების ოჯახი ამოხოცა. სააკაშვილმა კი განაცხადა ეს ჩემი ბრძანებით გააკეთაო. აი, სწორედ ამათ უნდა წაავლონ ხელი და დაიჭირონ, მერე ამათ ყველა მიაყოლონ, სხვანაირად არ გამოვა. იმიტომ, რომ ესენი რევანშისთვის ემზადებიან. უგულავას წყალობით ტანი ვერ დამიბანია — ნაგვის გადასახადი დენს მიაბა და ლამის მთელი საქართველო ნაგვად აქცია, ამ დროს ცოლი ავსტრიაში ამშობიარა. მერე გამოდის და ზნეობის გაკვეთილებს გვიტარებს. მერაბიშვილის დიდი რეფორმატორობა იმაში გადაიზარდა, რომ ადამიანებს გაუსამართლებლად, ქუჩაში ხოცავდნენ. ამათ ხმა ამოეღებათ? ესენი —„ნაციონალები“ როგორც ფაშისტური ორგანიზაცია, საერთოდ უნდა აიკრძალოს, როგორც პარტია. ამ პარტიაში ვინც გაიჭაჭანა, პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობა ყველას უნდა აეკრძალოს. უფლება მაქვს ჩემი აზრი გამოვხატო, რადგან თავს ერისკაცად ვთვლი. ჩემმა შვილებმა, რომლებმაც უმაღლესები დაამთავრეს, გერმანიაში სწავლობდნენ, ჩემს გამო 20 წელია სამსახური ვერ იშოვეს და დღესაც უმუშევრები არიან.

ივანიშვილს დიდ პატივს ვცემ. რომ არა იგი, ესენი თავიანთ ავკაცობას გააგრძელებდნენ და რამდენიმე თვეში ერი მოისპობოდა, განადგურდებოდა. ამიტომ ვდუმვართ, მაგრამ არის პერიოდი, როდესაც ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსი ვერაფერს აკეთებს. ივანიშვილის მესმის იმიტომ, რომ რასაც „ნაციონალები“ აკეთებდნენ ამას იგი კი არა, ვერცერთი ზნეობრივი ადამიანი ვერ გააკეთებს, მაგრამ ხალხი უნდა გამოვიდეს. ახლა სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. ამას ნებისმიერი ქართველი მოაწერს ხელს.

**— თავის დროზე საერთაშორისო სამართლის მიერ ხომ მოხდა გერმანული ფაშიზმის გასამართლება. ხომ შეიძლება ჩვენც მოვითხოვოთ აშშ-სგან, ევროკავშირისგან და ა.შ. გამოძიება და ხმამაღლა ვთქვათ გვაქვს თუ არა საქმე ქართულ ფაშიზმთან?**

— ეს ფაშიზმზე უარესი გახლავთ. ფაშიზმი ერთ ეროვნებას — ებრაელებს ებრძოდა. ესენი ყველა ეროვნებას ებრძვიან, ყველა ეროვნების მოშთობა უნდათ. ეს ფაშიზმზე უარესია. ამათი მიზანია — გიორგიენ, გიორგიენ უნტერ ალენ. გერმანელები თავიანთ ხალხს ყველაზე მაღლა, ესენი კი ქართველებს ყველაზე დაბლა აყენებენ, აშთობენ და სპობენ. ესენი საჯაროდ უნდა გასამართლდნენ. მათთან აკადემიური ტონით მასლაათი აღარ შემიძლია, ვირს რაც არ უნდა უთხრა ვირია და ვერ გაიგებს ხურმა რა ხილია. ამიტომ მაგათ მათრახი უნდა მოსცხო და გაიქცევიან. ამ ჩიორას ხეზე უნდა გაუკეთო ბუდე, სააკაშვილი მელიასავით მივა და ჩიტო-ჩიტო-ჩიორაც ბარტყს გადაუგდებს.

**— რადგან ვახსენეთ, რომ „ნაციონალები“ უნდა გასამართლდნენ, ბოლო დროს ხომ არ ხდება ისე, რომ ერთ ბაჩოს გადავეკიდეთ და მთავარი დამნაშავეები გვერდზე მიგვრჩა.**

— ამაშია საქმე, ახალაია ხომ თავისით არ აკეთებდა ამ ყველაფერს. მას რომ კარგი თავკაცი ჰყოლოდა, ამ ყველაფერს ხომ ვერ გაბედავდა? ზნეობა ადამიანის მაკონტროლებელია, რაც ამათ არ აქვთ. ბენდუქიძე, როგორც ბისმარკი ისე გამოჰყავთ, არადა იგი პირველი ყაჩაღია, რომელმაც მთელი საქართველო კაპიკებში იყიდა. გარდა ამისა, ნერვებს მიშლის ტელევიზიები — ვერცერთ მათგანში ვერ ნახავთ თუნდაც ერთ ეროვნულ კაცს, რომლის მოსაზრების მოსმენა ერს სწადია. არადა ყოველ წუთში ვხედავთ თეა თუთბერიძეს ქორწილის ზაკუსკის თეფშებს რომ მიუგავს ყურები. ეს ბნელი, გაუნათლებელი ადამიანი მგონი სიჭინავაზე და სხვა წამყვანებზე ხშირად არის მაესტროზე. ვის ალაპარაკებენ, ან რისთვის, ე.ი. ისინიც მაგის დონის არიან. ეგ უნდა ჩააგდო პირველი იმ ციხეში. ასევე, ქართული იდეოლოგიის გადამგვარებელი ბოკერია. უგულავა და მათი გუნდი ყველა მოსაშთობია. ხალხნო, გაიგეთ, ესენი ქართველების მოძულენი და მტრები არიან.

**— არჩევნების შემდეგ ბატონმა ბიძინამ თქვა, როგორც საქართველოს ეკადრება ისე მოვიქცევითო...**

— საქართველოს ეკადრება ის, რომ ჩვენს ქვეყანაში მტრებს არ ინდობდნენ, მტრები დაუნდობელია. თუ შენ მტრებს დაინდობ, მიიღებ ისეთ პასუხს, რაც ქვეყანას დააზიანებს. ქრისტესაც კი რომელიც ამბობდა მარჯვენაში რომ გაგარტყამენ, მარცხენა მიუშვირეო, როცა ნახა, რომ ეკლესიაში ვაჭრობდნენ, კვერთხი აიღო და ვაჭრები განდევნა, რადგან ეკლესიას ბილწავდნენ. ამიტომ, ვინც საქართველოს ზნეობასა და სულიერებას ბილწავს, რყვნის, ყველა ჯოხითაა გასადევნი თუ დასაჭერი არაა. ამათგან უნდა გაიწმინდოს ქვეყანა.

**თამარ შველიძე**



# rogor waarTva 70.000 dolari prokurorma daviT sayvareliZem braldebul besarion xvinTelians

## საქართველოს იუსტიციის მინისტრს
## საქართველოს მთავარ პროკურორს
## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

პოლიტპატიმარი **ბესარიონ ხვინთელიანი,** რომელსაც სააკაშვილის ჯიბის სასამართლომ თაღლითობის ბრალდებით რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, პრეზიდენტად წოდებულმა მიშამ რამდენიმე დღის წინ შეიწყალა, მაგრამ მსჯავრდებულმა ამ „წყალობაზე“ უარი თქვა. ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ბიზნესმენი **ბესარიონ ხვინთელიანი,** რამდენიმე ათეული წელი მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მისი ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე** აცხადებს (იგი ამ საქმეში მოგვიანებით ჩაერთო), რომ ხვინთელიანმა დაუჯერა „რუსთავი-2“-ის მოწოდებებს, „ვარდოსნები“ ახალ, დემოკრატიულ საქართველოს აშენებენო და 2006 წელს სამშობლოში დაბრუნდა. იგი საქართველოშიც ეწეოდა ბიზნესსაქმიანობას და ქველმოქმედებას, მას ორმაგი მოქალაქეობა მისცეს. ხვინთელიანი როდესაც მიხვდა, რომ მწარედ მოტყუვდა, ოპოზიციას დაუკავშირდა, აფინანსებდა გარკვეულ ოპოზიციურ ძალებს, რაც, ცხადია, ნაცხელისუფლებამ არ აპატია და მკაცრად დასაჯა. მის მიმართ „შეკერილ“ საქმეში ფიგურირებენ ისეთი გავლენიანი ფიგურები, როგორებიც არიან თავად პრეზიდენტი **სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი,** მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე **დავით საყვარელიძე,** აწ პარლამენტარი **დავით საყვარელიძე,** პრეზიდენტის ძმა **დავით სააკაშვილი,** პარლამენტარი **მარიკა ვერულაშვილი** მერაბიშვილის სიმამრი **ალიბეგ სალაყაია** და ა.შ.

რატომ დააკავეს ბესარიონ ხვინთელიანი და რა შეხება ჰქონდათ ამ საქმესთან ზემოჩამოთვლილ „მაღალ“ პერსონებს, ამის შესახებ „საერთო გაზეთს“ „ქართული ოცნების“ წევრი, ცნობილი ადვოკატი **შალვა ხაჭაპურიძე** და პოლიტპატიმრის ძმა ძუბა ხვინთელიანი ესაუბრნენ.

ხვინთელიანი პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად რომ ჩაერთო, მისი შორეული ნათესავი, ცნობილი ზონდერი **გია უდესიანი** მიუგზავნეს, ოპოზიციასთან ურთიერთობას თავს თუ არ დაანებებ, აუცილებლად დაგიჭერთო, თუმცა ვერ დაითანხმეს. ამის შემდეგ მას უდესიანი კიდევ რამდენჯერმე შეხვდა და სწორედ ბოლო შეხვედრიდან ერთ კვირაში, კერძოდ, 2010 წლის 9 მარტს იგი დააკავეს. დაკავების საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ თითქოს



ხვინთელიანმა ვიღაცისგან საოფისე ფართი იყიდა, ნოტარიულადაც გადაიფორმა, მაგრამ მას ფული აღარ გადაუხადა. ხვინთელიანს ამ ობიექტის გარდა სხვა უამრავი ქონებაც წაართვეს, მილიონი ლარი ჯარიმის სახით გადაახდევინეს და 8-წლიანი პატიმრობაც მიუსაჯეს. პროკურატურა მას საპროცესო გარიგებას სთავაზობდა, მაგრამ განსასჯელი წაყენებულ პირობებს არ დასთანხმდა, რითაც ძალზე გააღიზიანა სააკაშვილი და მისი გუნდი. მას ეს „განკულაკება“ არ აკმარეს, ორი წელი №8 საპყრობილეში უკანონოდ აყურყუტეს და მხოლოდ მიმდინარე წლის გაზაფხულზე გადაიყვანეს რუსთავის №16 დაწესებულებაში, ანუ ე.წ. ზონაზე. ადვოკატის თქმით, ხვინთელიანი მუდმივად ზეწოლის ქვეშ იყო და არაერთხელ მოხვდა კარცერშიც.

ახლა კი იმის შესახებ, როგორ „იკერებოდა“ ხსენებული საქმე და როგორ „ააზიეს“ კოლოსალური თანხები ხვინთელიანს მარტო ხელისუფლებამ კი არა, ხელისუფლებასთან „შეკრულმა“ ადვოკატებმა და „ქვეყნის ხერხემლის“ სიმამრმა **ალიბეგ სალაყაიამ**.

ბესო ხვინთელიანმა, როდესაც საქართველოში ბიზნესსაქმიანობა და ქველმოქმედება დაიწყო, მისთვის გაუცნიათ ბიზნესმენი **ალეკო თალაკვაძე,** რომელმაც, თავის მხრივ, ხვინთელიანს თავისი მეგობარი, პრეზიდენტის ძმა **დავით სააკაშვილი** და პარლამენტარი **მარიკა ვერულაშვილი** გააცნო. ხვინთელიანს კვიპროსში სახლი აქვს, სადაც ერთი კვირით სტუმრობდნენ აგვისტოს ომამდე რამდენიმე დღით ადრე დავით სააკაშვილი, მარიკა ვერულაშვილი და თალაკვაძე. იქ ყოფილა საუბარი, რომ ხვინთელიანს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის დარეგულირებაში უნდა მიეღო მონაწილეობა. როგორც ჩანს, ვიღაცას არ მოეწონა მისი აქტიურობა, განსაკუთრებით მიუღებელი კი, ოპოზიციაში გადაბარგების შემდეგ გახდა. ხვინთელიანს სერიოზული კავშირები ჰქონდა მთელ მსოფლიოში ქართველ და არამარტო ქართველ ბიზნესმენებთან, ასე, რომ, ხელისუფლებამ აშკარად იგრძნო საფრთხე, რომ ამ ადამიანს სერიოზული თანხების მოზიდვა შეეძლო ოპოზიციისთვის.

**ძუბა ხვინთელიანის** განცხადებით, პოლიციამ თავიდან ალეკო თალაკვაძე დააკავა. მას სომხეთის ცემენტის ქარხნიდან ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების ცემენტი ჰქონია წამოღებული, მაგრამ ფული არ გადაუხდია. ამ ფაქტის შესახებ **ვანო მერაბიშვილმა** სომხეთში სტუმრობისას შეიტყო. ამ ქარხნის ერთ-ერთი მეწილე სომხეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალი ყოფილა. მერაბიშვილი და ეს გენერალი სევანის რესტორანში სადილობდნენ (იქ სხვა პირებიც ყოფილან, მათ შორის მერაბიშვილის ერთ-ერთი მოადგილე, გენერალი **ანზორ მარგიანი**), რა დროსაც მერაბიშვილს მასპინძლებისთვის უთქვამს, საქართველოში დიდი ფულის შოვნა შეიძლება და რატომ არ ჩამოდიხართო. სომეხ გენერალს მაშინ უთქვამს, როგორ „გადაგდო“ ქართველმა ბიზნესმენმა თალაკვაძემ. მას ერთი ახალგაზრდა ახლდა (ანზორ მარგიანის ვაჟი), რომელზეც გვითხრა მამამისი პოლიციის გენერალია და ეს ახალგაზრდა ჩემი „კრიშაა“, ვენდეთ, მაგრამ მოტყუებული დავრჩითო. მერაბიშვილი დაინტერესებულა ამ საქმით, იმ პერიოდში თალაკვაძე უკრაინაში იყო გაქცეული, იქ დაიჭირეს და მალევე საქართველოში ჩამოიყვანეს.

თალაკვაძის დაჭერიდან 2-3 დღეში ვიღაცები მისულან ქსნის ქუჩაზე მდებარე ოფისში, რომელიც ხვინთელიანმა თალაკვაძის მეშვეობით იყიდა, ეს ობიექტი აუქციონზე უნდა გავიტანოთ და გავყიდოთო. სწორედ ამ ოფისის გამო დააკავეს ბესარიონ ხვინთელიანი, მეპატრონისთვის ფული არ გადაგიხდიაო. სინამდვილეში კი, მას ამ ობიექტში ორჯერ გადახდევინეს ფული. თალაკვაძემ თავის დროზე მას უთხრა, ეს ობიექტი ჩემს მეუღლეს და ნათესავ ქალს ეკუთვნითო, ობიექტი 1.800.000 დოლარად მიჰყიდა და თანხაც გადაახდევინა, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების



გაფორმებას ის „ნათესავიც“ ესწრებოდა. მერე გაირკვა, რომ ეს ობიექტი ბანკში იყო დაიპოთეკებული და ხვინთელიანს მისი გამოსყიდვა დამატებით ნახევარი მილიონი დოლარი დაუჯდა. როგორც ჩანს, თალაკვაძემ თავის „ნათესავს“ ფული არ გადაუხადა. ამ ქალბატონს და კიდევ ორ პირს ბინები ჰქონდათ დაიპოთეკებული, ვალი რომ ვერ გადაიხადეს, ბანკმა მათ ბინები წაართვა. ამის შემდეგ უჩივლა იმ ქალბატონმა თალაკვაძეს და არა ხვინთელიანს. თალაკვაძემ გამოძიებასთან ითანამშრომლა და ყველაფერი ხვინთელიანს გადააბრალა (ხელისუფლებისგან მის მიმართ ინტერესი არსებობდა და ეს ფაქტი კარგად გამოიყენეს), მის მითითებებს ვასრულებდი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახის განადგურებით მემუქრებოდაო.

მსჯავრდებულის ძმის განცხადებით, პირიქით, თალაკვაძე ემუქრებოდა ბესო ხვინთელიანს შვილების დახოცვით. ძუბა ხვინთელიანის თქმით, ის ციხეში დაუკავშირდა თალაკვაძეს, რატომ ღუპავ უდანაშაულო ადამიანსო, მას კი პასუხად შემოუთვლია, თქვენ არ იცით, როგორ მაწამებენ (რკინის კარში მაყოლებენ ხელის თითებს), რომ ბატონი ბესოს წინააღმდეგ მივცე ჩვენებაო. მართლაც ხდებოდა თუ არა ასეთი ზეწოლა, ჩვენმა რესპონდენტმა არ იცის, თუმცა იმას კი აცხადებს, რომ თალაკვაძე საეჭვო ადამიანია. ამ „თანამშრომლობის“ შემდეგ თალაკვაძეს საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. იგი ახლაც ბიზნესმენობს, ხორცის ბიზნესშია ჩართულიო. ძუბა ხვინთელიანი დარწმუნებულია, რომ მისი ძმისგან მოტყუებით გამოძალული ფულით თალაკვაძემ მარიკა ვერულაშვილს სახლი აუშენა ყვარელში. ჩემ ძმას ბლოკის ქარხანა ჰქონდა (მას ეს ქარხანაც წაართვეს) და თალაკვაძეს იქედან მიჰქონდა ბლოკი ვერულაშვილის სახლის ასაშენებლად, ასევე, ის მუშები, რომელიც ხსენებული ოფისის რეკონტრუქციაზე მუშაობდნენ, ვერულაშვილის სახლის მშენებლობაზე მიჰყავდაო.



თურმე ერთ კვირა ღამეს ხსენებული სომეხი გენერალი მერაბიშვილის მოადგილესთან და ციხის უფროს ალეკო მუხაძესთან ერთად „სწვევია“ ბესარიონ ხვინთელიანს №8 საპყრობილეში, - თქვენ გადამიხადეთ ის ნახევარი მილიონი დოლარი, რომელიც თალაკვაძეს მართებს, პროკურატურა საპ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

როცესო შეთანხმებას გაგიფორმებთ და გაგათავისუფლებთო. ეტყობა,

**სააკაშვილის რეჟიმის დროს საქართველოში მართლმსაჯულების აღსრულებას სომეხი გენერლები წყვეტდნენ.**

ამ ფაქტს ძალზე აღუშფოთებია ხვინთელიანი, ის ისედაც არ აპირებდა ხელისუფლებასთან რაიმე გარიგებაზე წასვლას და ამის შემდეგ კატეგორიული უარი თქვაო. გამომძიებლები მას თურმე რუსთავშიც აკითხავდნენ, ამ დაწესებულების დირექტორ **ვაჟა ცხვედიანის** თანდასწრებით რამდენჯერმე მოხდა შეხვედრა, მას ბრალის აღიარებას და დამატებით რამდენიმე მილიონის გადახდას სთავაზობდნენ თავისუფლების სანაცვლოდ, თუმცა ხვინთელიანი უარით ისტუმრებდა.

ახლა რაც შეეხება ადვოკატების ჯგუფს, „ცნობილი“ **გიორგი ყავლაშვილის** მეთაურობით (შალვა ხაჭაპურიძე მას ქართული ადვოკატურის სირცხვილს უწოდებს), ისინი



პროკურატურის დავალებით ხვინთელიანის „დამუშავებას“ აწარმოებდნენ, რომ როგორმე საპროცესო გარიგებაზე დაეთანხმებინათ, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. პატიმარი ერთადერთს მოითხოვდა ადვოკატებისგან, მის მიმართ გამამართლებელი განაჩენი დამდგარიყო. ბოლოს შეწუხებულმა პატიმარმა ოჯახს სთხოვა, რომ ჩამოეშორებინათ ყავლაშვილი და მისი გუნდი. ამის შემდეგ ოჯახს **ვანო მერაბიშვილის** სიმამრი **ალიბეგ სალაყაია** გააცნეს (სალაყაიას წინააღმდეგ უკვე შეიტანეს სარჩელი პროკურატურაში შალვა ხაჭაპურიძემ და მსჯავრდებულის ძმამ). ერთ-ერთი ადვოკატის ოფისში მომხდარა ძუბა ხვინთელიანის და ბატონი ბესოს მეგობრის **ლონდერ ცაავას** შეხვედრა **ალიბეგ სალაყაიასთან**. ამ უკანასკნელმა დაარწმუნა ეს ხალხი, რომ ამ საქმეს აუცილებლად მოაგვარებდა და მსჯავრდებულს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლებინებდა. სალაყაიამ საპროცესო შეთანხმებისთვის 100.000 ლარი მოითხოვა, ჩემი მომსახურებისთვის კი 25.000 დოლარი უნდა გადამიხადოთო. **ძუბა ხვინთელიანმა** მოახერხა თანხის შეგროვება და 50.00 დოლარი გადასცა სალაყაიას მოწმეების თანდასწრებით. სალაყაია ამით არ დაკმაყოფილდა, იმ პერიოდში, როცა ძუბა ხვინთელიანი საქართველოში არ იმყოფებოდა, იგი ადვოკატ ნანა, იგივე ნინო რევაზიშვილის მეშვეობით დაუკავშირდა პატიმრის მეუღლეს – 10.000 დოლარია კიდევ საჭიროო და ეს ფულიც წაიღო. მას შემდეგ ორ წელზე მეტი გავიდა, ხვინთელიანი ისევ პატიმარია, ვანოს სიმამრი კი ამ ფულს არ აბრუნებს. ფაქტია, სალაყაია შვილისა და სიძის სახელით სპეკულირებდა, თუმცა ისიც გასარკვევია, მერაბიშვილმა თუ იცოდა სიმამრის „საქმიანობის“ შესახებ. ამ საქმეში სხვა ხალხიც ყოფილა გარეული, რომლებმაც ხვინთელიანის ოჯახს საქმის გაკეთების სანაცვლოდ, სოლიდური თანხები „ააფცქვნეს“.

ამ ყველაფრის შემდეგ ოჯახმა ადვოკატად **დავით ჯინჭარაძე** აიყვანა, რომელმაც მომსახურებისთვის 400.000 ლარს მოითხოვა. ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ თუ ის პირობას ვერ შეასრულებს, ანუ ხვინთელიანის მიმართ თუ არ დადგება გამამართლებელი განაჩენი, ამ თანხას უკან დააბრუნებს, ოღონდ თანხის 10%-ს (40.000 ლარს) მომსახურებისთვის დაიტოვებს. ჯინჭარაძის გარდა, კიდევ ორ ადვოკატი აწერს ხელს ამ ხელშეკრულებაზე, მათ შორის ხსენებული **ნანა-ნინო რევაზიშვილიც**. დაგვეთანხმებით, საქართველოს პირობებში ეს მართლაც ფანტასტიკის დონის ჰონორარია. შალვა ხაჭაპურიძის თქმით, ოჯახი ამ თანხაზე იმიტომ დათანხმდა, რომ ისინი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ რუსეთში და არ იცოდნენ, საქართველოში რა ხდებოდა. თავად ბესო ხვინთელიანი გლდანის საპყრობილეში სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში იყო, მას ადვოკატისთვის უთქვამს კიდეც, ციხეში რომ პრესა შესულიყო, ხომ მეცოდინებოდა, საქართველოში მხოლოდ 0,03% გამამართლებელი განაჩენი გამოდის, მივხვდებოდი, რომ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანი ამ რიცხვში ვერ მოვხვდებოდი და ვიღაცები აშკარად მატყუებდნენო.



ჯინჭარაძემ დანაპირები ვერ შეასრულა და ცხადია, ხვინთელიანებმა თანხის დაბრუნება მოსთხოვეს. მას პირველად მაშინ უთქვამს, ეს ფული მთავარი პროკურორის მოადგილე **დავით საყვარელიძეს** მივუტანეო. მოგვიანებით, **დავით ჯინჭარაძე** დაიჭირეს, ოღონდ სხვა საქმეზე. ის პირველ ოქტომბრამდე დუმდა, არჩევნების შემდეგ კი თავისი ადვოკატის მეშვეობით წერილი გამოუგზავნა შალვა ხაჭაპურიძეს. იგი წერს, რომ დაიბარეს მთავარ პროკურატურაში, სადაც შეხვდა მთავარი პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძეს, რომელსაც ადვოკატისთვის უთქვამს, ხვინთელიანის ოჯახისგან 400.000 ლარი გაქვს აღებული, სასწრაფოდ მომიტანე ეს ფული, თორემ დაგიჭეროო. მართალია, საყვარელიძე უფრო მეტს ითხოვდა, მაგრამ მხოლოდ 70.000 დოლარი მივუტანე, თუმცა მაინც დამიჭირესო. ჯინჭარაძე თურმე დეტალურად აღწერს, სად და რა ვითარებაში გადასცა საყვარელიძეს ეს ფული. გამოძიება როცა დაიწყება ამ საქმეზე და დამკითხავენ, მაშინ ვიტყვი, დანარჩენი თანხა ვის გადავეცი. მპირდებოდნენ, რომ ხვინთელიანის მიმართ გამამართლებელ განაჩენს გამოიტანდნენ და თურმე იმიტომ ითხოვდნენ ამ ფულს, ფაქტობრივად, გამომძალეს ეს თანხაო. ჯინჭარაძეს თავის დროზე არ უთქვამს ხვინთელიანის ოჯახისთვის, რა გარიგება ჰქონდა პროკურატურასთან, მხოლოდ ოფიციალურ ხელშეკრულებაში წერენ, ადვოკატები მივაღწევთ გამამართლებელი განაჩენის გამოტანასო. სად წავიდა ხსენებული თანხა, ჯინჭარაძე ამის შესახებ გამოძიებას აუცილებლად მისცემს ჩვენებას, ამ ეტაპზე კი ის უმძიმეს დანაშაულში ამხელს **ზურაბ ადეიშვილის** მარჯვენა ხელს, ბატონ საყვარელიძეს, რომელიც დღეს პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან უმანკო სახით გვმოძღვრავს.

შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, დაჭერას უპირებდნენ ბესო ხვინთელიანის მეუღლესაც, რომ შემდეგ ამ მეთოდით მოეხდინათ მსჯავრდებულზე ზემოქმედება და თავიანთ პირობებზე დაეთანხმებინათ. ამიტომ ეს ქალბატონი იძულებული გახდა სასწრაფოდ დაეტოვებინა საქართველო. მანამდე გია უდესიანმა ეს ქალბატონი ვანო მერაბიშვილის მეგობარს (რესტორან „მეტეხის ჩრდილში“ დირექტორი), ვინმე ლევანს შეახვედრა, რომელსაც უთქვამს: ვანო გადასარევი ადამიანია, მაგრამ თქვენი მეუღლე პოლიტიკური ნიშნითაა დაპატიმრებული, ამიტომ ძნელია ამ საქმის მოგვარება, აღიაროს დანაშაული (მას უნდა „ეღიარებინა“, რომ რუსეთთან იყო „შეკრული“ და დაესახელებინა ამ საქმეში გარეული სხვა ოპოზიციონერი ლიდერებიც, ოღონდ ჯერ კონკრეტულ გვარებს არ ეუბნებოდნენ. ამ გვარებს, ალბათ, მერე საჭიროებისამებრ „ჩასვამდნენ“), დათანხმდეს თანამშრომლობას, ფული გადაიხადოს და გაათავისუფლებენო. ნაციონალები თურმე ხვინთელიანების შვილსაც „უკერავდნენ“ საქმეს, ამიტომ დღეს მთელი ოჯახი საზღვარგარეთაა გადახვეწილი. ბესარიონ ხვინთელიანის მეგობარი და საქმიანი პარტნიორი **თამაზ მექვაბიშვილი** პოლიცია-პროკურატურისგან თურმე უდიდეს ფსიქოლოგიური ზეწოლას განიცდიდა, – დაითანხმე ხვინთელიანი და მისი ადვოკატი, რომ ევროსასამართლოდან საჩივარი გამოიტანონ, მედიასთანაც შეწყვიტონ ურთიერთობა და საპროცესო შეთანხმებაზე დათანხმდნენო. ამ ადამიანმა თურმე ვერ გაუძლო ამხელა ზეწოლას და ექვსი თვის წინ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. შალვა ხაჭაპურიძემ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით უკვე მიმართა საპარლამენტო კომისიას (რომელსაც ეკა ბესელია ხელმძღვანელობს) და მთავარ პროკურატურას და იმედოვნებს, რომ პოლიტპატიმარ ხვინთელიანის მიმართ ობიექტური გამოძიება ჩატარდება და გამამართლებელი განაჩენი დადგება.



**მანანა სუხიშვილი**




# xa l xis az r iT

ყველამ პასუხი უნდა აგოს იმ დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინა ქართველი ხალხის წინაშე და მოიხადოს სასჯელი მის ქვეყანაში.

სამშობლოში დაბრუნების უფლება ყველას აქვს, მაგრამ ყველა გაბედავს კი დაბრუნებას??? დაბრუნება არ ნიშნავს გამართლებას. გამართლებას ესაჭიროება მტკიცებულებები.

მიშამ რა დაგვანახა, თვითონ უნახავი არის, ამიტომაც იხმარა ეს ხალხი და ეს ქვეყანა.

როცა ხალხი შიმშილობს, პრეზიდენტმა ასეთი რამ არ უნდა იკადროს. თან, შევარდნაძის მინისტრების სასახლეების ფოტოებით ხელისუფლებაში მოსულმა.

14 830 ევრო დაუჯდებოდა, რაც აქ წერია. იქ ერთი ორ ქალსაც გადა..ვდა, გულაობს რა, ბიჭი, რა ენალვლება. 1 კვირაში იმდენს ხარჯავს, რომ ერთ დევნილთა ოჯახს დაასახლებ. ნეტა, ამისნაირ ფუფუნებაში ჩვენნაირი ქვეყნის რომელი პრეზიდენტია?

სააკაშვილო, მალე ჩაძაღლდები გლდანის მე-8 ში... ყველაფერზე პასუხს აგებ, შე კურდღელო...

ერთი დღე-ღამე 1350 ევრო ღირს. შენთვის, ეტყობა, ეს კაპიკებია, მაგრამ, აბა, გასაცოდავებულ ხალხს ჰკითხე, დღეს და ღამეს რომ ათენებენ და 300 ლარზე მუშაობენ.

თქვენ ყველამ მაგრად გაუბერეთ. ამერიკაში სახელმწიფო მოხელეებს ცოლ-ქმრული ღალატისთვის ატოვებინებენ დაკავებულ თანამდებობას და აქ კიდე ყველაფრის უფლება აქვთ?!

მე რომ მკითხოთ, ახალაია არის ჯალათი. მას სხვა შეფასება არ აქვს. ვინც მას იცავს, ისიც ჯალათია. ვის ვიცავთ?! ეკლესიების დამანგრეველს, ციხეებში წამების ავტორს და ა.შ. იკვეთება, რომ ფეოდალური ხანის აზროვნება არის იმ ხალხში, ვინც ლიბერალიზმზე ლაპარაკობს.

ოქრუაშვილი არ იყო? ტრუსიკით რომ დეიჭირა ოჯახში კაცი? ცოლთან ერთად ლოგინში იწვა. კაროჩე, რა? ყველა მთავრობა ტრაკი იყო და ტრაკები დარჩებიან.



## rezo CxeiZe:

# mixeil saakaSvili unda gadadges! es mTelieris moTxovnaa!

ინტერვიუ რეჟისორ
**რეზო ჩხეიძესთან**

**— ბატონო რეზო, თქვენ არჩევნებამდე თითქმის კარდაკარ იარეთ, როგორც თბილისში, ასევე ყველა რეგიონში და ამ დიდ გამარჯვებაში თქვენი წვლილი შეიტანეთ. ამჟამად პრეზიდენტის გადაყენებისთვის აგრძელებთ საქმიანობას. ამ ხუთიოდე დღის უკან დაარსდა „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის“, რომლის თავმჯდომარე გახლავთ მიხეილ ანდღულაძე, აგრეთვე, შეიქმნა საზოგადოება „ლაზარე“ — თავმჯდომარე რეზო ამაშუკელია. ეს ორი საზოგადოება გაერთიანდა და საპატიო თავმჯდომარედ აგირჩიეს, ვინ არიან ამ საზოგადოებაში გაერთიანებული, რატომ თვლიან ისინი ამ მოქმედებას საჭიროდ, კონკრეტულად როგორია თქვენი გეგმები?**



— დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველამ კარგად იცის, თუ სახელმწიფოს როგორ მეთაურთან ჰქონდათ საქმე. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სააკაშვილთან რჩებიან და ისინი, ვინც მის გვერდით დგანან, ბევრი დაკარგეს. ქვეყნის პრეზიდენტი საერთოდ არ იცნობს თავისი ხალხის კულტურას, არ ვიცი, სადაც იგი ტრიალებდა, ასეთი როგორი ალიზარდა, მისთვის არავითარი წმინდა არ არსებობს. სისულელეებს იგონებს, რომელსაც არავითარი ესთეტიკური ღირებულება არ გააჩნია.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— თანამედროვე სტილი არ არის ის ცნობილი ხიდი, იქ გავლილი კაცი არ მინახავს, საერთოდ რას ჰგავს. მისი რეზიდენცია მახსოვს. იმ ადგილას პოლიციის შენობა იყო ადრე. ამბობდა, კოსმეტიკურ რემონტს გავუკეთებო... ვიცით, რაც დაჯდა ეს კოსმეტიკური რემონტი. იგი ეჯიბრება თეთრ სახლს, ეჯიბრება ჩვენი სულიერების დიდ ტაძარს — წმინდა სამებას, რადგან სამების სიმაღლე უფრო დიდი იყო პრეზიდენტის სასახლის დროშაზე და მან დროშა სამებაზე მაღლა ასწია. ამასთან დაკავშირებით ერთი მაგალითი მინდა გავიხსენო, ჩარლი ჩაპლინის სურათი „დიქტატორი“. ეს ფილმი საბჭოთა დროს გადიოდა კინოეკრანებზე. იქ არის ასეთი სცენა: ჩარლი პარიკმახერია, ის ასახიერებს ადოლფ ჰიტლერს, მეორე სკამზე, ასეთივე სავარძელზე კი ზის მუსოლინი. მუსოლინი გადახედავს ადოლფს. შეხედავს ჰიტლერი რა სიმაღლეზეა და სკამს ასწევს და მაღლა ავა ამას რომ შეხედავს მუსოლინი, ისიც ასწევს სკამს მაღლა. ასე ეჯიბრებიან ერთმანეთს, ბოლოს ორივე ჩამოვარდება სკამიდან. ამ ფილმიდან ჩანს ორივე დიქტატორის სულიერი სიმდაბლე. ჩვენი პრეზიდენტიც ასე ეჯიბრება სამების ჯვარს, მან თავისი ხელისუფლების პერიოდში დაუნდობელი ბრძოლა სწორედ სიმაღლეებს დაუწო. დავით ალმაშენებლის ძეგლის გადატანა გაბედა ჯერ თბილისში, შემდეგ ქუთაისში. ბევრი რამ ჩვენი ბრალია, მაშინ ხმა უნდა ამოგვეღო. მთელი ღამეები უნდა გვედარაჯა, საქართველოს ჭკუა-გონებას შეურაცხყოფა მიაყენა, ჩემი სიტყვები სანახევროდ გადმოსცემს იმ აღშფოთებას, რომელიც მაშინ პრეზიდენტის ვანდალიზმმა გამოიწვია, არარაობად გადააქცია საამაყო მეცნიერებათა აკადემია, იგი მაშინ დაარსდა, როდესაც ფაშიზმის წინალმდეგ მიმდინარეობდა ბრძოლა. მან ვერ ისწავლა საქართველოს ისტორია. მისი უშუალო ბრძანებით დაიხურა მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივები, თეატრები, მწერალთა კავშირი, გაანადგურა განათლება და მეცნიერება. მახსოვს, რუსეთის კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ გუბენკომ მითხრა: რეზო მითხარი, რა დაემართა ქართულ ფილმსო. მე შემრცხვა. მსოფლიოში არსებობს ამერიკული, ფრანგული, იტალიური და ქართული კინო, რომელსაც კინომცოდნეებმა განსაკუთრებული სახელი შეარქვეს — „ქართული კინო“- ფენომენი“, დიახ, ასე იბეჭდებოდა, როდესაც რამდენჯერმე კინოშეკრებას უყურებდნენ კანის, ვენეციის, ტოკიოს, ედინბურგის, მეხიკოს სხვადასხვა კინოფესტივალზე. რომ გადავხედოთ ხალხის მატერიალურ მდგომარეობას, ხელფასებს, პენსიებს, უმუშევრობას, პრეზიდენტი არტახებშია. იგი უნდა გადადგეს და ამას მოვითხოვთ ჩვენ. ერი გმინავს და იმიტომ ჩაება ამ მოძრაობაში.

**— ბატონო რეზო, ნატოს ასამბლეაზე ითქვა, რომ სააკაშვილი 2012 წლის ოქტომბრამდე პრეზიდენტის პოსტზე უნდა დარჩეს, არადა, მას 20 იანვრამდე ეწურება ვადა.**

მიხეილ სააკაშვილი უნდა გადადგეს! ეს მთელი ერის მოთხოვნაა? სხვას ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევა არავის ეკითხება.

მე აბსოლუტურად მჯერა, ამ დუხჭირ მდგომარეობაში ერის გამოყვანა მხოლოდ ღვთისგან მოვლენილ ადამიანს შეუძლია. შემაშფოთებელი მდგომარეობაა შობადობის მხრივაც. უცხოელები გვიწინასწარმეტყველებენ, რომ 50 წლის შემდეგ რუკაზე აღარ იქნება საქართველო.

ამ და კიდევ ძალიან ბევრ სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ჩვენთან ყველა თაობის ადამიანები, საზოგადოების ცნობილი სახეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტი-ახალგაზრდობა ხელმოწერებს აგროვებენ, ჩვენ ერთადერთი მოთხოვნა გვაქვს, დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს პრეზიდენტი სააკაშვილი, უკვე მეხუთე დღეა დაიწყო ხელმოწერები და ძალიან დიდი აქტიურობაა. ჩემი მიზანია, ორგანიზება გავუკეთო ამ მოძრაობას, ამას დღევანდელი ქვეყნის მდგომარეობა მოითხოვს, ამ „აჯანყებაში“ ყველაზე დიდი იმედი ახალგაზრდობის მაქვს.

ხელმოწერები თბილისის გარდა რეგონებშიც გაგრძელდება.

ერთხელ მოსკოვიდან თვითმფრინავით ვბრუნდებოდი, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი. ჩემს გვერდით ხანში შესული სიმპათიური კაცი იჯდა. სხვადასხვა თემებზე ბევრი ვისაუბრეთ. მან ასეთი რამ მითხრა, როდესაც „კომუნისტები შემოვიდნენ“, დაიწყო განუკითხაობა, ისინი ყველა ადამიანში მტერს ეძებდნენ. მაშინ ქართველმა ხალხმა შექმნა და მოიგონა ვითომდა ფიზკულტურული ორგანიზაცია, რომელსაც ერქვა „შევარდენი“. ეს სპორტული ორგანიზაცია პოლიტიკური იყო, როცა ერთმანეთს ვხვდებოდით, ასე მივმართავდით ერთმანეთს: გუშაგობ ერს? მარად! უნდა ეპასუხა შემხვედრს.

ჩვენ თავისუფლებისმოყვარულმა ერმა დღეს ასე უნდა ვუპასუხოთ. დიახ — ჩვენ ვდარაჯობთ ერს.

**ნანა სულავა**

# wina xelisuflebis mier mimdinare wels miliardze meti Tanxa wyalSia gadayrili

**ეკონომიკური დანაშაული ნაციონალური ხელისუფლებისათვის იმდენად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა, რომ, ფაქტობრივად, ჩვეულებრივ ინერგებოდა დიდ თუ მცირე ბიზნესში. დღეს უკვე საკმაოდ გამოაშკარავდა ის „სქემები“, რომლთაც „წარმატებული“ ბიზნესმენები მოქმედებდნენ. თუ რამდენად დააზარალა ამ მეთოდებმა ქვეყანა, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ. მანამდე კი ფინანსთა მინისტრის ბატონ ნოდარ ხადურის აზრი ამ საკითხებზე ასეთია.**

**— რატომ ამარაგებდა კომპანია „ბარამბო“ სარფის საბაჟოს ყოველდღიური კვების პროდუქტად შოკოლადებით, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება?**

— 2012 წლის 1 მაისს შემოსავლების სამსახურმა გამოაცხადა ტენდერი, ვინ მიაწოდებდა საკვები პროდუქტებით სარფის საბაჟოს. ტენდერში გაიმარჯვა კომპანია „ბარამბომ“. რატომ „ბარამბო“ და არა ისეთი კომპანია, რომელიც მებაჟეებს ჩვეულებრივი ცხელი ყავით ან ცხელი კერძით მოამარაგებდა, ამ კითხვაზე პასუხი სჯობია სარფის საბაჟოს ხელმძღვანელობამ გასცეს. მანამდე კი მხოლოდ ფაქტები შემიძლია შემოგთავაზოთ. დღეღამის განმავლობაში ამ საბაჟოზე 24 თანამშრომელი მორიგეობს, მათი შოკოლადით მომარაგებისათვის კი კომპანია „ბარამბომ“ ტენდერის გამოცხადებიდან 1 თვეში უკვე 187 175 ლარი უკვე მიიღო. თითოეულ მებაჟეს მორიგეობაზე 6 ცალი შოკოლადი ეძლევა უფასოდ 24 საათის განმავლობაში, ეს არის 7 ლარის შესაბამისი ერთ პიროვნებაზე. რატომ ასეთი უაზრო ხარჯები — ეს გაურკვეველია, თუმცა ჩანს, რომ მათ კვების რაციონს ვინც განსაზღვრავდა, ის დაინტერესებული იყო „ბარამბოს“ პროდუქციის გასაღებით. შეესაბამებოდა თუ არა 7 შოკოლადის ფილა დღე-ღამეში კვების რაციონს, ან ადამიანის ჯანმრთელობას, ეს ცოტა არ იყოს გაურკვეველია.

**— რა მოხდა საზოგადოებრივ მაუწყებელში, რატომ განაცხადეს პროტესტი შემოწმებაზე?**

— სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა იყოს გამჭვირვალე, გადასახადის გადამხდელებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რაში იხარჯება მათ მიერ გადახდილი გადასახადები და ამავე დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ხარჯი, რომელიც ბიუჯეტიდან წავა, იყოს ეფექტიანი. ბიუჯეტმა თავი უნდა დაანებოს ფულის ფლანგვას, რაც შეეხება საგადასახადო პოლიტიკას, შეიცვლება ადმინისტრირება.

საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ 3,8 მილიონი ლარის საგადასახადო დავალიანება დააგროვა. ამიტომ ამ ტელევიზიაში გეგმიური შემოწმების შესახებ შეტყობინება 6 თებერვალს საგადასახადო კოდექსის სრული დაცვით მოხდა. პირადად ჭანტურიას ჩაბარდა შემოსავლების სამსახურის ხელმოწერილი ბრძანება. ეს გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ შესამოწმებელი ობიექტი საქართველოში სპეციალური ელექტრონული პროგრამის საფუძველზე შეირჩევა რისკ-ფაქტორებზე დაყრდნობით. საზოგადოებრივი ტელევიზია კი დარგობრივი შემოწმების საფუძველზე მაღალი რისკ-ფაქტორის ჯგუფში მოხვდა. აღნიშნულ ჯგუფში სხვა გადამხდელებიც მოხვდნენ, რომელთა შემოწმებაც უახლეს ხანში მოხდება.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ 1 ოქტომბრამდე საქართველოში საგადასახადო კოდექსი ყველასათვის არ მოქმედებდა! ამიტომაც დააგროვა ამ ტელევიზიამ ამდენი — 3,8 მილიონი დავალიანება, რაც კანონდარღვევაა და ამიტომაც განვახორციელეთ ექსკლუზიური უფლება ისინი შეგვემოწმებინა.



**— რას ფიქრობთ სოციალური დახმარების შეჩერების საკითხზე?**

— ეს საქმე მალე მოგვარდება, ვინაიდან სოციალურად დაუცველები არანაირად არ არიან საქმესთან დაკავშირებულნი. ვანო მერაბიშვილმა კი უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმაზე, რომ 600 000 მოქალაქეს სოციალურ შეღავათებთან და დაზღვევასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა. მერაბიშვილმა სახელმწიფო ბიუჯეტს ზედმეტ ტვირთად 2012 წელს დაახლოებით 25 მილიონი ლარი, ხოლო მომავალ წელს კი 78 მილიონი ლარი „აჰკიდა“. ეს მოხდა უკანონოდ და საბიუჯეტო კანონმდებლობის დარღვევით. ასევე, პროკურატურამ უნდა გაარკვიოს, რის საფუძველზე მოხდა 19 ოქტომბერს ვანო მერაბიშვილს მიერ სოციალური დახმარების შეჩერება. გამოსავალი ის არის, რომ უნდა აღდგეს 2012 წლის ბიუჯეტში ის პარამეტრები, რომელიც 13 ოქტომბრამდე არსებობდა. არავინ არ დარჩება შეღავათის გარეშე.

ზედაპირული გამოანგარიშებით ვნახეთ, რომ მიმდინარე წელს 1 მილიარდზე მეტი თანხა წყალშია გადაყრილი. მომავალში ეს თანხები მოხმარდება სოციალურ დახმარებას, ჯანდაცვას, განათლებას. პრეზიდენტი სააკაშვილი 5 წყაროდან ფინანსდება. მხოლოდ ელექტროენერგიის ხარჯი 800 000 ლარია და ასეთი რეზიდენცია მას ქვეყანაში აქვს ხუთი! ვფიქრობ, ქვეყანას არა აქვს ამის ფუფუნება და ეს აღარ უნდა გაგრძელდეს.

**ეთერ კასრელიშვილი**

# ramdeni politpatimaria saqarTveloSi _ 185 Tu 185+13?



**რატომ დატოვა „კონსტიტუციის 42 მუხლმა“ და „საია“-მ პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შექმნილი კომისია, რომელსაც პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და დევნილ პირთა გათავისუფლების შესახებ უნდა ემსჯელა. „საერთო გაზეთს“ კონსტიტუციის 42 მუხლის გამგეობის თავმჯდომარე ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲐᲑᲘᲡᲝᲜᲘᲐ ესაუბრა.**

— პარლამენტის მხრიდან მისასალმებელია პოლიტპატიმრების საკითხის წამოწევა, ნამდვილად დროული და აქტუალური თემაა, მაგრამ საკმაოდ ფაქიზ და სერიოზულ მიდგომას მოითხოვს. „ჰელსინკის ჯგუფის“ მიერ შემოთავაზებულია 185-კაციანი პოლიტპატიმრების და 13 დევნილი პირის სია. პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისია, რომელსაც ქალბატონი ეკა ბესელია ხელმძღვანელობს აღნიშნული სიის შესასწავლად ორკვირიანი ვადა მოგვცა, თუმცა კომისიაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები და ადვოკატები მუშაობის ფორმატზე თავად უნდა შევთანხმებულიყავით. ამ ორი კვირის განმავლობაში უნდა გვემუშავა „ჰელსინკის ჯგუფის“ მიერ მოწოდებულ სიაზე და საფუძვლიანად შეგვესწავლა იმ პირთა საქმე, რომლებიც სიაში იყვნენ წარმოდგენილი.

**— თუმცა „ჰელსინკის ჯგუფმა“, რომელიც ბევრ კვალიფიციურ იურისტს აერთიანებს 185 კაცი პოლიტიკურად და 13 პირი დევნილად სცნო. დღის წესრიგში რატომ დადგა იგივე სიის კვლავ ახლიდან შეესწავლა?**

— ევროსაბჭოს აქვს რეზოლუცია, რომელშიც მკაცრადაა ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, ვინ შეიძლება ჩაითვალოს პოლიტპატიმრად.

**— „ჰელსინკის ჯგუფმაც“ იგივე რეკომენდაციის საფუძველზე არ შეადგინა სია, რომელიც პარლამენტთან არსებულ კომისიას მიეწოდა?**

— ჩვენ გვსურდა, რომ თითოეული ადამიანის საქმე განხილულიყო საფუძვლიანად და არა ერთი ხელის აღებით გვეთქვა ვინმეზე, რომ ის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლია. კომისიის სამუშაო ფორმატი ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა და უფრო სწრაფად უნდა მომხდარიყო საქმეების განხილვა, რაც ჩვენთვის მიუღებელი აღმოჩნდა შესაბამისად, „საიამ“ და „კონსტიტუციის 42 მუხლმა“ დავტოვეთ კომისია.

გარდა 185+13 კაციანი სიისა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც აღნიშნულ სიაში ვერ მოხვდნენ, მაგრამ პრეტენზია აქვთ, რომ პოლიტპატიმრები არიან.

**— რამდენია ასეთი პირი?**

— ნამდვილად არ ვიცი მათი ზუსტი რაოდენობა, მაგრამ ასეთი კატეგორიის პირები ნამდვილად არსებობენ. გარდა ამისა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ გათავისუფლდნენ, პატიმრობაში აღარ არიან, მაგრამ თავს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად მიიჩნევენ. სურთ მუშაობა, მაგრამ სამსახურს ვერ იწყებენ, რადგან ნასამართლევნი არიან.

**— პარლამენტთან არსებული კომისია ამ კატეგორიის ადამიანებს არ განიხილავდა?**

— კომისიის მუშაობა ორიენტირებულია იმ კატეგორიის ხალხზე, ვინც პატიმრობაშია და თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს. თუმცა 185-კაციან სიაშიც არის სახელგვარები, რომელთა პოლიტპატიმრობის საკითხი ეჭვს იწვევს. თუნდაც ერთ საქმეზე არასწორმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა დააზარალოს ის პირები ვინც მართლაც პოლიტპატიმრები არიან. ამიტომ აუცილებელია ყველა საქმის საფუძვლიანად შესწავლა, თუნდაც შემაჯამებელი დოკუმენტების გაცნობა, თუმცა ზოგიერთ საქმეზე საერთოდ შეუძლებელი იყო წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე შემაჯამებელი დოკუმენტის ნახვა და მხოლოდ ის, რომ დავეყრდნოთ შემოთავაზებულ სიას — საკმარისი არაა.

**— რას გააკეთებს „კონსტიტუციის 42 მუხლი“ და იგივე „სია“, რომ მართლაც პოლიტიკური მოტივებით დაკავებული ადამიანების გათავისუფლება გამჭვირვალედ და სამართლიანად მოხდეს?**

— ჩვენ მზად ვართ ჩვენს მიერ წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობა ავიღოთ. 185-კაციანი სიიდან „კონსტიტუციის 42 მუხლის“ მიერ წარმოებული საქმეებთან, ხოლო „საიას“ მიერ დაახლოებით 50-მდე. მზად ვართ, რომ საჭიროების შემთხვევაში გამოვცხადდეთ პარლამენტში და წარვუდგინოთ შესაბამისი დოკუმენტაციები და დავუსაბუთოთ დეპუტატებს, რატომ მიგვაჩნია ესა, თუ ის პირი პოლიტპატიმრად.



**— იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდა კომისიის მუშაობაში ხარვეზების აღმოფხვრა, რაზეც საუბრობთ, შეიძლება ვთქვათ, რომ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არასამართლიანი იყო?**

— მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო პარლამენტი არ არის. სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ პირის პოლიტპატიმრად ცნობის შესახებ ან დაადასტურებს, ან არა, რაც შემდგომ გახდება საგამოძიებო ორგანოს მიერ საქმის ხელახალი შესწავლის საფუძველი. ანუ პოლიტპატიმრების გათავისუფლება მოხდება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

**— რა ინფორმაციას ფლობთ, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც ხომ არ გეგმავენ კომისიის დატოვებას?**

— რამდენადაც ვიცი, სამუშაო ჯგუფმა საქმეების განხილვა უკვე დაიწყო და ალბათ, შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ჩვენთვის მთავარია, რომ სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული იყოს.

რადგან ჩვენ უკან დგას ორგანიზაცია და ადამიანები, ვის რეპუტაციასაც ვერ შევლახავთ იმის გამო, რომ პოლიტპატიმრების საქმეები ზედაპირულად განვიხილოთ.

**ᲛᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲜᲐᲑᲐᲮᲢᲔᲕᲔᲚᲘ**


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ


დღეს ეს ცხვირმოუხოცავი, პრეზიდენტის სასახლეში, სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეულ ახლგაზრდებს შეხვდა, სადაც ასეთი რამ განაცხადა: „ერთხელ ჩემმა მეგობარმა, აწ განსვენებულმა ლეხ კაჩინსკიმ მითხრაო: იცით, რა განსხვავებაა ჩემი, როგორც ევროკავშირისა და ნატოს წევრ ქვეყანასა, და თქვენს შორისო? მე როცა გადავდგები, არ დამიჭერენო..............(იმიტომაც შვლიპეს ძირს!!!!!!)

მეორე დიდი სისულელე, რომელიც სააკოვმა გადმოაფრქვია. კერძოდ, მას გაახსენდა ფრანგი რევოლუციონერის და იაკობინელების მეთაურის მაქსიმილიან რობესპიერის სიტყვები და დააბრეხვა: რობესპირემა ყველა ეჭვმიტანილი დაიჭირა, სიკვდილით დასაჯა და ბოლოს, როდესაც შეკრიბა პარლამენტი, ასე განაცხადა: „მე დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, მთელი




## xalxisazriT

პარლამენტი სიკვდილით უნდა დავსაჯოო......არაფერი. ამის მერე ეს პარლამენტი თავისით, მშვიდად შეიკრიბა და თვითონ რობესპიერს გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი გილიოტინაზეო.

ეს ყველაფერი ამ ჟრიამულა ფაფარაშლილმა დაუკავშირა დღეს არსებულ მდგომარეობას, რომ, თითქოს, ეს მაღალი ჩინოსნების დაჭერები არის უკანონო და უსამართლო. აი, ეს ნაგავი ასე წამლავს ახალგაზრდებს. ის კი არ იცის, რომ მალე ჩვენი პარლამენტი მას საბედიდწერო განაჩენს გამოუტანს და თუ ამას პარლამენტი არ გააკეთებს, მაშინ უკვე ქართველი ერი იტყვის თავის სიტყვას!!!

რა მაინტრესებს იცით? მარტო კალანდაძისათვის არის დანაშაული ჯარისკაცის გინება თუ ზოგადადად ყველასთვის. წარმოიდგინეთ, ნაციონალებს რომ წაეყენებინათ ოქრუაშვილისათვის ბრალი ჯარისკაცების ცემისა და გინებისათვის, რა ღრიანცელი ატყდებოდა. რა, არ მეთანხმებით?

ლოგიკური იყო, ოქრუაშვილი რომ დაბრუნდებოდა საქართველოში, ის პოლიტიკური დევნილი იყო წინა მთავრობის მიერ, მას დაუსწრებლად ჰქონდა შეფარდებული პატიმრობა, ეხლა მას მიეცა შანსი, გამოისყიდოს ყველა დანაშაული გაიყვანოს გამოძიება იმ ხალხზე, ვინც მართლაც ციხეში უნდა იჯდეს, თქვენ როგორ მოიქცეოდით მის ადგილზე რომ დგახართ და აკრიტიკებთ, თქვენ ის ხალხი არ ხართ, ორი თვის წინ ხმას რომ ვერ იღებდით ტრაკში ცოცხის შიშით? და ახლა მოგინდათ, არა, ყველაფრის ერთბაშად გამოკეთება, ახლა გინდათ მეტი ხელფასი, ახლა მართავთ აქციებს — თურმე როგორ უსამართლოდ იჩაგრებით.

თქვენი აზრით, ამდენს რომ ტლიკინებთ, სიტყვის თავისუფლება არ არის? ახლა თამამად ტლიკინებთ, ოქრუაშვილიც ჩვეულებრივი ადამიანია და რა თქმა უნდა, როგორც მისთვის უკეთესი იქნება, ისე მოიქცევა და არა როგორც თქვენ გინდათ, ცოტა აზრზე მოდით, დაინახეთ ის, რაც უკვე შეიცვალა უახლოეს წარსულში, დიახ, ახალაია უნდა იჯდეს, დიახ, ყველა ნაცმაღალჩინოსანი უნდა ჩასვან, ეჭვი ხო არ გეპარებათ? ხოდა, არის გზა ოქრუაშვილი, მიშას სანაცვლოდ მალე ნახავთ, ამ ამბის ლოგიკურ დასასრულს.

„აბდულ ქერიმ! (ბაჩო ახალაია!) — მიუბრუნდა სასამართლოს თავჯდომარე აბდულას — ხომ გაიგეთ: თქვენ მეურმეების (საქართველოს მოქალაქეების) გაძარცვას გაბრალებენ. სოფელ ჯანდარის (ერთი ეპიზოდი) მახლობლად თქვენ იარაღით დაუხვდით ვორონცოვკელ მალაკნებს, წაართვით ფული, ქალაქში ნაყიდი საქონელი, ერთი კაცი ხანჯლით დასჭერით და ერთიც მოჰკალით. თქვენ სამნი იყავით. ორი ამხანაგი ჯერ არ დაგისახელებიათ... კვალი თქვენი სახლის დერეფანში შევიდა. ახლა გვიამბეთ, როგორ მოხდა ეს ამბავი?

— მე არ ვისი, ვალაჰ, არ ვისი! — წრფელის გულით დაიყვირა ახოვანმა აბდულამ (ტანსრულმა ბაჩომ) და გაქონილი (სისხლიანი) მჯიღი განიერ მკერდზე დაიბრაგუნა...

# marTali abdullah-baCo

## მართლა აპირებენ ძმები ახალაიები გამოძიებასთან თანამშრომლობას?



— კეთილი და პატიოსანი, აბდულ ქერიმ ოღლი! გაძარცულმა (ნაცემმა, ნაწამებმა, დაშანტაჟებულმა) მალაკნებმა (ჯარისკაცებმა, პატიმრებმა, რიგითმა მოქალქეებმა) გიცნეს და ხელი დაგადეს. ამაზე რაღას იტყვით?“ (მიხეილ ჯავახიშვილი „მართალი აბდულლაჰ“)

მოთხრობა „მართალი აბდულლაჰ“ ქართველი „პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის,“ ბაჩო ახალაიასა და მისი „ფანების“ წიკვინმა გამახსენა — გულწრფელად მაინტერესებს, მართლა სჯერათ, რომ ბაჩანას, იმ ყველაფერს, რაც უკვე ითქვა, მის ბრალეულობად და იმასაც, რასაც დაუმატებენ, მართლა არაფერი შეხება აქვს სიმართლესთან?

რა სიტუაციაში და ვისთანაა კონკრეტული ეჭვმიტანილი მამაკაცი თბილი, ტკბილი და ალერსიანი, ამის გამოძიებას და სამართლებრივი კუთხით განხილვა-შეფასებას ჯერ არცერთ სასამართლოში არ ითვალისწინებენ. ნამეტნავას, ადამიანების შეურაცხყოფაში, ცემაში, დასახიჩრებაში, გაუპატიურებაში, მკვლელობის შეკვათასა და ა.შ მოქმედებაში ეჭვმიტანილი პირის მიმართ და რა ქნას ახლა სამართალმა? — კაცი ამგვარი ბრალდებებითაა დამძიმებული, სასიძოდ კი არ განიხილავენ!

აბდულლაჰ ქერიმ ოღლისა და ბაჩო ახალაიას შედარებითი დახასიათება რომ არ გამოგვივიდეს, მხოლოდ ბაჩოს გარშემო მიმდინარე პროცესებს დავჯერდეთ და გზად ის კითხვები დავსვათ, რაც თვალსაჩინოებიდან გამომდინარე, პენიტენციალური სისტემის აღმასრულებელი რგოლის მიმართ დაიბადა.

თავიდან დავიწყოთ და მივყვეთ – 2012 წლის 7 ნოემბერს დაკავებული ბაჩანა ახალაია თბილისის გლდანის მე-8 საპყრობილის ბინადარი, სულ მცირე, ორი თვით მაინც გახდა. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რატომ დაირღვევა ასე დემონსტრატიულად კანონი? რატომ ხდება სალაპარაკო, რომ შერჩევითი სამართლის ნიშნები იკვეთებაო?

მაგალითად, მე რომ ბაჩოს ზეფანთაგანი ვიყო, ვთქვათ, თეა თუთბერიძე და მასავით მჯეროდეს (რა ვიცით, იქნებ, მართლაც სჯერა?) რომ ჩემი „გულის ბროშკა“ უდანაშაულოა, არ აკმარეს სახელი და ღირსება რომ შეულახეს და „ადინოჩკაშიც“ გამოამწყვდიეს — ტანზე სამოსს შემოვიხევდი და თავზე ცეცხლს წავიკიდებდი;

ბაჩო ახალაიას ადვოკატთა ნაკრებიდან, ერთი მათგანი მაინც რომ ვიყო, ადვოკატობის დამადასტურებელ საბუთს მშიერი აქლემივით გავცოხნიდი და მე-8 საპყრობილის პარმაღს მანამდე არ მოვცილდებოდი, სანამ ჩემს კლიენტს „ადინოჩკიდან“ არ გამოვიხსნიდი.

მე რომ ბაჩო ახალაიას ოჯახის ორი წევრიდან (როლანდ და დათა ახალაიები) რომელიმე ვიყო და ჩემი სისხლ-ხორცის უდანაშაულობის მათსავით მჯეროდეს (რა ვიცით, იქნებ სჯერათ?), სოლიდარობის ნიშნად გვერდზე „ადინოჩკაში“ დროულად მივუჯდებოდი და პათეტიკური ტონით განვაცხადებდი: „აჰა, გასამდა!“ რაც იმის გამოხატულება იქნებოდა, რომ ჩემს შვილს ან ძმას ჩაგრავენ, ყოველგვარი კანონის დაცვის გარეშე ორთვიანი „მარტოობა“ მიუსაჯეს ისედაც ცილდანაწამებს.

თურმე მართალი აბდულა-ბაჩო ქერიმ-ახალაია არც სტრასბურგში აპირებს საქართველოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას, ამ ეტაპზე მაინც.

„ამ ეტაპზე“ რას ჰქვია, ნეტავ? (სიტყვა „ეტაპზე“ იმავე ბგერითი შემადგენლობის მაგრამ სხვა შინაარსის მატარებელი „ეტაპი“ გამახსენდა — ძველბიჭური სიმღერა „ხვალ ეტაპით მაგზავნიან მაგადანს...“ რა საინტერესოა, ქურდული მენტალობის შემცველი ეს სიმღერა თუ მოუსმენია ბაჩოს და გლდანის საპყრობილეში გადაყვანის წინ ხომ არ წაუღიღინია: „ხვალ ეტაპით მაგზავნიან გლდანში...“)

კარგი, „ციხეს ზის ეგზომ მაღალსა“ უდანაშაულო ბაჩო-აბდულა უკვე, მაგრამ მის უდანაშაულებისობას და მის უსათნოესობას იმ საჯარიმო ადგილიდან, ანუ „ადინოჩკიდან“ გარეთ გასვლა და „მშობლიური სანახების“ ჰაერის ჩასუნთქვა არ ეკუთვნის თუ ეკუთვნის და თვით არ აქვს სურვილი „პრაგულკაზე“ გასვლისა? — დაკითხვაზე მიმავალს რომ შევავლე თვალი, რაღაც ფერი არ მომეწონა მისი და ამიტომ მაინტერესებს.

ცალკე და მარტო იმიტომ ჰყავთ ახალაია მოთავსებული, დაცული რომ იყოსო, — მთლად ამიბნიეს თავგზა. ვისგან უნდა იყოს დაცული, აკი თავად ბრძანა ბაჩომ, ცილს მწამებენ, არც არავინ მიცემია, არც არავინ მიმისიკვდილებია, გაუპატიურებაზე და მისთანებზე ხომ აღარაა ლაპარაკი, შოკში ჩავვარდი ციხის კადრები რომ ვნახეო? აგერ, მისი ფანებიც ამბობენ, ყველანაირ სიბინძურეს უგონებენ ჩვენს კაცთმოყვარე და გულისხმიერ ძმას და მეგობარსო...

ეს ერთი მოტირება არ მქონდა დამთავრებული, რომ იუსტიციის მინისტრის ნათქვამი „გატეხილი ტაშტის ეფექტით“ გავარდა ხმად, მართალი ბაჩო-აბდულაჰს გლდანის ციხეში აგრესიულად დაუხვდნენ, მის მიმართ ცალსახად იყო გამოხატული აგრესია, რაც მის სიცოცხლის ხელყოფას გულისხმობდაო. ამას უცნაური ამბავიც დაერთო, რაც ასევე „გატეხილი ტაშტის ეფექტით“ გავარდა ხმად, ბაჩოს საკანში ფეკალიებმა ამოხეთქა „ვითარცა ნეტარმა შადრევანმა“ და ციხის სასადილოც კი შეიწირა — კანალიზაციის მილი დაზიანებულა. სიზმარში განავლის ნახვამ ფული იცისო, მაგრამ ცხადში წუნწუხში ტყაპუნი რას უნდა ნიშნავდეს ნეტავ?

ბაჩოს ფანებმა ეჭვი ვერ შეიტანეს კანალიზაციის მილის შურისძიებაში, ვერც ხსენებული ციხის ამშენებელს აუხირდნენ (იცოდნენ, ვისზეც გავიდოდნენ), „რატომ ცუდი აგიგიაო“, თან, ალბათ, ჩემსავით დაინტერესდნენ, აბა, ცხადში თუ მოიტანს რაიმეს, სახეიროსო და არ აწიწინებულან ამ ამბავზე.

ხსენებულ მიზეზთა გამო მისი მე-8 საპყრობილედან გასახლება და სხვა „მისამართზე“ შესახლება გადაწყდა. მართალ ბაჩოს ე.წ „მატროსოვზე“ სდომებია გადაყვანა, მაგრამ ჩაითვალა, რომ იქ კიდევ უფრო გაუჭირდებოდა და ამიტომ ორთაჭალის მე-7 მკაცრი რეჟიმის საპყრობილე შეურჩიეს. (პატიმრების პატრონები ამბობენ, „მატროსოვზე“ რომ გადაიყვანონ, ან გააპარებენ, ან მოკლავენ, იმდენად ღია ციხეაო.)

ეს რა ქნეს, პოლიტიკური მოტივით უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილ საზოგადო მოღვაწეს სურვილი არ შეუსრულესო?! — ატყდა ვაი და უი ბაჩოს ფანებში.

აკომ დაიჩივლა, მინაშვილმა, ეს რა სამართალია, სად გადაიყვანეს, სამეზობლოში ოცი ქურდიაო;

„ეხლა გამოვედი ბაჩოსგან, მასზე ხორციელდება ზეწოლა — როგორც კი დამინახა, ხმამაღლა დაიწყო ყვირილი — ქურდი ვარ!!! ქურდი ვარ!!!“ — გულამომჯარი კაპასობდა ბაჩოს ზეფანი თეა თუთბერიძე.

ბარემ ის თქვან პირდაპირ, რა სურს ბაჩოს და მის დამკვრელებს, ძველებური „სვაბოდა“ თუ უკვე „პროსტო სვაბოდაზეც“ თანახმაა...

ჯერ ერთი, როგორც ტიგრანა იტყოდა, ციხე ქურდებისაა; მეორე, როცა „კუკარაჩას“ საკანში ჩასმა დაუპირეს და აღმოჩნდა, რომ იქ მთაწმინდელი ქურდი „აპო“ იჯდა, მილიციის უფროსმა ბრძანება გასცა, გაუშვით ქურდი „აპო“ და ჩასვით მილიციელი თუშურაშვილიო და მესამე, საიდან შეკრიბეს ოცი ქურდი ერთად, აკი, ქურდული იდეები დავამარცხეთო?

გარდა ამისა, რამდენადაც მახსოვს, „ერთ დროს“, როდესაც ბაჩოსავით თავდაცვისა და შსს მინისტრობაგამოვლილი „ნაცპარტიელი“ ირაკლი ოქრუაშვილი იჯდა იმავე ციხის საკანში, ქურდებს ბაჩოს მთავრობამ საკნის კარი გაუღო ოქრუაშვილზე შურისსაძიებლად, მაგრამ არაფერი დაუშავებიათ ქურდებს მისთვის და მთლად რომ „რამსის“ სათამაშოდ დაუჯდეს ბაჩო ქურდებს ნარზე, რატომ უნდა ეშინოდეს ქურდების საზოგადო მოღვაწეს? — ჰა და ჰა, „რამსი“ ან „ტერცი“ არ ათამაშონ.

კიდევ გარდა ამისა, ჯერ ვინ არის ის ოცი ქურდი და მერე, ასნიც რომ იყვნენ, მაინც ბაჩოს ქურდები, ძველი შინაურები არ არიან?



„როცა ქურდებთან ოც მეტრში ზიხარ, ეს უსაფრთხოების დაცვის გარანტია ვერ იქნება სამომავლოდ,“ — ბორგავს მართალი ბაჩო.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, მგლებში კურდღლისთვის გალია ძალადობრივი სიკვდილისგან დაცვის გარანტიაა, თავისუფლება — უეჭველი სიკვდილი, რაღაც ამდაგვარი ტრიალებს ბაჩო-აბდულას თავს. ნაცემნაგვემი, ნაწამები, გაუპატიურებული პატიმრები და საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი პატიმრების ჭირისუფლები; ასევე მოქალაქეები, ბაჩოს ყოფილი პატიმრები; ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დახოცილთა ჭირისუფლები; იატაკქვეშა ვაჰაბიტური ორგანიზაცია; თვით ბაჩოს თანამზრახველები ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან თუ უფრო დაბალი რანგის წვრილფეხობა და კიდევ რა ვიცი, ვინ, ყველა ერთად, იმ მგელივით საეჭვოდ ნერწყვმომდგარი იქნება, რომელიც გისოსებით დაცულ კურდღელთან მისასვლელ გზას ყნოსავს...

„ადმინისტრაციის მადლიერი ვარ, თავის საქმეს პროფესინალურად აკეთებენ. ყველაფერი წესრიგშია. თუმცა, ციხეში ჩემი იზოლაცია გარანტირებული ვერასოდეს იქნება. დღესვე რომ არავინ მეტაკება, ეგ გასაგებია, საზოგადოების ინტენსიური ყურადღების ქვეშ ვარ,“ — განაცხადა ბაჩომ.

„საზოგადოების ინტენსიური ყურადღებაო“ — ბაჩოდან გამომდინარე შერჩევით სამართალზე ლაპარაკობს უკვე საზოგადოება-მეთქი და ეს კიდევ „საზოგადოებაზე“ საუბრობს. აკო, ბოცო, თეა, კიდევ ორი კინკილა „თანამებრძოლი“, ოჯახის წევრები და ორი მარშრუტკა ზუგდიდელი სამეგობრო უმცირესი საზოგადოებრივი ნაწილაკია იმ ბირთვში, რომელსაც სრულიად საქართველოს საზოგადოება ჰქვია და რომლის ყურადღება სწორედ იქითაა მიმართული, რამდენად სამართლიანად დაისჯება ეს ყმაწვილი და როდის შეწყდება მისი პრივილეგირებული მდგომარეობა, როგორც პატიმრისა.

„პარადოქსულ რამეს გეტყვით, როცა ვბრუნდებოდი, მეგონა, რომ კითხვაზე პასუხის საშუალება მექნებოდა, თუნდაც აი, ასე, ჟურნალისტებთან,“ — განაცხადა მართალმა ბაჩომ.

„ახლა ჩემი ერთადერთი ამოცანაა, ვინმე დარტყმის ქვეშ არ მოვიყოლო“, — დააგდო ბოლო სიტყვა დაკავებისთანავე მართალმა ბაჩო-აბდულამ, ანუ მოკლე ტექსტური შეტყობინება გაუგზავნა ბაჩომ „ვინმეებს“ — მომხედეთ და არ გაგთქვამთო.

„აბდულ ქერიმ, ორი ამხანაგი ჯერ არ დაგისახელებიათ. კვალი თქვენი სახლის დერეფანში შევიდა, ახლა მოგვიყევით, როგორ იყო ეს ამბავი?“ („მართალი აბდულლაჰ“ მ. ჯავახიშვილი)

კაცო, თუ „ვინმე“ („ვინმეები“) არაფერ შუაშია, როგორ უნდა მოიყოლოს მსჯავრდებულმა ახალაიამ დარტყმის ქვეშ და მერე კიდევ, იმ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს კიდევ „ერთადერთი ამოცანის“ თავი აქვს? ეს რას უნდა ნიშნავდეს?

მოშიაშვილისა არ იყოს, ალბათ, სჯერა, რომ თუ ვინმეს დარტყმის ქვეშ არ მოიყოლებს, „ვინმე“ მის წონა ფულს გადაიხდის და დღეს თუ არა, ხვალ, ნაცნობი „ნადზორი“ შეყოფს „კარმუშკაში“ თავს და შესძახებს „ახალაია, სვეშჩამიიი!“, ანდა, მეორე ვარიანტია, „ვინმეს“ ეუბნება, ტყუილად არ გააგორებინოთ ჩემი თავი, ჩემი დეე, თუ ჩაგიშვათო“...

უყურა ძმის ვაგლახს დათამ, უყურა და როგორც მისმა ადვოკატმა განაცხადა ბოლო-ბოლო გადაწყვიტა, რომ ითანამშრომლოს გამოძიებასთან. ამას თან დაერთო ისიც, რომ თურმე, თუ პრეზიდენტი დანაპირებს არ შეუსრულებს ბაჩოს, ბაჩოც ამეტყველდება — რაო, „ნადზორს“ ზედმეტად შეაგვიანდა „კარმუშკის“ გაღებაა?

„მაინტერესებს, რომელი კანონის ფარგლებში ჯდება ეს გადაწყვეტილება და როგორ მოხდა, რომ აწყობილი სისტემა ერთ თვეში ჩამოინგრა?!“ — რომელიღაც გადაწყვეტილება არ მოსწონს როლანდ ახალაიას, თუმცა, ვერც გაკვირვებას მალავს, აწყობილი სისტემა ასე უცბად რამ ჩამოშალაო?

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `naciona l-besprede l SCikebis~ bo l o Semodgoma

ქართულმა საზოგადოებამ პირველ ოქტომბერს მართლაც ჩააბარა „დემოკრატიის გაკვეთილი" – არჩევნები დემოკრატიულად და უსისხლოდ ჩაატარდა. სამწუხაროა, მაგრამ ნაცუმრავლესობად მყოფმა და დღეს ე.წ. "გნაც-უმცირესობად" ქცეულმა მისმა "ნარჩენმა" დემოკრატიულობის ეს პრინციპი ისევ სათავისოდ გაიგო. "ქურდულ სამყაროსთან მებრძოლი ნაციონალები", ცხრა წლის განმავლობაში, თავად ჩაენაცვლნენ კრიმინალურ სამყაროს და არა მარტო (სახელმწიფოსა და ხალხის ქონების) ქურდებად და მძარცველებად, არამედ სწორედ ქურდული სამყაროს "ბესპრედელშჩიკებად" – განუკითხავად მოქმედ კრიმინალებად და მოძალადეებად იქცნენ. იმ განსხვავებით, რომ თუ "კანონიერი ქურდები" სისხლიან საქმეებს "ხელს არ აწერდნენ" და "პალაჟენიის დასაყენებლად" არც ცოცხებს იყენებდნენ – "ნაციონალი ბესპრედელშჩიკები" ცხრა წლის მანძილზე ამასაც არ თაკილობდნენ. დღეს, "უმანკო კრავის" თვალებით მომზირალი "ცხრაწლიანი დემოკრატიის ტყუილებით ნაკვები ლოზუნგებით" გამწარებულ საზოგადოებას ისევ ველარ მოატყუებენ, რა საერთაშორისო ინსტიტუტებიც არ უნდა მოიშველიონ. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებისთვის მიუღებელი პიროვნებები "კოალიცია ქართულ ოცნებაშიც" ბევრი იყო, (რაც ყველაზე კარგად ბიძინა ივანიშვილმა იცის) ქართულმა საზოგადოებამ არჩევანი "გნაცებსა" და "ქართულ ოცნებას" შორის უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა. ეს არჩევანი კი სწორედ ნაციონალების განუკითხაობისა და კრიმინალური ქმედებების ალაგმვას, მათი უტიფარი სახეებისა და თავხედური განცხადებების მოსმენის შეწყვეტასაც გულისხმობდა. ყველას გვესმის, რომ ტელეკომპანიები საინფორმაციო "ნიუსებში" მიმდინარე პროცესებს უნდა აშუქებდნენ, მაგრამ თუ აწ უკვე ე.წ. ნეიტრალურ-ობიექტურ (ყოფილ ოპოზიციურ) და ნაციონალურ არხებს შორის განსხვავება მაყურებელმა ვერ დაინახა, ტელეეთერი ერთი და იგივე ახალიასა და ნაციონალური მოძრაობის დაკავების თემებს მიეძღვნა დილიდან საღამომდე. რაღა განსხვავებაა მათ შორის? "ნაციონალების კარის მასხარა" ისტორიკოსად ქცეული და სწორედ კრიმინალური საქმიანობით გამდიდრებული რურების ბიზნესის წილში ჩასმული "მასხარა" "ბაჩო ახალიასგან ქურდული სამყაროსთვის ომის გამოცხადებაზე" რომ ალაპარაკდება – ცოტა სასაცილოა. ეს ვაი ისტორიკოსი ცოტნე დადიანსაც შეურაცხყოფს ახლაიასთან მისი შეადარებით და ამას ყველა არხი ერთნაირი გულმოდგინეობით უნდა გვასმენინებდეს? საზოგადოება კი სააკაშვილის დანაპირების ასრულებას: "დემეტრე თავდადებულობას", "თუ სამშობლოს დასჭირდა, პუტინთან პირადად ჩასვლასა და ჩაბარებას, დაქადნებული სხეულის ნაწილებით ხეზე ჩამოკიდებასაც ელის. ამ გმირობაზე "მასხარას" კომენტარსაც სიამოვნებით მოვისმენდით. თუმცა სააკაშვილის გმირობას "მასხარა" ვერ მოესწრება. მიშა ნამუსის სიჭარბეს არასდროს განიცდიდა და ამის პერსპექტივა არც მომავალში "ეჯღანება". ამაზეეელევან რამიშვილმა და დემეტრაშვილმა თავიანთი "ნაჩალიჩარი კონსტიტუციით" ე.წ. პრეზიდენტი ქართველ ხალხს სააკაშვილი პიტნასავით ცხვირში შეტენეს ოქტომბრამდე. მართალია ისიც, რომ "გნაცებმა" ქურდული სამყარო ციხეებში გამოამწყვდიეს, მაგრამ ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ქურდების ადგილის დაკავებით და კანონის სათავისოდ მორგებით, "კანონიერად ქურდობაც" და "ბესპრედელშჩიკობაც" თავად, ხელის შემშლელების გარეშე, ეთავათ. სადამდე შეიძლება ვუსმენდეთ მერაბიშვილისა და პავლე კუბლაშვილის "ბრძნულ აზრებს", რომ **"თურმე დარწმუნებულნი არიან, რომ თენგო გუნავას სამართალდამაცვებმა იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერებები ჩაუდეს"!** რაო, "ვანიჩკა გალეტილო", ასე არ უდებდით იარაღსა და ნარკოტიკს და არ აკავებდით ათასობით უდანაშაულო ადამიანს, თუ "აბაშიძისგან გათავისუფლებულ აჭარაში" თაკო სალაყაიას კუთვნილ ბუნგალოში არ მიმდინარეობდა სუბოტექსით ვაჭრობა? იქნებ "დემოკრატიული ნორმების დაცვით" აიყვანეს და წამებით არ მოკლეს სანდრო გირგვლიანი შენმა ამფსონება ოქროყანის სასაფლაოზე?! ირინა ენუქიძე იყოს ცოცხალი და განახებდათ ახალაიების "ცოტნე დადიანობასაც და საზოგადო მოღვაწეობასაც", როდემდე უნდა გიცქიროთ თქვენგან მასხრად აგდებულმა და გამწარებულმა ქართულმა საზოგადოებამ?! როდემდე უნდა გისმინოთ მხოლოდ ბაჩო და დათა ახალაიების მანიაკალური მოთხოვნილების გამო მოკლული პატიმრების მშობლებმა?! გვაკვირვებს ისიც, ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებულ საქმეზე დასახელებული ბარამიძის, ადეიშვილის, მერაბიშვილის, ჟვანიას დაცვის უფროსისა და სააკაშვილთან ერთად რატომ არ ახსენებენ იმ დაქირავებული ბინის უშუალოდ შემრჩევ, დუმილის ნაცვლად შემდგომში "გალუბერნატორებულ" ვასილ მაღლაფერიძეს?. ბარამიძეს უკვირს, **"პრეზიდენტ სააკაშვილისგან გადადგმული შემხვედრი ნაბიჯების ფონზე, მის საყვარელ პრეზიდენტსა და პრეზიდენტის საყრდენ გიგი უგულავას რომ ავიწროებენ"**. (ვანო მერაბიშვილი აღარ არის მიშას ხერხემალი და საყრდენი?) ამასთან, ბარამიძეს არც ჟვანიას მკვლელობის ოფიციალური ვერსიის გაკვირვებია. არც მისი უშუალო მონაწილეობითა და პრეზიდენტის დაკვეთით აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა გაჰკვირვებია და თავისთავად არც სააკაშვილისგან საჯაროდ გაკეთებული აღიარება: "აფრასიძეების დასჯის ოპერაცია პირადად ჩემი დავალებით განხორციელდაო"! არ უკვირს, რადგან იცის, რომ აფრასიძეები (მაღალი ძაბვის გადამცემების აფეთქებით) ენერგოკრიზისის ხელოვნურად ინსპირირებას ახდენდნენ. ეს კი "რეფორმატორებს" რევოლუციის მოწყობასა და მასობრივი პროტესტის ასაგორებლად სჭირდებოდათ. ბარამიძეს არც მიშა მაჭავარიანის ბიძაშვილ-მამიდაშვილების მიერ ვაკის საპარიკმახეროების ქსელის ხელში ჩაგდება და არც "საბაჟო დეპარტამენტის უფროსობისას" მაჭავარიანის მაქინაციების გახმაურება გააკვირვებს. არც კობა ბექაურის უკან მდგომი საბაჟო ტერმინალის რეალური მეპატრონის, მაჭავარიანის მონაწილეობის ბექაურის საქმეში მიჩქმალვა? გაკვირვებულია "კმარელი" გიორგი ონიანიც: "თურმე თენგიზ გუნავას ჩამოაცვეს ნიღაბი, ნემსი დაანახვეს – ამ ნემს გაგიკეთებთო და ასე დააშინესო". რაო, ნემსის გეშინიათ და ჩადენილ სისასტიკეებზე პასუხიმგებლობის არ გეშინიათ, ბიჭებო? რამდენი ასეთი ნემსი დაგინახვებიათ და ჩაგიდიათ სხვებისთვის? როდის შემდეგ გიკვირთ ან ნარკოტიკიების, ან იარაღის ჩადება?! მას შემდეგ, რაც უმრავლესობაში აღარა ხართ, არა? ან მოლაშვილის ძალად "ნემსზე შესმა" რატომ არ გაგკვირვებდათ და ან ათასობით პატიმრებისთვის "ცოცხის გაკეთებით" დაშინების პერსპექტივა რატომ არ იწვევდა ასეთ "დემოკრატიულ პროტესტსა და შეშფოთებას" თქვენში?!„"გნაცების" კარის მასახარა" რომელი ისტორიული გმირის პროტოტიპად გამოგვიცხადებს უგულავას აწი. თუმცა კაცი თავის მოადგილეს თავდებში რომ დაუდგება და შემდეგ იტალიაში " გმირულად მოცოცხავს" ის ხომ ისედაც "გმირია". სანამ თავდებში მდგომი და ფერდაკარგული უგულავა ქვეყნის საზღვრებს დატოვებდა, "ორიოდ ბრძნული სიტყვა" მანაც დაგვიტოვა: "სულ რაღაც თვენახევარში საქართველოში დაიწყო დიქტატურის გაფორმება და ჩვენ შევდივართ ძალიან მძიმე დაპირისპირებაში. (რასაკვირველია, შევდივართ, თუკი თავად "დემოკრატიის შუქურა" საერთაშორისო ტრიბუნიდან აღიარებს, რომ საქართველოში ორხელისუფლებიანობა დამყარდა. რითაც უსვამს ხაზს, რომ ხელისუფლების არანაირ "დემოკრატიულ გადაბარებას" აწ უკვე "გნაც-იონალური უმცირესობა" არც კი ფიქრობს.– ბ.ა.) ეს კი ფილიპ გორდონსაც არ მოეწონება, რომელმაც გაგვაფრთხილა: **"არ გადავიწყდეთ, მთელი მსოფლიო გიყურებთო"**. თუმცა მთელმა მსოფლიომ უკვე ნახა ოფიციალურ ცერემონიალზე, როგორ ჩამოართვა სააკაშვილმა ცხვირზე გასმული ხელი მიტერანს. ნახა ისიც, "ტერორიტრული ორგანიზაციის მეთაურივით", მუხროვანში ჩასულმა "მთავრსარდალმა" ჯარისკაცებს, დანებებისთვის ულტიმატუმი როგორ წაუყენაა. **"ერთი საათის შემდეგ თქვენს დაბომბვას დავიწყებო"**. მსგავსი რამ არათუ სახელმწიფოს მეთაურ მთავარსარდალს, ბინ ლადენსაც არ უთქვამს.



არც ერთ დანაშულზე პასუხისმგებლობას გნაც-მოძრაობა არ იღებს, მაგრამ (უგულავას განცხადებით) "მზად ვართ, ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გათხრის ბრალდებაც ჩვენს თავზე ავიღოთო." საინტერესოა, ხალხისა და სახელმწიფოს ქონებით გაზულუქებულ გნაც-ებს ივანიშვილისგან დამატებით "კელთილდღეობის მოლოდინი" რატომ ჰქონდათ?! თბილისში ამათი გათხრილი გვირაბებისა და ნიადაგის ჩამოქცევის შედეგებს კი, სამწუხაროდ, მალე მოვესწრებით. ყველაზე მთავარი " პრეზიდენტის ახალ საყრდენად ქეცეულისგან" კი ის მუქარა იყო, რომელიც შიშისგან "ფართოდ გახელილი თვალებით მომზირალმა "თავ-გადამ-დებმა" უგულავამ პირდაპირ ბიძინა ივანიშვილს დაუბარა: "ამიტომ **მინდა პირადად გავფრთხილო ის და მთელი მისი დაგეშილი მსტოვრები,** რომლებიც იმასაც კი არ კადრულობენ საზოგადოებას გააცნოს ამა თუ იმ პოლიტიკური თანამდებობის პირს რა ბრალდებებს უყენებენ? . . დავსხდეთ მაგიდასთან და გადავწყვიტოთ პრობლემები, როგორც ცივილიზებულ ქვეყანას შეეფერებაო" (იმუქრებიან და გვაფრთხილებენ კიდეც ბიჭები? – ბ.ა.) თუ მთავრობას არჩეული აქვს რევანშიზმის გზა, ეს არის ის ბუმერანგი, რომელიც რაც არ უნდა ცხრა მთას იქით ისროლო და სადაც არ უნდა გაიქცე, დაგეწევა და ცხვირში მოგხვდებაო". ასე დაგვიბარა გიგი "ნაგულავებმა", თავდებშიც დაუდგა ხიზანიშვლს, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, (საბიუჯეტო ფულით ნაყიდი) იტალიის პრემიერმინისტრის ავტომანქანის მოდელით დაბრძანდება. უუგულავაზეც, ალბათ მასხარა იტყვის: "გიორგი სააკაძესავით" უცხოეთში წავიდა, რათა საქართველოს გასათავისუფლებლად დაბრუნდესო. აი, მსტოვრობას რაც შეეხება – აქ კი მაგრად ჩაიჭერი ჩემო "თავ-მდებო გიგი". სწორედ უცხო ქვეყნებიდან ჩანერგილი "გავლენის აგენტებიცა და მსტოვრებიც" რომ ბრძანდებით, სოროსის კარისკაცობით და "ახალი ქართველის შექმნის" სურვილით, ცხრა წლიანი მმართველობის გარყვნილ-ბინძური აზროვნებითა და იდეოლოგიით ოკუპირებული რომ გქონდათ საქართველო – ამიტომაც გაქვთ ფერიც წამხდარი.

**ბაია ამაშუკელი**

## ტყვიის სროლის ფედერაციაში გია უდესიანი კახა ბექაურმა შეცვალა



დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ტყვიის სროლის ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა გაიმართა, სადაც ფედერაციის პრეზიდენტად 4 წლის ვადით ტელეკომპანია მე-9 არხის გენერალური დირექტორი კახა ბექაური აირჩიეს.

ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების მქონე 33 დელეგატი მონაწილეობდა, კახა ბექაური კი ერთადერთი კანდიდატი იყო.

ყრილობაზე ასევე დაამტკიცეს ვიცე-პრეზიდენტები: ოლიმპიური ჩემპიონი და პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი ტყვიის სროლაში - ნინო სალუქვაძე და სასტენდო სროლაში მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების სამგზის მონაწილე თამაზ იმნაიშვილი.

როგორც ცნობილია, ტყვიის სროლის ფედერაციას 2010 წლიდან გია უდესიანი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ეს თანამდებობა დატოვა.

**„მედიანიუსი"**

# ratom emtereba besarion guguSvili biZina ivaniSvils?!

***გვესაუბრება 90-იან წლებში სამხედრო გადატრიალებისას უზენაესი საბჭოს შენობის ყოფილი სამხედრო კომენდანტი, ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტში ბრალდებული, ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი გოჩა ბახია. იგი ფინეთში ცხოვრობს. თბილისში სტუმრად ყოფნისას თავად დაგვიკავშირდა. გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ გოჩა ბახიასთან.***

**— ბატონო გოჩა, თქვენ სოხუმელი ბრძანდებით. არ გიცდიათ აფხაზებთან დაახლოების საქმეში ქართულ მხარეს დახმარებოდით?**

— ბევრი რამის გაკეთება შემეძლო აფხაზეთთან დაახლოების საკითხში, მაგრამ ვერ ვენდობოდი ნაციონალებს. ესენი ყველასთან გადამგდებების სახელით იყვნენ ცნობილნი. თავის დროზე მე მივეხმარე მათ ჯარის საკითხში. მაგრამ დღესაც მიმაჩნია, ამათ კი არა, ჩემს ქვეყანას დავეხმარე.

**— შეიარაღების საკითხს ხომ არ გულისხმობთ?**

— არა, დავეხმარე რაღაც სეგმენტში, რომელიც სჭირდებოდა თავდაცვას. ეს მოხდა 2008 წლის შემდეგ. მერე ბესო გუგუშვილი ჩემზე ამბობდა, ნაციონალებს დაეხმარაო. მე ნაციონალებს კი არა, საქართველოს ვეხმარებოდი. აღარ მინდა არაფერზე ლაპარაკი. დღეს ბესარიონ გუგუშვილი და მისი გარემოცვა ავადმყოფი ხალხით არის სავსე და მე მათ, უბრალოდ, ვეღარ ვუშველი.

**— ვისზე საუბრობთ?**

— მაგალითად, ავიღოთ, იოსებ ღუდუშაური. ეს კაცი იყო ძველი კომსომოლა და იტყუება, როცა აცხადებს, რომ ეძებდნენ. გაზეთიდან ამოჭრილ გვერდებს აფრიალებს. სინამდვილეში ჯანელიძე უბეჭდავდა 200 დოლარად კლიშეს და ამას დააფრიალებდნენ მერე უცხოეთში, თითქოს დასდევდნენ დასაჭერად. ის არასდროს ყოფილა ძებნილი.

ზვიად ძიძიგური რომ ზვიად ძიძიგურია, იმან იბრძოლა და დაიცვა უზენაესი საბჭო და ამ ლონდრემ — ღუდუშაურმა ორი კაციც ვერ შეკრიბა. დღე და ღამე — 24 საათი ჭორაობდა ზვიადის მდივნებთან. ეს იყო მაგის საქმე.

არეულობა რომ დაიწყო და გროზნოში რომ ვიყავით, სოსო ჩამოვიდა და მითხრა: შეიარაღებული ხალხი მყავს, ფული მჭირდებაო. ამ მიზეზით დარჩა გროზნოში. გროზნოში იყო რენო სირაძეც. რენოს დედაც ღუდუშაურია. იმ ხანებში რენოს და მოიტაცეს ინგუშებმა და ასე გათხოვდა მამილოვზე. ამიტომ მივიდა სოსო ღუდუშაური მამილოვთან სახლში, როგორც მამილოვის ცოლის დედის მოგვარე. იქ ჩეჩენი გოგონა ტრიალებდა, მამილოვის ნათესავი, მოეწონა და მოიტაცა ეს გოგო. ბელა მამილოვა ახლა იოსებ ღუდუშაურის ცოლია. რენო დღესაც არ უშვებს სახლში სოსო ღუდუშაურს ამის გამო. იმ პერიოდში საშინელი ამბავი ატყდა, ჩეჩნები მოგვივარდნენ — ჩვენ შევიფარეთ ადამიანი და ამან ქალი მოგვტაცაო. ამის შემდეგ გაიქცა ღუდუშაური თურქეთში. მერე პეტერბურგში, 1998 წელს ჩამოვიდა ფინეთში. ასე იხეტიალა და 10 წლის შემდეგ მოითხოვა თავშესაფარი. ბესომ გაუკეთა საბუთი: ვითომ მართლა იყო პრეფექტი და ძლივს მიიღო სტატუსი. ამ ადამიანს შვილები ჰყავს მუსლიმანები. სოსოსთან ვნახე სახლში პირველად მუსულმანების ლოცვა.



**— ბესო გუგუშვილის ბრალი აქ რა არის, თუ ღუდუშაურმა ჩეჩენი შეირთო ცოლად?**

— ჯერ მაგის წარსულზე მოგახსენებთ: ბესო გუგუშვილი ყოველთვის იყო ნული და არავინ არაფრად არ თვლიდა. იჯდა „შაქრის ოთახში“, ბუნკერს რომ ვეძახდით და იდო ტომარასავით.

მერე გახსოვთ ყველას, პრეზიდენტი იჯევანში რომ გადავიყვანეთ. ბესო მთავრობის სასახლეში დარჩა. იმ ხანებში გადაწყვეტილი გვქონდა ქუთაისში შევკრებილიყავით, რათა ქართველ ხალხს თბილისში მშვიდად გადაეწყვიტა, რა როგორ აჯობებდა მისთვის. ამასობაში ბესო ისე გაქრა, ვერავინ გაიგო, საერთოდ, სად იმყოფებოდა. ყველასგან მოულოდნელად დაიკარგა ადამიანი. ოთხი თვე ბესოს ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. გადიოდა დრო. ჩვენ უკვე გროზნოში ვიყავით. მახსოვს, საფრანგეთიდან ჩამოვიდა საწყალი შალვა თაყაიშვილი. ბესო არ ჩანდა, ზვიადი ამბობდა — დაიკარგა, გვიღალატაო. მაშინ ყველამ ასე ვიცოდით, მაგრამ ფეისბუკით გამოვარკვიე ახლახან — სად იმყოფებოდა მაშინ ბესარიონ გუგუშვილი.

**— მერე როდის გამოჩნდა და სად გამოჩნდა ბატონი ბესარიონი?**

— ბესარიონ გუგუშვილის არსებობის შესახებ 1992 წლის 24 მაისს შევიტყვეთ. თუ როგორ, ახლავე მოგახსენებთ. იმ ხანებში ზვიად გამსახურდიამ მინსკში გამიშვა კრავჩუკთან მოსალაპარაკებლად. უკან რომ გამოვბრუნდი, ჩამოფრინდი მინვოდში. მოვდივარ სადგურში, ვჯდები გროზნოს მატარებელში და სადგურზე ვხედავ თავგადაპარსულ, ულვაშებგაპარსულ კაცს, რომელიც თან ჰგავს, თან არ ჰგავს ბესო გუგუშვილს. მივვარდი. სად ხართ-მეთქი და აქ ვარ, მინვოდში, ოჯახთან ერთად ჩამოვედიო. საიდან ჩამოვიდა, არ ამბობს. მე უზომოდ გახარებული ვარ, 4 თვის დაკარგული კაცი რომ ვიპოვე. წამოდი გროზნოში ზვიადთან-მეთქი, ვეპატიჟები. არაო, — უკან დაიხია. მოკლედ, მე წავედი გროზნოში. ზვიადი ჯერ არ მყავდა ნანახი, სასტუმროში ვიყავი, როცა დამიკავშირდა რუსეთის საელჩოდან ამერიკელი სტუმარი — ანდერსონი — როგორმე დღესვე უნდა შევხვდე ზვიად გამსახურდიას და ეს შეხვედრა უნდა მოაწყოთო. ბეიკერის ჩამოსვლა იგეგმებოდა და მზადება მიდიოდა. ამერიკელი დიპლომატი ამბობს, შეიძლება, მე დაგეხმაროთ და დავაყენო თქვენი დაბრუნების საკითხიო. ზვიადი არგუმენტებს უხვედრებს. ანდერსონმა უთხრა: ბოლო-ბოლო რას მელაპარაკებით, როცა თქვენი მთავრობის მეთაური ლეფორტოვოში ზის უკვე სამი თვეაო.

**— სად არისო?**

— დაჭერილი ჰყავთ რუსებს ლეფორტოვოშიო.

რა ლეფორტოვო, — ვთქვი მე, გუშინ ვნახე მინვოდში-მეთქი. ზვიადი მიყურებს, ოღონდ არ უნდა, რომ გაიკვირვოს. უცხოელი მეუბნება: თქვენ სტყუით, ჩვენი ინფორმაციით, თქვენი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი ლეფორტოვოს ციხეში უნდა იყოსო.

მაგრამ აქ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ რუსეთის კგბ-მ მე ტექნიკურად გამომიყენა და მინვოდში შემახვედრა ბესარიონ გუგუშვილს ამერიკელი დიპლომატის ნალაპარაკევისთვის ხაზი რომ გადამესვა.

ზვიადმაც ასე თქვა — ანდერსონი პროვოკატორია, ხედავთ, როგორი ტყუილი გამოგვიცხაოო?!

ზვიადი გაცეცხლებული იყო: ჩამოეთრიოს ბესარიონი და სიმბოლურად მაინც ეგდოს გროზნოშიო. სიტყვასიტყვით გეუბნებით, რაც მითხრა მაშინ ზვიად გამსახურდიამ.

**— თქვენ ამის გამო გაქვთ უთანხმოება ბესარიონ გუგუშვილთან?**

— როგორც კი რობიზონ მარგველანის ორჯერ პატიმრობის საქმეები წამოვწიე, ამის შემდეგ გადამეკიდა სამკვიდრო-სასიცოცხლოდ, რადგან იმ ჯაჭვს თუ მივყვებით, ყველა, ოთხივე ზვიადის გარემოცვიდან, აღმოჩნდება კგბ-სთან შეკრული.





ჩემთან ურთიერთობისას ბესარიონ გუგუშვილს ხშირად წამოსცდენია რაიმე ამბის მოყოლისას — შინაურული მიმართვით ჟენიამ ასე თქვა, ჟენიამ ისე. ვინ ჟენია-მეთქი და, პრიმაკოვიო ვალში ვარ ჟენიასთანო.

**— იგი კვლავ რჩება პრემიერ-მინისტრად?**

— არსებობს სპეციალური დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც იგი საპასუხისმგებლო თანამდებობას ჩამოცილებულია.

ბესარიონ გუგუშვილი მუშაობდა ჩეჩნეთის სტატისტიკის სამმართველოს უფროსად. როგორ შეიძლება ადამიანი იყო ერთი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და მეორე ქვეყნის სტატისტიკის სამმართველოს ხელმძღვანელობდეს? ვინმე იდრის მუთალიბოვთან მუშაობდა ვილნიუსში, ფირმაში. შეთავსებით პრემიერ-მინისტრიც იყო. ეს ხდებოდა 1993-96 წლებში. ეს ისეთივეა, სომეხი რომ მეფედ დასვეს და შეიძლება შაბათ-კვირას „საპოჟნიკი“ ვიყოო, რომ თქვა. ასეთი მთავრობა რომ გვყავდა, იმიტომ ვდგავართ დღეს გატეხილ ქოთანთან.

**— სოციალურ ქსელში ბესარიონ გუგუშვილის მხარდამჭერები და თვით ბატონი ბესარიონი ძალიან აქტიურობენ. ეროვნულ იდეებს კვლავ აზმოვანებენ.**

— მაგათ მიტინგი ჩაატარეს და იქ რომ მივედი, გულში ვტიროდი. მილიონიანი მოძრაობა, ეროვნული ძალა, ამათ მოკლეს და გააცამტვერეს.

მე ყოველთვის ვამბობდი და ვიტყვი, მაგათ არ ვაპატიებ და ვირტუალური საშუალებით მაგ ზვიადის მოღალატეს თავს მოვაკვლევინებ-მეთქი. მაშინ მთხოვა მათე ციხესაშვილმა — დაანებე თავი, შეეშვი მაგ კაცს, მისმა მეუღლემ თქვა — კომპიუტერს არ მივაკარებთო. მე შევუთვალე — გაჩუმდეს, კომპიუტერს შეეშვას, თორემ მე დავუდებ წინ ყველა დანაშაულს, რაც ეროვნული მოძრაობის და ზვიადის წინააღმდეგ აქვს ჩადენილი-მეთქი.

**— ბესარიონი ბიძინა ივანიშვილსაც ემტერება. სოციალურ ქსელში საძაგელი ეპითეტებით მოიხსენიებს. ივანიშვილმა რაღა დაუშავა. ხომ შეიძლება თუ მაინცა და მაინც, დიალოგი, თანამშრომლობა, წინადადებები.**

— სად შეუძლია მაგას დიალოგი, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილს ეგ პირადად ემტერება. ბესარიონ გუგუშვილი ჩართული იყო კომპიუტერების ბიზნესში. როგორც კი უზენაეს საბჭოში კომპიუტერიზაცია დაიწყო, ჩაუვარდა ბესოს ბიზნესი და იმდენი ქნა, გააქცია ივანიშვილი საქართველოდან.**

ამიტომაც არ ჩამოდის ახლა საქართველოში. ჰგონია, ივანიშვილი გაუხსენებს ძველ ცოდვებს, თორემ ზვიადის მთავრობიდან ყველას მოეხსნა ბრალდება და ყველას თავისუფლად შეუძლია აქ ჩამოსვლა. ბესარიონ გუგუშვილმა 1996 წელს მიიღო თავშესაფარი ფინეთში და 1998 წელს საერთოდ შეწყდა მასზე საქმის წარმოება. ეს არაა შეწყალება, საქმის შეწყვეტაა და ეს სხვადასხვა რამეს ნიშნავს. ასე რომ იტყუება ეს კაცი, როცა ამბობს, არ მიშვებენ საქართველოშიო. ჩამოვიდეს, არავინ არ უშლის, მაგრამ დევნილის და წამებულის როლი მოსწონს. ტერაქტის გამო ძებნილი კაცი თავისუფლად ჩამოვდივარ თბილისში, არასდროს არავის დავუკითხივარ და ამათ ვინ რას ერჩის, კარგით, რა.

ბიძინა ივანიშვილი საერთოდ სხვა მოვლენაა. მასში ვხედავ ლიდერს, რომელმაც საშინელება დაამარცხა. მისი იმედი უნდა ჰქონდეს საქართველოს.

**ირანდა კალანდაძე**

# amboben, cremli sakuTari umweobis niSaniao! marTalia, viTom?



„მუჰაჯირი“ არაბული სიტყვაა და ქართულად „ემიგრანტს, გადახვეწილს“ ნიშნავს. სამშობლოდან დევნილი ქართველები საკუთარ თვისტომს საქართველოში და მის გარეთაც „ჩვენებურებს“ ეძახიან, მათი შთამომავლები კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი ფაცაში, ბურსა-ინეგოლში, ადაფაზარ-იზმითში, გონენსა და კაიზერის მიდამოებში. ყველა მათგანს შენარჩუნებული აქვს ქართული თვითმყოფადობა და მათ ჩვენც, კარგა ხანია „ჩვენებურებად“ მოვიხსენიებთ.

ქართული გენის მატარებელი ჩვენებურები დედამიწის ყველა კუთხეში ცხოვრობენ. იმდენი ხანია სამშობლოდან შორს ცხოვრობენ, ზოგიერთებს კარგა ხნის დავიწყებული აქვთ ქართული ენა, მაგრამ წარმომავლობის ცოდნა მათი წინაპრების ძვირფასი სახსოვარია. ფესტივალი „ჩვენებურები“ მის გახსენებას, ქართული სულის უკვდავების გაღვივებას უწყობს ხელს. ამიტომაც ერთ-ერთ ულამაზეს ეროვნულ ტრადიციად იქცა და სათვისტომოების მიერ წელიწადში ერთხელ მაინც ეწყობა ან საქართველოში, ან მის გარეთ. საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველებს ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები აქვთ ჩამოყალიბებული, და სტუმრებისთვის საგანგებოდ როდი ემზადებიან, მუდმივად აქვთ რეპეტიციები და საგანგებოდ უკვე მომზადებულ რეპერტუარს აჩვენებენ, საკუთარი ნიჭიერებით ადასტურებენ ჩვენი ერის გენეტიკურ ნიჭიერებას, ენთუზიაზმს, სიცოცხლისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, მისით ტკბობის საოცარ უნარს.

ბურსაზე, თურქეთის ამ ულამაზეს ნაწილზე, როგორც ბევრ სხვაზე, ინფორმაცია ბლომად მოიპოვება, მაგრამ შთაბეჭდილების შესახებ, რომელსაც მის დაქვემდებარებაში მყოფ ქალაქ ინეგოლში (თუ ნამყოფი არ ხართ), მიიღებთ, მხოლოდ ჩვენგან შეიტყობთ, რადგან იქ, ძირითადად, ქართველები ცხოვრობენ, ოღონდ ოდნავ უფრო კარგები, ვიდრე ზოგადად, ჩვენ ვართ. მათ ხომ ძველთაძველი ნამდვილი ქართული სული აქვთ შენარჩუნებული, რასაც იმით ხსნიან, რომ საქართველოს გარეთ მცხოვრებთ გადასხვაფერების უფლება არ ქონდათ. ყველა მათგანს ახსოვს, რომ მათი წინაპრები მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ და არაქართველ სტუმარსაც ტრადიციულად, ჩვენებურად მასპინძლობდნენ, უცხოს, ახლობელივით მიიღებდნენ და გააცილებდნენ, შეკითხვასაც არ აკადრებდნენ, ვინ ხარო, ამიტომაც მოხიბლეს ირგვლივ ყველა.

**ცოტა დრო დასჭირდა ჩვენს დაახლოებასაც, დამეგობრებას, რომელიც აუცილებლად გაგრძელდება.**

სათვისტომოს ოფისისკენ მივიჩქარით, იქვეა, რაღაც ორ ნაბიჯზე, და ეს ზუსტად ისე მესიზმრება უკვე თბილისში, როგორც ინეგოლში მოხდა: ჩვენს წინ მსუბუქი ავტომობილი აჩერებს, როგორც შემდეგ ირკვევა, ორივე ერთნაირად გავივლებთ გულში: გაცნობილი თვისტომიდან რომელიმე წაყვანას შემოგვთავაზებს. ძალიან მოკლე გზა გვაქვს გასავლელი, ალბათ, უარს ვეტყვით, რასაც როგორმე ავუხსნით, რადგან ჩვენი თურქული და მათი ქართული მეტყველება, სამწუხაროდ, ძალზე ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, მაგრამ არა... „გამარჯობათ!“ ერთდროულად გვეუბნება ორივე, „ქართველები ხართ? გაუმარჯოს საქართველოს!“ მზისგან გარუჯულ ნაჯაფარ ხელებს გამოგვიწვდიან, კაცურად ჩამოგვართმევენ და ისევე ნაუცბათევად გამოგვემშვიდობებიან, როგორც მანქანიდან გადმოვიდნენ და მოგვესალმნენ, მაგრამ უკვე ვხედავთ, რომ ოთხივეს ცრემლებით გვევსება თვალები.

მსგავსი რამ აქ კიდევ არაერთხელ მოხდება...

მატერიალურად, ფაქტობრივად, აქ არავის უჭირს, შრომობენ და ანაზღაურებაც შესაბამისი აქვთ. ქართულად საუბრობენ, ჩვენებურები კი არიან, მაგრამ, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო ბეჯითად ირჯებიან. მიკვირს, საიდან აქვთ ასეთი მწარე ნოსტალგია, მათ უმეტესობას ხომ არც უნახავს საქართველო, მხოლოდ წინაპრებისგან გაუგონიათ მის შესახებ. ალბათ, აუხსნელი ამ მოვლენის წყალობით მესიზმრება უკვე განცდილი ზუსტად ისე, როგორც ცხადში მოხდა ინეგოლში.

ცრემლი საკუთარი უმწეობის ნიშანიაო, ამტკიცებს ფსიქოლოგია, ვითომ, მართალია?

საქართველოდან (და არა მხოლოდ) მუსულმანი ქართველების მასიურად განდევნის შემდეგ მათი თურქეთში ჩასახლების საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებს განსხვავებული აზრი აქვთ: დროთა განმავლობაში იმპერიული რუსეთის მიზეზით საქართველოდან იძულებით გადახვეწილ დევნილებს შორის გამოიკვეთნენ სამაგალითო პიროვნებები - ადამიანი-ლიდერები, რომელთა ბიოგრაფიები ქართული და თურქული ტრადიციების შერწყმითა და ეპოქათა მოვლენებით შეივსო და მეტად საინტერსო გახდა, მეცნიერთა მტკიცებით, იშვნენ განსაკუთრებული ბიოგრაფიებისა და ისტორიების მქონე ადამიანები. ისინი პიროვნული ღირსებების გამო ირგვლივ ყველას პატივისცემას იმსახურებდნენ. მათ ღირსებაზე მიუთითებდა ისიც, რომ განსაკუთრებულად უფრთხილდებოდნენ დედა ენას, ტრადიციებს დიდი მოწიწებით გადასცემდნენ შთამომავლობას, მათი მიბაძვით იგივეს აკეთებდნენ დანარჩენებიც და შეინარჩუნეს ის ღირებულებები, რაც წლების განმავლობაში ქართველობის შენარჩუნების ტოლფასი გახდა.

ინეგოლი:

მკვლევარ ზაქარია ჭიჭინაძის ნარკვევ „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში – მუჰაჯირი“, - ვიგებთ, რომ, 1877-79 წლების „მუჰაჯირობისას“ აჭარის - მაჭახელის ხეობის სოფლებიდან: ჩუკუნეთის, ჩხუტუნეთის, კირკიტეთის, ხინკილეთის, კირნათის მცხოვრებთა 250-კაციანი ჯგუფი გასდგომია გზას თურქეთისაკენ. ზოგი გემით, ზოგი ფეხით წასულა. სტამბულში ჩასულთათვის თურქეთის მთავრობას საცხოვრებლად საქართველოსავით მთაგორიანი ადგილი შეუთავაზებია ბურსასთან ახლოს, ამჟამინდელ ინეგოლში – (მაშინდელ ანგალაკომაში). ადგილზე ჩასულთ უნახავთ, რომ აქაურობა დაჭაობებული ყოფილა და კოღოებით - „ბუცუნცულით“ სავსე, რაც დაავადებებს აჩენდა, თურმე. ამიტომ ქალაქში ცხოვრებაზე უარი უთქვამთ და მის ახლო სოფლებისთვის მიუნიჭებიათ უპირატესობა. მას უკან აქაური 16 სოფელი სუფთა ქართულია, ორი კი შერეული, აფხაზები და ლაზებიც ცხოვრობენ. ყველა ქართული სოფელი ტყეშია ჩაფლული, უვლიან, ხშირავენ. თუ საჭიროა, ანაშენიანებენ, ჭრიან და ყიდიან ინეგოლში, სადაც ძირითადი საქმიანობა ავეჯის წარმოებაა და ამ ბიზნესსაც, ძირითადად, ქართველები წარმართავენ.

ამჟამად ინეგოლში 134 030 ადამიანი ცხოვრობს. ხოლო 80-იანი წლების ბოლოდან დღემდე ქართული წარმოშობის მერი ჰყავს: ჯემალ არიქა – ცეცხლაძე, ჰიქმეთ შაჰინი - შემდგომ ბურსის მერი, ამჟამად ინეგოლის მერი - ალინურ აქთაში - ალეკო ქოქოლაძე, რომელმაც დიდი პატივით მიგვიღო ქართული დელეგაცია, სამახსოვრო სურათებიც გადაიღო ჩვენთან ერთად და საჩუქრებიც გადმოგვცა. მოგვიანებით, თავად ესტუმრა „ჩვენებურების“ ფესტივალს საკუთარ პირმშოსთან ერთად.

„ქართველებს ზოგიერთ სოფელში ჭადრს ხეების ფუღუროებში მცხოვრები ჩერქეზები დახვედრიათ და კონფლიქტი მოსვლიათ“ (მკვლევარი ნინო ოქროსოცვარიძე). ქართველების იქ დასახლების საკითხი მაშინდელი ინეგოლის მმართველს გადაუწყვეტია, მშრომელები არიანო და იქ დაუტოვებია, ხოლო ჩერქეზები იქვე ახლომახლო სოფელ ჰაჯიყარაში გადაუსახლებია. როგორც ჩანს, მოელოდნენ, რომ ქართველები სამაგალითონი უნდა გამხდარიყვნენ იქ მცხოვრები მომთაბარე ტომებისთვის. ასეც მომხდარა. ქართველებს საქართველო არ შეურცხვენიათ და იქ, ბურსაში, ფაქტობრივად, „მეორე გურჯისტანი – მაჭახელა“ დაუარსებიათ.

აქ ყველა ქართველი „დიდი ქართველიაო“, გვითხრეს და მოგვიანებით მივხვდი, თუ რატომ: ერთმანეთს პატივს სცემენ და ღირსეულად ეპყრობიან, არასდროს არავის ძრახავენ და განიკითხავენ. რაც შეუძლიათ, ეხმარებიან, გვერდით უდგანან ლხინსა თუ გასაჭირში. კიდევ ბევრი რამით გვაოცებენ...

## ჩვენი ნაცნობები ინეგოლში:

მამია დუმბაძე, ავთო თავდგირიძე, ანზორ მამულაძე, კონსტანტინე ჩიბურდანიძე... კიდევ ბევრი სხვა შინაგანი ბუნებით სხვადასხვა ისტორიების მქონე ქართველები არიან, ერთი საერთო თვისებით: დედის და მამის მხრიდან ქართული წარმოშობა აქვთ, უმეტესობას, არა



ყველას, რასაკვირველია, მეუღლეებიც ყოფილი მუჰაჯირთაგანია.

## აზიზა „ბაშკიანი“

მაგალითისთვის ანზორ მამულაძე კმარა, ჩვენი ინეგოლში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში გვერდიდან არ მოგვცილებია. ხედავდა, საოცრად დაყენებული ადგილობრივი ჩაის „ფანი“ ამ კეთილშობილ სითხეს ჭიქიანად შთანთქმას რომ ვუპირებდით და კეთილად ილიმებოდა, მასპინძლობას არ ზარდებოდა.

აზიზა „ბაშკიანიაო“ („თავიანი“, ჩვენთან რომ, იტყვიან - ჭკვიანი,) გვითხრეს. თავადაც შევნიშნეთ. ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი დამაარსებელი წარმოშობით შუახევიდან ყოფილა. 16 წლისა დაუოჯახებიათ, მეუღლეც ქართველი ჰყოლია. სამი ათეული წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა ქართული სულის შესანარჩუნებლად, ყოველი ქართველი თავს მოვალედ თვლის, აქ იაროს და კავშირი არ გაწყვიტოს „ფესვებთან“. მათ შორის მისი 4 შვილი, რომლებიც დასაქმებული და პრაქტიკულად, მოუცლელები არიან. წუხს აზიზ-ეფენდი, რომ მართალია, შვილებმა მეტნაკლებად იციან ქართული ენა, მაგრამ შვილიშვილებმა უკვე აღარ.

ფესტივალი ღია „ამფითეატრში“ ტარდება, ის ჩვენი მეგზურია. უფრო მოწიწებით ვეპყრობით, უკვე ვიცით, რომ ერთი შეხედვით ახალგაზრდული იერის ამ ჭარმაგ ადამიანს საფიქრალი ბევრი აქვს, 10 წლის წინ გარდაცვლილი მეუღლის სურათი „გულისჯიბიდან“ არ ამოუღია. ვიცით, რომ ქართული სულს თურქულად აღზრდა უმშვენებს. 10 წლისა უკვე ხეებს ვამზადებდი, შეშას ვჩეხავდი, მეპურეებზე ვყიდდი და ოჯახს ვეხმარებოდიო, - ამბობს. ახლა ამ ასაკის ბავშვს პურის საყიდლად წასვლას ვერ ვანდობთო იხსენებს, დედ-მამის მორჩილი, გამგონე ბავშვები ვიყავით, მაგრამ მაინც ვახერხებდით დედის გაბრაზებას, რომელმაც თურქული ენა არ იცოდა, გამწყრალი ყასიდად გაგვიწყრებოდა, გვეტყოდა. წადით, თქვე გურჯის შვილებოო. გვეგონა, გვლანძღავდა, მოზრდილობაში მივხვდით, ქართველობაზე მიგვითითებდა და გვახსენებდა წარმომავლობას, რომელიც მაშინ ასე ღრმად არ გვქონდა გაცნობიერებული. საუბარში იმასაც იხსენებს, რომ ძალიან გულუბრიყვილონი იყვნენ. მოზრდილობაშიც კარგა ხანს ეგონა, ბავშვები წეროს მოყავსო. ტრადიციის მიხედვით, ძალიან ახალგაზრდებს მანამ აქორწინებდნენ, სანამ არჩევანის საშუალება მიეცემოდათ, მათ პატიოსნებაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

იცინის, როგორ შეიცვალა ყველაფერი ძალიან მოკლე დროშიო. ვეთანხმებით, ეს მხოლოდ მისი პრობლემა ხომ არ არის. რასაც გლობალიზაცია ჰქვია – ვერც ერთი ჩვენთაგანი თავს ვერ დააღწევს.

## ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი კოტე

იგი ქართველების განუყრელი მეგობარია, ახალგაზრდა და ჩქარი, ზუსტად იცის, როგორ და რა სახით დაგიდგეს გვერდით. მასავით მოუსვენარი პატარა ბიჭები და მშვენიერი მეუღლე ახლავს. გიხარია, რომ ასეთ ადამიანებს იცნობ აქ, საქართველოდან შორს მყოფ საქართველოში.

## სათვისტომოს თავკაცი ავთო თავდგირიძე

პასუხისმგებლობა სხვაზე მეტი აქვს, დინჯი, აუჩქარებელი. ყურადღების განაწილებას მაინც ასწრებს და საქმეებისკენ გარბის, მთავრობის არაერთი წარმომადგენელი უნდა ეწვიოს და ყველას სათანადოდ დახვდეს, მიიღოს, ადგილი მიუჩინოს. არ არის უბრალო საქმე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ღონისძიებისთვის კარგა ხანია ემზადებიან. უამრავ საქმეთაგან ფოლკლორული ანსამბლის სათანადოდ მომზადება უმთარესია. ყველა წევრი განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდება ქართული ხალხური ცეკვების ხელოვნების შესწავლას, რაშიც ძალიან ეხმარებათ ბესო მასწავლებელი, მართლაც თავდადებული შრომით თუ მიიღწევა ის შედეგი, რაც აქ არის, „ჩვენებურების“ შთამომავლები ტოლს არ უდებენ საქართველოდან ჩასულ თანატოლებს. „ცეცხლს ანთებენ“ სცენაზე. ამბობენ, რომ ინეგოლში

22 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

21 gv.

სხვაც ბევრი სათვისტომოა, მაგრამ „ჩვენებურები“ გამორჩეული არიან.

### ღირსეული მამის ასული – ჩვენი ნევინი

**ნევინ აქისქალიოღლუ** - ოსმან აქისქალიოღლუ-გოჩიტაძის, იგივე „ბათუმელი ოსმანის“ ასული, ჩვენდა საბედნიეროდ, თავად გაგვეცნო. „მუჰაჯირობის“ მეორე ტალღა მეორე მსოფლიო ომის აგორებულა, რუსებზე განაწყენებულ ქართველ მუსულმანებს მათი, ანუ საბაჭოთა კავშირის ინტერესების დასაცავად შვილების ომში გაგზავნაზე უარი უთქვამთ და წვევამდელი ვაჟებისთვის ომის თავიდან არიდების მიზნით თურქეთისკენ აუღიათ გეზი. მათ შორის ყოფილა წვევამდელი „ბათუმელი“ ოსმანი. მამის შესახებ შვილებისა და სხვა ქართველების მონაყოლის მიხედვით ახალგაზრდა თურქოლოგმა ნინო ოქროსცვარიძემ ნარკვევი შექმნა: „ბათუმელი“ აქისქალიოღლუ გოჩიტაძე“, რომლის დაბეჭდვასაც რედაქტორი „ჩვენებურების“ სულიერი სიმაღლეების დემონსტრირების მიზნით, მომდევნო ნომრებში გეგმავს. ჩასვლის დღიდან ნევინს არ მივუტოვებივართ, შუქრია გაგვაცნო, ისე დავახლოვდით, მომავალში ურთიერთობის გაგრძელებაც გადავწყვიტეთ. მაშინ არ ვიცოდით, თავის დროზე, გოჩიტაძეების ოჯახი მთელი საქართველოდან წამოსული ქართველობის თარჯიმანი და მასპინძელი ყოფილა. ამ მიზეზით, მუდამ ხალხმრავლობის გამო, პოლიცია დაინტერესებულა. დაუკითხავთ გულღია მასპინძელი, მაგრამ ქვეყნისთვის საშიში რომ ვერაფერი უნახავთ, უკითხავთ, ფულს თუ იღებთ თარჯიმნობისთვისო. გაუცინია, ვართმევ კი არა, პურსაც ვაჭმევ და საჩუქრებითაც ვისტუმრებო. რაც, ჩემი აზრით, ცნობილი ფაქტი რომ არ ყოფილიყო, არ დაუჯერებდნენ. ჩვენ არა მარტო ნევინის, არამედ ყველა ქართველის გულის სიკეთე ვირწმუნეთ ინეგოლში ყოფნის რამდენიმე დღეში.

**გამოცილებისას გრძნობებს ველარ ვმალავთ. ნინო, ერთი შეხედვით, რიტორიკულ შეკითხვას სვამს:** ერთმანეთის გატანის უნარი ასე კარგად როგორ შეინარჩუნეთო. სამშობლოს გარეთ ყოფნის სიძნელის ატანაში ერთმანეთის გატანა ვისწავლეთო, — დაუყოვნებლივ გვპასუხობენ. როგორც ჩანს, მასაც არა ერთხელ უფიქრია და ნამდვილად ასეა, რასაც ჩვენზე ვერ იტყვის კაცი, რადგან საქართველოდან რამდენიმე დღით ჩასულებმა სამიოდე დღით ერთად ყოფნისას ვერ შევძელით იმდენი გულის სითბოს გაზიარება ერთმანეთისთვის - სწორედ ამ სამ დღეში ადგილობრივებმა რომ გვაგრძნობინეს, იმედია, აქ, სამშობლოში შევძლებთ დანარჩენს, დრო ხომ ასე „შეუზღუდავია“ საქართველოს ქართველებისთვის.

მახსენდება იაპონელი მწერლის კობო აბეს ფანტასტიკური ჟანრის რომანი „მეოთხე გამყინვარების ხანა“, რომლის მიხედვით მეცნიერი იწინასწარმეტყველებს, თითქოს, იაპონია წყლით დაიფარება, რასაც ირწმუნებენ და ამ მოვლენამდე კარგა ხნით ადრე, საიდუმლოდ გამოჰყავთ ლაყუჩებიანი არა მარტო ადამიანები, არამედ ყველა სულდგმული. წინასწარმეტყველება ახდება და იაპონია წყლით დაიფარება. თევზების მსგავსი ადამიანის ცხოვრობენ ჩვეულებრივად. მაგრამ მათში ხშირად ვლინდება უცნაური, მედიკოსთა დასკვნით, მემკვიდრეობით გადმოცემული, სეკრეციის რომელიღაცა ჯირკვლის გააქტიურებით გამოწვეული სნეულება, რასაც მთავრობამ „ხმელეთის დაავადება“ უწოდა და გამოვლენისთანავე ქირურგიული ჩარევა დააწესეს. თუმცა კარგად იციან, რომ ხმელეთის დანახვისას აქტიურდება საცრემლე ჯირკვალი და ტირიან მიწაზე ცხოვრების სამუდამოდ დაკარგვის ნოსტალგიის გამო. მადლობა ღმერთს, ეს ფანტასტიკაა...

რეალობა გაცილებით ძლიერი უნდა იყოს დედამიწაზე.

## amboben, cremlis sakuTari umweobis niSaniao! marTalia, viTom?




### ჟურნალისტებმა დამოუკიდებლად გავიგეთ

გავიგეთ, რომ აქ გურჯების ცოტათი ეშინიათ, რადგან გავლენა აქვთ, არჩევებისასაც ანგარიშს უწევენ, როგორც კანონმორჩილთ, გონიერთ და გამრჯეთ. ვისაც ენდობი, რასაკვირველია, ეყრდნობი და ანგარიშსაც უწევ, რაც თურქეთის ხელსუფლებას კარგა ხანია გაცნობიერებული აქვს, ამიტომაც სული ჰარმონიაა მათსა და ჩვენებურებს შორის.

მახსოვს, მამა იტყოდა: „კაცური კაცი იმ ჯამში არ ჩააფურთხებს, საიდანაც ჭამსო“, რაც გაცილებით მეტის მთქმელი მგონია, ვიდრე, „სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო“.

**ნინო გელოვანი**
**ქეთევან ჩემია**
**თბილისი-ინეგოლი-თბილისი**

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— 19 წლის ბიჭი დანის ტარებისთვის გაასამართლეს. რამდენად კანონიერია ეს?**

— ეს კანონიერია. აღნიშნული ქმედება დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 238-პრიმა მუხლით.

* * *

**— არის თუ არა ჯარიმა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახე?**

— ჯარიმა გახლავთ სისხლის სამართალში როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის სახე.

* * *

**— რა სასჯელი შეიძლება დაენიშნოს არასრულწლოვანს?**

— საქართველოს სს კოდექსისი 82-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვანი დამნაშავისათვის დასანიშნი სასჯელის სახეებია:

1. ჯარიმა;
2. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
3. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
4. გამასწორებელი სამუშაო;
5. თავისუფლების შეზღუდვა;
6. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

* * *

**— რამდენ ხანს ითვლება პირი ნასამართლევად?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე.

* * *

**— ამნისტიის აქტით შეიძლება თუ არა ნასამართლობის მოხსნა?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 77-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასჯელმოხდილს შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა.

* * *

**— გთხოვთ, განგვიმარტოთ, დანაშაულთა სიმძიმე რის მიხედვით განისაზღვრება.**

— სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მიხედვით, ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა:

1. ნაკლებად მძიმე დანაშაული;
2. მძიმე დანაშაული;
3. განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატებას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით. მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე, გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.

* * *

**— რას ნიშნავს სისხლის სამართლის კანონის უკუძალა?**

— სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სისხლის სამართლის კანონი ამსუბუქებს სასჯელს ქმედებისათვის, რომლის გამოც დამნაშავე მას იხდის, ეს სასჯელი უნდა შემცირდეს ამ სისხლის კანონის სანქციის ფარგლებში.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონი რამდენჯერმე შეიცვალა, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი.



ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ კანონის საფუძველზე, რომელიც მოქმედებს სასამართლოში საქმის გადაწყვეტის დროს.

* * *

**— რა შემთხვევაში აქვს ადგილი აუცილებელ მოგერიებას?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც,თუ ეს მოხდა ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, აუცილებელი მოგერიების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

* * *

**— რა შემთხვევაში ინიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულების თვრამეტი წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი.

აქვე გეტყვით, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის.

* * *

**— რა შემთხვევაში შეიძლება დანიშნოს სასამართლომ კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელი?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა უფრო მსუბუქი სახის სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

* * *

**— რა არის დანაშაულის რეციდივი და როგორ ინიშნება სასჯელი რეციდივის დროს?**

— სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა თვრამეტ წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე, ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია კანონით დადგენილი წესით.

სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დანაშაულის რეციდივის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანასაულისათის ამ კოდექსისი შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

# უძლეველი ზეციური მხედარი

**გიორგობა** — ქრისტიანული წმინდანის, გიორგი კაპადოკიელის სახელობის დღეობა. საეკლესიო კალენდრის მიხედვით, აღინიშნება 23 აპრილს (ახ. სტილით 6 მაისი) და 10 ნოემბერს (ახ. სტილით 23 ნოემბერი). საქართველოში არსებობდა წმ. გიორგის სახელობის 363 ტაძარი და სამლოცველო (ლეგენდის მიხედვით, წმ. გიორგის სიკვდილის შემდეგ ღმერთმა მისი სხეული დაანაწილა და ქვეყანაზე მიმოაბნია. ყველგან, სადაც ეს ნაწილი მოხვდა, სალოცავები დააწესა).

საქართველოში წმინდა გიორგის კულტი 7 საუკუნის დასაწყისიდან გავრცელდა, რადგან ამ პერიოდიდან გაჩნდა მისი უძველესი გამოსახულებები ქართულ ძეგლებზე (მარტვილის ტაძრის ფრიზი) წმინად გიორგის იკონოგრაფიული ტიპის მრავალფეროვნების, სიძველისა და ხალხურ გადმოცემათა სიმრავლის საფუძველზე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქართულ სამყაროს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ამ წმინდანის კულტის ჩამოყალიბებასა და გავრცელება-ში

11-13 ს .რწმენა წმინდა გიორგის შესახებ ფართოდ გავრცელდა ხალხში და შეიმოსა მრავალფეროვანი წარმოდგენებით .უკვე 15 საუკუნიდან უცხოელი მწერლები აღნიშნავდნენ ამ წმინდანის განსაკუთრებულ პოპულარობაას ქართველთა შორის, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, საქართველოში არ არსებობს ბორცვი და მაღალი გორა, რომელზეც არ იდგეს წმ.გიორგის ეკლესია. ხევსურეთში- ხახმატის ჯვარი გუდანის ჯვარი, წმ. გიორგის სალოცავად ითვლება .აღმოსავლეთში განთქმული ხატი კახეთისა-თეთრი გიორგი “ ფშავში-“ლაშარის-ჯვარი”, მთიულეთში-ლომისის კვარი და სხვა. ხალხური გიორგობა საქართველოს კუთხეებში სხვადასხვა სახელწოდებით იმართებოდა: ქართლში — გერისთობა, უსანეთობა, ატოცობა; კახეთში — ალავერდობა, თეთრი გიორგობა; სამეგრელოში — ილორობა და სხვა.კახეთში - 14 აგვისტოს იმართებოდა აწყურის თეთრი გიორგის დღეობა: ხალხი სამგზის ან შვიდგზის შემოუვლიდა გალავანს, გუნდი დიდებას გალობდა. ეკლესიის ეზოში ცეკვავდნენ თეთრად მორთული „ხატის მონები“. ზოგი ხატის უღლებითა და მძიმე ჯაჭვით დატვირთული ჩოქვით შემოუვლიდა ტაძარს და კედლებზე ანთებულ სანთელს აკრავდა. კარის ზღურბლზე წვებოდა „ხატის მონა“, რომელსაც ყველა შემსვლელი ფეხს ადგამდა. წირვის შემდეგ იკვლებოდა შეწირული საქონელი, ფრინველი, იმართებოდა პურობა, რომელიც ხშირად რამდენიმე დღე გრძელდებოდა.

სამეგრელოში, სუჯუნის ტაძარში, 23 აპრილის ღამეს ათევინებდნენ საპატიო კაცს, რომელიც მეორე დილით წმინდანის „ნებას“ აცნობდა ტაძართან შეკრებილ მორწმუნეებს.

წმინდა გიორგის, ანუ გიორგი კაბადუკიელის პოპულარობა უსაზღვროა: იგი პოპულარულია არა მარტო მართმადიდებლურ ქრისტიანულ ეკლესიაში არამედ კათოლიკურში, პროტესტანტულში, სომხურ-გრიგორიანულში, მონოფიზიტურში. უფრო მეტიც, წმინდა გიორგის სიკვდილი და აღგომა, როგორც მისი კულტის შემსწავლელი მეცნიერები ამბობენ მაჰმადიანთა წმინდა წიგნში ‘‘ყურანის“ კომენტარებშიც’’ იხსენიება. არის სხვა თქმულებებიც გიორგის შესახებ მუსულმანურ წყაროებში, რომლებიც იქ, ალბათ სირიულიდან შევიდა.

წმინდა გიორგის სიყვარული მისმა ნათესავმა წმინდა ნინომ გვასწავლა.საეკლესიო გადმოცემით, ლათინები ქართველებს ‘‘სარტყლის ქრისტიანებს’’ უწოდებდნენ. წმინდა გიორგიმ თავისი სარტყლით შეკრა ვეშაპი და მისცა მეფის ასულს, რომელიც ამ ვეშაპისთვის სამსხვერპლოდ გაეწირათ.

წმიდა გიორგიზე პირველი თქმულებები 7 საუკუნის ბოლოს შეიქმნა და შემორჩენილია “ვენის პალიმფსესტში”(5ს) წმინდა გიორგის ცხოვრების უძველესი ვარიანტები მოგვითხრობენ, როგორ აწამა მითიურმა მეფემ დადიანემ ქრისტესთვის თავდადებული ჭაბუკი მხედარი, მაგრამ ეს ვარიანტები მეტისმეტად ფანტასტიკური და დამაჯერებლობას მოკლებულია, ამის გამო მოგვიანებით გაჩნდა მისი ცხოვრების ახალი ვერსიები სადაც წამება დაუკავშირდა რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს. მისი მმართველობა ქრისტიანული მოძღვრების და მისი კულტის ალმავლობის ხანას ემთხვეოდა, მაგრამ იმპერატორმა ალღო ვერ აუღო ახალი უფრო პროგრესული იმპერიის მთლიანობისათვის მოხერხებული რელიგიის პერსპექტიულ სიმძლავრეს: .იგი “შურს იძიებდა” ყველა იმ მარცხისთვის, რაც მან ქრისტიანობის მიზეზით განიცადა თავის რეფორმატორულ მოღვაწეობაში.

წმიდა, დიდებული, დიდმოწამე, ძლევაშემოსილი და საკვირველთმოქმედი გიორგი მე-3 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში. მამამისი მოწამეობრივად აღესრულა. დაქვრივებული დედა კაბადოკიიდან თავის სამშობლოში წავიდა და იქ განაგრძო შვილის ქრისტიანულად აღზრდა. ჭაბუკი გიორგი რომის ლაშქარში გამწესდა მხედრად. ახოვანმა, მამაცმა და უშიშარმა მეომარმა მალე იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) ყურადღება მიიპყრო. მან თავის პირად მცველად დანიშნა წმიდა გიორგი და მხედართმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა. კერპთაყვანისმცემელმა იმპერატორმა თავისი გამგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას. სენატის საბჭოზე ნიკომიდიაში მან სრული თავისუფლება მიანიჭა პროვინციის მმართველთ ქრისტეს მიმდევართა დასასჯელად და თავის მხრივ, მხარდაჭერაც აღუთქვა.




წმიდა გიორგიმ ეს რომ შეიტყო, გაათავისუფლა თავისი მონები, ქონება გლახაკთ დაურიგა, სენატში გამოცხადდა, საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა და ყველა იქ მყოფსაც მოუწოდა, მიეღოთ ეს ჭეშმარიტი სარწმუნოება: „მე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსასოებელი მისი. საკუთარი ნებით წარვმდგარვარ თქვენს წინაშე, რათა ვეწამო ჭეშმარიტებისათვის“. — „რა არის ჭეშმარიტება?“ — ჰკითხა ერთ-ერთმა წარჩინებულმა. „თავად ქრისტეა ჭეშმარიტება, დევნილი თქვენ მიერ“, — იყო პასუხი. თავისი საყვარელი მხედართმთავრის ამ კადნიერი სიტყვით თავზარდაცემულმა დიოკლეტიანემ სცადა დაერწმუნებინა იგი, განდგომოდა ქრისტეს და მსხვერპლი შეეწირა კერპებისათვის. წმიდა აღმსარებელმა მტკიცედ მიუგო: „ვერავითარი ამსოფლიური დიდება ვერ შეანელებს ჩემს სურვილს ვემსახურო ჭეშმარიტ ღმერთს“. განრისხებული მბრძანებლის განკარგულებით მეომრები შეეცადნენ შუბის კვრით გაეყვანათ იგი დარბაზიდან, მაგრამ წმიდანის სხეულზე შეხებისას რკინა რბილდებოდა და იდრიკებოდა. საპყრობილეში მას ფეხებზე ხუნდები, მკერდზე კი დიდი ლოდი დაადეს და დილამდე ასე ამყოფეს.

მეორე დღეს ნაწამები წმიდა გიორგი ისევ იმპერატორს წარუდგინეს: „უმალ შენ მოუძლურდები ჩემი ტანჯვით, ვიდრე მე, შენს მიერ გვემული“, — ასე პასუხობდა იგი დიოკლეტიანეს ყოველ შეკითხვას. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ იგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაედოთ. სხეულდასერილმა წმიდანმა ჯერ ხმამაღლა ჰხადა უფალს,: შემდეგ კი დადუმება არჩია. დიოკლეტიანემ იფიქრა, უკვე აღესრულაო, უბრძანა, ჩამოეხსნათ სხეული ბორბლიდან. თვითონ კი აპოლონის ბომონს მიაშურა სამადლობელი მსხვერპლის შესაწირად.

მოულოდნელად ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ მაღლიდან მოისმა ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ!“ ბორბალთან უჩვეული ნათლითმოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მოწამეს, უთხრა: „გიხაროდენ!“ და გაუჩინარდა, წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან და თაყვანი სცა ჭეშმარიტ ღმერთს.

ამის მხილველმა განცვიფრებულმა მეომრებმა წმიდა გიორგი მაშინვე საკერპოში წაიყვანეს, იმპერატორთან. დიოკლეტიანემ თვალებს არ დაუჯერა, როცა საღ-სალამათი მოწამე იხილა, ვერც მისანმა ათანასემ დამალა გაოცება. მომხდარი სასწაულით გამხნევებულმა საიმპერატორო კარის ორმა წარჩინებულმა მოხელემ — ანატოლიმ და პროტოლეონმა, რომლებიც მანამდე მალავდნენ ქრისტიანობას, საჯაროდ აღიარეს სარწმუნოება და იმწამსვე დიოკლეტიანესაგან თავის მოკვეთაც მიესაჯათ. თვით დიოკლეტიანეს მეუღლე ალექსანდრაც ხმამაღლა განადიდებდა ქრისტეს და მზად იყო გაეზიარებინა მის თვალწინ წამებულ დიდებულთა ხვედრი, მცველებს სასწრაფოდ, ძალით რომ არ წაეყვანათ სასახლეში.ამის შემდეგ იმპერატორი კიდევ უფრო სასტიკი გახდა. მისი განკარგულებით წმიდა გიორგი ღრმა ორმოში ჩააგდეს და თავზე გამოუწვავი გახურებული კირი დააყარეს, ხოლო როცა სამი დღის შემდეგ კირი ამოყარეს და წმიდანი სრულიად უვნებელი იხილეს, იმპერატორისავე ბრძანებით მას წვერწამახული ლურსმნებგაჩრილი რკინის გავარვარებული ჩექმები ჩააცვეს და ცემით წაიყვანეს საპრყობილემდე.

მეორე დღეს, როცა დიოკლეტიანემ კვლავ ისურვა წმიდა გიორგის ნახვა, წამებულმა დაუზიანებელი ფეხი უჩვენა და ღიმილით უთხრა, ჩექმა ძალიან მომეწონაო. ამის გამო ისე სცემეს ხარის გამხმარი ძარღვებით, რომ წმიდანის სისხლი და ხორცი მიწას შეერია, მაგრამ მისი სიმტკიცე მაინც ვერ გასტეხეს. იმპერატორმა დასახმარებლად წარმართ მოგვს ათანასეს უხმო. ათანასემ შეზავებული სითხით სავსე ორი თასი მისცა მოწამეს, პირველს მორჩილი უნდა გაეხადა იგი, მეორეს კი უნდა მოეკლა. მოწამემ მშვიდად შესვა ორივე და კვლავ ადიდა ღმერთი. მისნის რჩევით, დიოკლეტიანემ წმიდა გიორგის უბრძანა, ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მიცვალებული აღედგინა მკვდრეთით. წმიდანი საფლავთან მიიყვანეს. მან უფალს შეჰღაღადა: „უფალო იესო! წინაშე შენსა წარმომდგართ უჩვენე, რომ ერთი ღმერთი ხარ მთელი ქვეყნისა, რათა გიცნან შენ, ყოვლადძლიერი მეუფე ჩვენი“. მიწა იძრა, საფლავი გაიხსნა და მიცვალებული მკვდრეთით აღდგა. ამ სასწაულის მოწმეებმა ერთხმად ადიდეს ღმერთი, თვით იმ წამსვე აღიარა ქრისტიანული სარწმუნოება, წმიდა გიორგის დაუჩოქა და სთხოვა, ცოდვები მიეტევებინა მისთვის. გამძვინვარებულმა დიოკლეტიანემ სიკვდილით დასაჯა ათანასეც და მკვდრეთით აღმდგარი კაციც, წმიდა გიორგი კი კვლავ საპრყობილეში ჩააგდო, რათა მეორე დღესვე სიკვდილით დაესაჯა იგი, თუკი საბოლოოდ არ უარყოფდა ქრისტეს. იმ ღამეს წმიდა გიორგის თავად მაცხოვარი ეჩვენა. უფალმა გვირგვინით შეუმკო თავი მოწამეს და უთხრა: „ნუ გეშინინ, მხნე იყავ, განძლიერდი. მალე მიხილავ და მიიღებ შენთვის განკუთვნილ ადგილს“. დილით დიოკლეტიანემ კიდევ ერთხელ შესთავაზა წმიდა მოწამეს, თაყვანი ეცა კერპებისთვის. წმიდა გიორგი დათანხმდა მბრძანებელს აპოლონის ბომონში გაყოლაზე, ხოლო როცა გახარებულმა იმპერატორმა პატივით შეიყვანა იგი სამსხვერპლოში, წმიდანი მიუახლოვდა კერპს, ჯვარი გადასახა და ყველა კერპი თავისით დაიმსხვრა. ხალხი აბობოქრდა. ქურუმები წმიდანის მოკვდინებას მოითხოვდნენ. ხმაურზე წმიდა დედოფალი ალექსანდრა მოვიდა. როცა ნახა, რომ წმიდა გიორგი სასიკვდილოდ მიჰყავდათ, თვითონაც აღიარა ქრისტიანობა და დიოკლეტიანესაგან სიკვდილმისჯილი, სიხარულით გაჰყვა გვერდით საყვარელ წმიდანს.დასჯის წინ წმიდა გიორგიმ მთელი გულით შესთხოვა უფალს, შეენდო მტარვალთათვის, რომელთაც არა უწყოდნენ, რას იქმოდნენ და სთხოვა, ჭეშმარიტი რწმენის შეცნობამდე მიეყვანა ისინი, შემდეგ კი მორჩილებით მოუდრიკა ქედი ჯალათის მახვილს. იგი აღესრულა 303 წლის 23 აპრილს. ანდერძისამებრ, წმიდა გიორგის სხეული დაკრძალეს პალესტინის ქალაქ რამლაში, კონსტანტინე დიდის მეფობის დროს კი გადაასვენეს წმიდანის სახელზე აშენებულ დიდ ტაძარში, ქალაქ ლიდაში.

წმიდა გიორგი ეწამა 30 წლის ასაკში და ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი.

მოამზადა
თამუნა კუჭელავამ

# სიბერის ნიშნები

***25 წლისთვის ადამიანში სრულდება ორგანოებისა და სისტემების ფორმირება. ამ პერიოდში იწყებს გამოვლენას ბიოლოგიური სიბერის პირველი ნიშნები, რომლებიც 40-50 წლის ასაკში უფრო თვალშისაცემია.***



**კანი**

სიბერე ყველაზე თვალნათლივ სწორედ სხეულის გარეგან საფარველზე ისახება: ქვეითდება კანის ელასტიკურობა, ჩნდება ნაოჭები, პიგმენტური ლაქები, პაპილომები და მეჭეჭები.

საოფლე ჯირკვლები ნაკლებ სეკრეტს გამოჰყოფს, რის გამოც კანი შრება და იქერცლება.

თმის ბოლქვებში ქვეითდება სისხლმომარაგება და იცვლება თმის პიგმენტაცია — თმას ჭაღარა ერევა;

**გულ-სისხლძარღვთა სისტემა**

სიბერე ამ სისტემაში 40 წლის ასაკში ხდება თვალნათელი. სისხლძარღვთა კედლებზე ილექება ლიპიდები (ქოლესტერინი), ქვეითდება სისხლძარღვთა ელასტიკურობა, რაც იწვევს მიოკარდიუმის ინფარქტს (სისხლძარღვოვანი კვების მოშლის შედეგად გულის კუნთის ნეკროზი — კვდომა) და ინსულტს (თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა). 75 წლის ასაკში თავის ტვინის სისხლძარღვებში, 25 წლის ასაკთან შედარებით, სისხლის მიმოქცევა 25 პროცენტით ქვეითდება).

**სასუნთქი სისტემა**

ამ სისტემის ფუნქციათა მოშლის მთავარი მიზეზი ფილტვებში ალვეოლებს შორის ტიხრების დაშლაა, რაც ფილტვის სასუნთქი ზედაპირის ფართობს ამცირებს. ასაკთან ერთად ქვეითდება ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, რომელიც 75 წლისთვის მთელი ფილტვის 56 პროცენტს შეადგენს, ანუ თითქმის ნახევრდება.

**საჭმლის მომნელებელი სისტემა**

სიბერის ყველაზე შესამჩნევი ნიშანი კბილების დაკარგვაა. ასაკთან ერთად ცვლილებები მთელ საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ვითარდება, უპირატესად, ჩვეული მიკროფლორის შეცვლითა და ნაწლავის მოტორიკული ფუნქციის დაქვეითებით;

**საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა**

ასაკოვანი ადამიანებისთვის გასაკუთრებით მძიმედ ასატანია ძვალ-კუნთოვან სისტემაში მიმდინარე ცვლილებანი. ქვეითდება განივზოლიანი მუსკულატურის შეკუმშვათა ძალა, ადვილად ილლება კუნთები, თვალშისაცემია კუნთების განლევა და ძვლოვანი ქსოვილის გაფაშრება. ხანდაზმული ადამიანებში ხშირია მოტეხილობა მინიმალური ტრავმებისას, მათი კუნთოვანი სისუსტე კი იმდენად ძლიერია, რომ ზოგს გარკვეულ ასაკში ჩაიდნის აწევაც კი უჭირს.

**ნერვული სისტემა**

ამ სისტემის დაბერება ნეირონთა მზარდი სიკვდილით არის განპირობებული. ასაკთან ერთად იღუპება ნეირონთა 75 პროცენტი, ქვეითდება ნერვული სისტემის მედიატორთა და ნეიროჰორმონების სინთეზი, ქვეითდება ნერვული იმპულსებით მომარაგება როგორც თავის ტვინის, ისე მთელი ორგანოების. ძნელად გამომუშავდება პირობითი რეფლექსები.

ინტელექტუალური უნარი ადამიანში 30 წლისთვის ფორმირდება და 55-70 წლამდე ნარჩუნდება, თუმცა 55-60 წლის ასაკში თავის ტვინი მეორე შემოქმედებით პიკს განიცდის;

**ენდოკრინული სისტემა**

დაბერების პროცესში დიდია ენდოკრინული სისტემის როლი. ეს განსაკუთრებით ფარისებრ ჯირკვალზე ითქმის. სიბერის პარალელურად, სისხლში ქვეითდება ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების: ტრიიოდთირონინისა და თიროქსინის დონე, რასაც თან სდევს დაბერებისთვის დამახასიათებელი პირველი სიმპტომებიც: სისუსტე, მოძრაობათა შენელება, ინფექციური დაავადებების მაღალი მიმღებლობა, ემოციური არამდგრადობა, კანის სიფერმკრთალე, გამოშრობა და აქერცვლა, თმის ცვენა, სახსრებში მოძრაობის შეზღუდვა;

**რეპროდუქციული სისტემა**

სიბერის პროცესში არსებითი ცვლილებები მიმდინარეობს რეპროდუქციულ სისტემაში: ქვეითდება და ირღვევა სასქესო უჯრედების: კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის გამომუშავება. იკლებს სასქესო ჰორმონების სინთეზი, სისხლში — ტესტოსტერონისა და ესტროგენის დონე, რაც ქალებში მენო, ხოლო მამაკაცებში ანდროპაუზით მთავრდება;

**იმუნური სისტემა**

სიბერე თავის კვალს აჩნევს ორგანიზმის თავდაცვით ძალებსაც: მთავარი იმუნური ორგანო თიმუსი, რომელსაც თ-ლიმფოციტების გამომუშავება ავალია (თ-ლიმფოციტი ქმნის იმუნურ ანტისხეულებს, რომლებიც ორგანიზმს სხვადასხვა დაავადების გამომწვევებისგან იცავს) ზომაში მცირდება და 50 წლისთვის საერთოდ ქრება. ამის კვალდაკვალ იზრდება ორგანიზმის დაინფიცირების, ონკოლოგიური და აუტოიმუნური პათოლოგიებით დაავადების ალბათობაც.

**სიბერის გამომწვევი გარეგანი მიზეზები**

სიბერის გამომწვევ გარეგან მიზეზებს წარმოადგენს ცხოვრების წესის თანმხლები ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც აჩქარებს ადამიანის ორგანიზმის დაბერებას:

1. თამბაქოს წევა — დღეში 11-20 ღერი სიგარეტი;
2. ალკოჰოლური სასმელები — დღეში 100-200 მლ-ზე მეტი;
3. არარეგულარული კვება — 1-2-ჯერ დღეში;
4. მშრალი საკვები — 4-7-ჯერ კვირაში;
5. რაციონში ხილისა და ბოსტნეული დეფიციტი — დღეში 100 გრ-ზე ნაკლები;
6. გაცხიმოვნება — I, II, III და IV ხარისხის;
7. ჭარბი შაქრის მიღება — დღეში 25 გრამზე მეტი;
8. შემწვარი, შებოლილი საკვები პროდუქტებისა და ყავის ხშირი სმა — 2-3-ჯერზე მეტად დღეში;
9. მედიკამენტების მუდმივი მიღება — 2-წელზე მეტი დროის განმავლობაში;
10. ტოქსიკურ, კანცეროგენულ ნივთიერებებთან კონტაქტი — 1 წელზე მეტი დროის განმავლობაში;
11. ძლიერ ცივ ან ცხელ გარემოში მუშაობა — 2 წელზე მეტი დროის განმავლობაში;
12. მძიმე ფიზიკური შრომა — 3 წელზე მეტი დროის განმავლობაში;
13. არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა, მჯდომარე სამსახური;
14. სტრესული სიტუაციები — 2-5 წლის განმავლობაში;
15. წელიწადში 1-2-ჯერ ინფექციური და ქრონიკული პათოლოგიებით ავადმყოფობა.

# ნუშურა ჯირკვლები და ადენოიდები

ადამიანის ცხვირ-ხახაში მოთავსებული ეგრეთ წოდებული ხახის ლიმფოიდური რგოლი მოიცავს ნუშურა ჯირკვლებს (ე.წ. გლანდები), ენისქვეშა ნუშურებს და ცხვირ-ხახის ადენოიდებს (ე.წ. პოლიპები).

ეს რგოლი ბარიერულ ფუნქციას ასრულებს — ერთი მხრივ, წინ ეღობება ორგანიზმში დაავადებათა გამომწვევების შეღწევას, მათ გამრავლებას, მეორე მხრივ კი, თავადვე გამოიმუშავებს ლიმფოციტებსა და იმუნოგლობულინებს, რომლებიც მონაწილეობს ზოგადიმუნურ რეაქციებში და ორგანიზმს ვირუსების, ბაქტერიებისა თუ სხვა სახის მიკრობების მიერ წარმოქმნილ ტოქსინებისგან იცავს.

ამრიგად, ლიმფოიდური რგოლის არსებობას ორგანიზმისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მიზეზთა გამო, ხახის ლიმფოიდურ რგოლში ზოგჯერ ანთებითი პროცესი იჩენს თავს და მანამდე აქტიური ლიმფოციტები თავადვე იქცევიან ალერგენებად. ასეთ დროს ადამიანს უტარდება ტონზილექტომია და ადენოტომია; ტონზილექტომიისას მას ნუშურა ჯირკვლებს, ადენოტომიისას კი ცხვირ-ხახის ადენოიდებს აჭრიან.

ლიმფოიდურ რგოლზე ოპერაციული ჩარევა იწვევს რგოლის მთლიანობის და მის მიერ განხორციელებულ ფუნქციათა დარღვევას, ამიტომ ოპერაცია მხოლოდ ზუსტი და მკაცრი სამედიცინო ჩვენების საფუძველზე უნდა ჩატარდეს.

**როდის ამოვიჭრათ ნუშურა ჯირკვლები**

ტონზილექტომიის აუცილებლობას რამდენიმე კრიტერიუმი განსაზღვრავს,

ოპერაცია აუცილებელია:

— თუ ადამიანს ანგინა წელიწადში რამდენჯერმე ემართება მაღალი სიცხით, ყელის ტკივილითა და ნუშურების დაჩირქებით;

— ქრონკული ტონზილიტის დეკომპენსირებული ფორმის შემთხვევაში, როცა ნუშურების დაზიანების, მათ ფუნქციათა დაქვეითებისა და ინფიცირების გამო თავს იჩენს ძლიერი ინტოქსიკაციის ნიშნები: გულ-სისხლძარღვთა, თირკმელებისა და ძვალ-სახსროვანი სისტემის პათოლოგიები, ორგანიზმის ალერგიული გარდაქმნები, ნერვული სისტემის დაავადებები;

— როცა კონსერვატიული მკურნალობა — ფიზიოთერაპიოული, ულტრაბგერითი, ლაზეროთერაპიული პროცედურები, ანტისეპტიკური ხსნარებით ნუშურების გამორეცხვა უშედეგო აღმოჩნდება;

— ქირურგიულ მკურნალობას საჭიროებს ტონზილიტის ე.წ. უანგინო ფორმაც. ასეთ დროს რევმატიული ცვლილებები ნუშურების ანთების გარეშე ყალიბდება, გასინჯვისას ტონზილებში ჩირქი აღმოჩნდება;

მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ, ტონზილექტომიისთვის ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს — მისი ჩატარება თანაბრად შეიძლება ნებისმიერ ასაკში. ზოგადად კი, თუ კონსერვატიული მკურნალობა საშუალებას იძლევა, სასურველია 5-6 წლამდე ბავშვებს მაინც დავუტოვოთ ნუშურები, მაგრამ როცა დეკომპენსაცია აშკარაა, ოპერაცია რაც შეიძლება ადრე უნდა ჩატარდეს.

**ტონზილექტომიის ჩატარება არ შეიძლება**

იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს ნუშურების დაავადების პარალელურად გააჩნია ისეთი დაავადებები, როგორიცაა:

— სისხლმბადი სისტემის დაავადებები და ჰემოფილია;

— ღვიძლისა და თირკმელების სერიოზული დაზიანება;

— მწვავე რევმატიზმი.

ასეთ შემთხვევაში ოპერაცია მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენებით უნდა ჩატარდეს, რისთვისაც პაციენტი წინასწარ მაქსიმალურად უნდა მომზადდეს.

— ოპერაციის ჩატარება არ შეიძლება მაშინაც, თუ უკანასკნელი ანგინიდან ორი კვირა მაინც არ არის გასული. გარკვეული პერიოდი უნდა გავიდეს ისეთი ინფექციური დაავადებების გადატანის შემდეგაც, როგორებიცაა: წითელა, წითურა და ინფექციური მონონუკლეოზი.

**ცხვირ-ხახის ადენოიდები**

ადენოტომია ტარდება ადენოიდების ჰიპერტროფიის (ზომაში გადიდების) დიაგნოზის დასმის შემდეგ და საკითხი რამდენიმე მაჩვენებლის მიხედვით წყდება:

— ოპერაციის მთავარი ჩვენება ცხვირით სუნთქვის გაჩნელებაა, როცა ცხვირ-ხახის ტონზილების გადიდების გამო, ადამიანს პირღიას სძინავს და იმავდროულად, აღენიშნება დღის პირღიაობაც, ხშირად ხვრინავს, ახასიათებს მოუსვენრობა, გამოღვიძებისას კი მოთენთილია;

— ოპერაციული ჩარევაა საჭირო, როცა ცხვირსა და ცხვირ-ხახაში განვითარებული ცვლილებების გამო პატარებს ხმა უხდებათ ყრუ, ხოლო თანხმოვნების წარმოთქმა — ცხვირისმიერი;

— დაუყოვნებლივ ოპერაციას საჭიროებს დაავადების შორსწასული ფორმა, როცა შეცვლილია სახის ფორმის სტრუქტურა და სახის გამომეტყველება, დარღვეულია ზედა კბილების თანწყობა, ანუ ჩამოყალიბებულია ეგრეთ წოდებული ადენოიდური სახე;



— ადენოიდის ქსოვილის მოცილებაა საჭირო მაშინაც, როცა აღინიშნება ევსტაქის მილების გამტარობის დარღვევა — ცხვირ-ხახას შუა ყურთან ევსტაქის მილები აკავშირებს, მცირედ გადიდებული ლიმფოიდური ქსოვილი კი მათ ხახისკენა ბოლოს ფარავს და არღვევს სავენტილაციო ფუნქციას, რაც შუა ყურის ხშირი ანთებისა და სმენის დაქვეითების მიზეზი ხდება.

ლიმფოიდურ ქსოვილს გამრავლების უნარი ახასიათებს, ამიტომ ოპერაციის შემდგომ ზოგჯერ მოსალოდნელია რეციდივის განვითარება. იგი ხშირია ოპერაციის შემდეგ თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობის ქსოვილის დარჩენის შემთხვევაში, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რეციდივი ტექნიკურად უნაკლოდ ჩატარებული ოპერაციის შემდეგაც განვითარდეს.

**ადენოტომია აკრძალულია:**

— სისხლისა და გულს-სისხლძარღვთა სისტემის მძიმე დაავადების;

— ცხვირისა და ხახის მწვავე დაავადებების დროს:

— რბილი სასის პათოლოგიებისას.

გვერდი მოამზადა
**ზვიად ლონლაძემ**



## თავსატეხი



შვეულად: ავიზო, აკიდო, ალისა, ატომი, აფიშა, გოშია, დარკი, დიუმა, თხილი, მუყაო, ნიავი, რურკი, ტოლმა, ძაბრი.

თარაზულად: ავარა, ანდრო, ბურდო, გეიშა, ელისო, ვაფლი, ზუთხი, იალტა, იარდი, კლარა, ლორკა, მურწა, ოვალი, პაბლო, სამბა, ტეიში, ტუმბო, ქეიფი, ჩაიკა, ცეური, ძიძია, ხარში, ჯამბა.

## სამიდან ერთი



შვეულად: 1. დუქანი, სალამი, ბეტონი. 2. ბოკალი, შეკელი, კულონი. 3. მუცელი, მიზაკი, მერანი. 4. სარფი, ჩალმა, ტალკი. 5. ფოსტა, ზერხი, ცენტი. 6. ბასმა, რანგი, ჩარხი. 11. კიმპალი, სანტოსი, მერკელი. 12. ზეფანგი, ნიაგარა, ბანდიტი. 13. საბუთი, ფაფახი, ზაპესი. 14. კატერი, ლორენი, ნოდარი. 15. პაპეტი, სადამი, კალასი. 16. ბოჩოლა, ბიბისი, ბურუსი.

თარაზულად: 3. კატალოგი, მეტაფორა, ფალავანი. 7. ჯუდელი, ნადუღი, ბუხარა. 8. ხელოსანი, პატეფონი, ბუცეფალი. 9. კოპიტი, სალარი, პაგოდა. 10. კარტეჩი, კაიმანი, კეპესი. 13. ტულუზა, პედალი, სოლიკო. 17. პასტელი, გურმანი, გესტაპო. 18. ზაზუნა, სალონი, ბარელი. 19. კრაზანა, ფრეგატი, გრუზნი. 20. თინუსი, პილოტი, ჯეჯილი. 21. ტროტილი, კრამიტიტი, სპირალი.

## შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 16 | | 26 | | 23 | 5 | 10 | 14 | 17 | 4 | 7 |
| 6 | 1 | 15 | 17 | 14 | 7 | | 8 | | 3 | | 25 |
| | 27 | | 32 | | 26 | 8 | 28 | 31 | 7 | | 5 |
| 24 | 1 | 9 | 5 | 2 | 7 | | 5 | | 9 | | 14 |
| | 4 | | 6 | | 9 | 5 | 14 | 9 | 5 | 3 | 7 |
| 33 | 7 | 3 | 17 | 31 | 7 | | 7 | | | 17 | |
| 1 | | 1 | | 5 | | 11 | | 13 | 1 | 21 | 7 |
| 29 | 5 | 14 | 18 | 7 | | 5 | 3 | 7 | | 23 | |
| 1 | | 32 | | 26 | | 14 | | 5 | 20 | 7 | 5 |
| 3 | 17 | 1 | 15 | 5 | 4 | 32 | 7 | | 17 | | 3 |
| 5 | | 14 | | | | 7 | | 30 | 7 | 30 | 5 |
| | 22 | 7 | 3 | 7 | | 3 | | | 10 | | 19 |
| | 1 | | 1 | | 12 | 7 | 14 | 32 | 5 | 3 | 7 |
| 32 | 4 | 5 | 20 | 17 | | | 1 | | 14 | | |
| | 7 | | 5 | | 31 | 4 | 17 | 2 | 7 | 3 | 7 |

| | |
|---|---|
| ა-5 | ს- |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ-8 |
| დ- | ფ- |
| ე-17 | ქ- |
| ვ- | ღ- |
| ზ- | ყ- |
| თ- | შ- |
| ი-7 | ჩ- |
| კ- | ც- |
| ლ-3 | ძ- |
| მ- | წ- |
| ნ- | ჭ- |
| ო- | ხ- |
| პ- | ჯ-33 |
| ჟ- | ჰ- |
| რ-4 | |

# უცნობი ფაქტები ცნობილ ადამიანებზე



რომის იმპერატორი იულიუს კეისარი ყოველთვის ატარებდა დაფნის გვირგვინს, რათა თავისი სიმელოტე დაეფარა.

* * *

ადამიანის სხეული, რომლის წონა საშუალოდ 70 კგ-ია, შეიცავს 150-180 გრამ საჭმლის მარილს.

* * *

ბრიტანეთის დედოფალ ელიზავეტას, რომელიც 1533-1603 წლებში მოღვაწეობდა, 3000 კაბა ჰქონდა.

* * *

დიდი მეზღაპრეს ჰანს ქრისტიან ანდერსენს არ შეეძლო გრამატიკულად სწორად დაეწერა ერთი სიტყვაც კი.



* * *

აშშ-ს მე-17 პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი ერთადერთი პრეზიდენტი იყო, რომელიც საკუთარი ხელით წმენდდა თავის ტანსაცმელს.

* * *

პეტრე პირველი 2 მეტრი და 13 სანტიმეტრი იყო.

* * *

ამერიკელმა ინდუსტრიის მაგნატმა და მილიარდერმა ჯონ როკფელერმა დაახლოებით 550 მლნ. დოლარი შესწირა სხვადასხვა ფონდსა და დაწესებულებას.

* * *

ჯეიმს მედისონი ყველაზე პატაარა პრეზიდენტი იყო აშშ-ს ისტორიაში, ის 1 მეტრი და 62 სანტიმეტრი იყო. ყველაზე მაღალი აბრაამ ლინკოლნი - ის 1 მეტრი და 93 სანტიმეტრის სიმაღლისა გახლდათ.

* * *

ელექტრონათურის გამოგონებელს თომას ედისონს თავის კოლექციაში 5000 ჩიტი ჰყავდა.

* * *

მონღოლი დამპყრობელი თემურ ლენგი (1336-1405) პოლოს ადამიანის თავის ქალებით თამაშობდა. მანვე ააგო მოჭრილი თავებისგან 9 მეტრიანი პირამიდა.

* * *

კლეოპატრა თავის ღვიძლ ძმას – პტოლემეუსს გაჰყვა ცოლად.

* * *

დედოფალი ვიქტორიას საქორწინო საჩუქრებში 3 მეტრი დიამეტრის ყველის ნაჭერიც იყო, იმ ტონანახევრიანი ყველისგან, რომელიც მას აჩუქეს.

* * *

ექიმი ელის ჩეისი, რომელმაც დაწერა წიგნი ჯანსაღი კვების შესახებ და უამრავი ნაშრომი გამოაქვეყნა სწორი კვების შესახებ, უჭმელობით გარდაიცვალა.

* * *

ჩინგიზ ხანი გარდაიცვალა...სექსის დროს.

* * *



ალბერტ აინშტაინი 3 წლამდე საერთოდ ვერ ლაპარაკობდა, 12 წლისა კი უკვე ევკლიდურ გეომეტრიას ფლობდა.

* * *

კანიბალი ჩვენს ერამდე 183 წელს გარდაიცვალა. მან საწამლავი მიიღო მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ რომაელები მოვიდნენ და შეეძლოთ მისი მოკვლა.

* * *

სანამ მუსიკას შექმნიდა, ბეთჰოვენი თავზე ერთ ვედრო ცივ წყალს ისხამდა,



დარწმუნებული იმაში, რომ ეს მისი ტვინის სტიმულირებას ხელს შეუწყობდა.

* * *

პირველი ამერიკელი უზენაესი მოსამართლე ჯონ ჯეი მონებს ყიდულობდა, რათა გაეთავისუფლებინა ისინი.



უინსტონ ჩერჩილის წინაპრები დედის მხრიდან იყვნენ წითელკანიანი ინდიელები.

* * *

ბეთჰოვენი ჭიქა ყავას ყოველთვის 64 ცალი ყავის მარცვლისგან ამზადებდა.

* * *

უილიამ შექსპირს ცოცხალი შთამომავლები არ დარჩენია.

* * *

„შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალის“ შემქმნელი არტურ კონან დოილი პროფესიით ოფთალმოლოგი იყო.

* * *

მოცარტმა პირველი მუსიკალური ნაწარმოები სამი წლისამ შექმნა



* * *

მე-19 საუკუნის ყველაზე ცნობილი მკვლელი ჯეკი- მფატრავი „სანადიროდ“ ყოველთვის შაბათ-კვირას გამოდიოდა.

* * *

რომის იმპერატორი ნერონი დაქორწინდა მამაკაცზე, ეს მამაკაცი მისი მონა იყო, სახელად სკორუსი.



* * *

საფრანგეთის მეფე ლუი მე-14-ეს, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით „მეფე-მზე“, ჰქონდა 413 საწოლი.

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გულადი გვაჯავას დის**

**შორენა გვაჯავას**

**გარდაცვალების გამო.**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე დადებით ზეგავლენას მოახდენს. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ.

**კურო** – ეს პერიოდი, საერთო ჯამში, პოზიტიური მოვლენებით ხასიათდება. იყავით ინიციატივიანი, რათა სასურველ შედეგებს ადვილად მიაღწიოთ.

**ტყუპები** – თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა. წარმატება გელით როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში. პარტნიორებთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

**კირჩხიბი** – საქმიან პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

**ლომი** – წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. პირად ცხოვრებაში რომანტიკული თავგადასავლებია მოსალოდნელი. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ.

**ქალწული** – პლანეტათა განლაგება მნიშვნელოვანს არაფერს გპირდებათ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.

**სასწორი** – ადვილად ნურავის ენდობით. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას. თქვენი მოტყუების ალბათობა დიდია.

**მორიელი** – იღბალი თქვენს მხარესაა, წარმატებას მიაღწევთ როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში. გელით რომანტიკული თავგადასავლები. ფინანსური ოპერაციებიდან მნიშვნელოვან მოგებას მიიღებთ.

**მშვილდოსანი** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. სიფრთხილე გამოიჩინეთ ახალ ნაცნობებთან ურთიერთობისას. ადვილად ნურავის ენდობით.

**თხის რქა** – ეს პერიოდი კარგი პირადი ურთიერთობების მოსაგვარებლად. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

**მერწყული** – გაგიმართლებთ ფინანსურ ოპერაციებში. კარიერაში მნიშვნელოვანი წინსვლა გელით. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. იყავით ინიციატივიანი და აქტიური.

**თევზები** – თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოთ. გელით რომანტიკული თავგადასავლები.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**

**სკანვორდი**

1. დიაფრაგმა. 2. კაბალისტიკა. 3. კლინტონი. 4. კიკნა. 5. ბაიკა. 6. ბატკო. 7. კატაპულტა. 8. პოლიტურა. 9. ჭიაბერი. 10. კორონა. 11. კვადრიგა. 12. მინოტავრი. 13. სინაგოგა. 14. ბრამსი. 15. სტარტერი. 16. ტეტია. 17. აპალაჩი. 18. შუშანიკი. 19. ბომბარდირი. 20. ჯინი. 21. ლი. 22. მარშალი. 23. ჩარირამა. 24. ოტული. 25. მენჯი. 26. კაზმი. 27. დანელია. 27ა. რი. 28. ჯილი 29. დუპლეტი. 30. ნილი. 31. დუდკო. 32. დიამეტრი. 33. შკოდა. 34. პუდელი. 35. ბუშტულა. 36. რომანოვი. 37. კამბალა. 38. ფეი. 39. რობი. 40. აქსიომა. 41. კროასანი. 42. ბირნი. 43. ბლიკვი. 44. მანდარინი. 45. ოტმენნოე. 46. მუყაო. 47. ვიქტორია. 48. სუვოროვი. 49. იუკო. 50. ვიოლა. 51. ნასაუ. 52. ბრილიანტი. 53. ჰავა. 54. სიმონია. 55. ციცაბო. 56. ანანასი. 57. ნაცარა. 58. ჰიტაჩი. 59. ვირა. 60. ქვინი. 61. მოდული. 62. ნოე. 63. ქცევა. 64. შოსე. 65. ოლღა. 66. ლაითი. 67. შეტევა. 68. ტრელაჟი. 69. ონასისი.